


ლიტერატურული გაზეთი

№21(181) 11 - 24 ნოემბერი 2016

ბათუმის ორ კვირაში ერთხელ, პარასკევით

ფასი 80 თეთრი



ბესიკ ხარანაული ჯინჭველების ალალი

შუადღის სიცხე იყო,
ვიჯექ ჩრდილით ნამალი,
ვხედავ, გზაზე მოიბრძვის
ჯინჭველების ალალი.
სად იყავით, ბიჭებო,
სითა ხართ მომავალი?
— სანადიროდ, ბატონო,
დიდი იყო სამკალი,
ერთი ხოჭო მოვკალით,
არ ვინდომეთ მრავალი,
ურემზე ვერ შევავადეთ,
მინას მოსთრევს ბარკალი.

ჩემთვის არ ძნელი იყო,
ერთი თითი ავკარი,
ჯინჭველების ყიჟინამ
სრულად შეძრა ცა-მყარი.

მრგვალი მაგიდა

- კრიზისი თანამედროვე პროზაში თუ გარდამავალი პერიოდი?
- კრიტიკა – როგორც ორიენტირი მკითხველისთვის
 - ლიტერატურული კონკურსები
 - გამომცემლობები და რედაქტორები
 - ლიტერატურა მოზარდებისთვის

ბია არბანაშვილი, ივანე ამირხანაშვილი,
ზვიად კვარაცხელია, თამარ იაშვილი

VIII-XI



ბორის აკუნინი თბილისში ვახტანგ ჯავახიძე
 ბესო ხვედელიძე შოთა იათაშვილი
 ნინო სადღობელაშვილი ოთარ ჯირკვალიშვილი

– ზესტაფონელი ხარ, ბიჭო, შენ? – დარბაზიდან შესახებდა ალბათ ლადო არსენაძე, ცოცხალი რომ ყოფილიყო და გრიგორი ჩხარტიშვილის მონათხრობი მოესმინა ილიაუნში, როგორც მოფერებით ეძახიან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც 18 ოქტომბერს ბორის აკუნინთან შეხვედრა გაიმართა.

დიახ, აფიშისა და ნინასწარი განცხადებების მიხედვით, ეს გახლდათ მკითხველთა შეხვედრა სწორედ ფსევდონიმთან, რომელიც „ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის მოწვევითა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით“ გამართულიყო.

ხოლო ეს ლადო არსენაძე ჩემი ჯგუფი იყო უნივერსიტეტში, ნამდვილი, საპლაკატე ზესტაფონელი, მომლხენი და დარდიმანდი, ზესტაფონისკის რომ ეძახიან, ისეთი. ადრე გარდაიცვალა საწყალი. სტუდენტობისდროინდელ ერთ ლექსში მოვიხსენიე როგორღაც და მერე, მოგვიანებით, სანამ ავადმყოფობა მოერეოდა, რაია, ბიჭო, ლუდის მეტი რო არაფერი დამალე ვინე იმ შენს ლექსში, წამო, მე ვიცი, რაც უნდა დაგლიოთო, – სიცილით მეუბნებოდა ხოლმე. ლექსს „პარიზის მონატრება“ ჰქვია და მასში პარიზული ამბების და იქაური მჩქეფარე არტისტული ცხოვრების „გახსენებას“ ასეთი ნოველური ფინალი აქვს:

„მე კი ვიპოვე ძმაკაცები –
საშკა, მალხაზა, გოცო და ლადო,
მერე ვიშოვეთ სადღაც თუმანი,
„ივერიამი“ მიუღიათ ჩეხური ლუდი“.

შვილების თაობისთვის ალბათ ძნელი გასაგებია ჩეხური ლუდისა და პარიზის შედარება-დაპირისპირებაც და ისიც, როგორ უნდა ყოფნოდა ოთხ კაცს ჩეხური ლუდის დასალევად თუმანი, მაგრამ მართლა სხვა დრო იდგა – „ივერიის“ მე-16 სართულზე მოულოდნელად გამოჩენილი ჩეხური ლუდი მთელი თბილისისთვის პარიზიც იყო და იერუსალიმიც, ხოლო 10 მანეთი კაი ფული გახლდათ. აკი ყველას პირზე აკერია, რომ თურმე 37 მანეთად ჩავდიოდით მოსკოვში და იქ რუს ქალებს ვხმარობდით ლამის მათი ქმრების ცხვირინ!

დაბადებით ლადოს თანაქალაქელმა და აღზრდა-განათლებით მოსკოველმა გრიგორი ჩხარტიშვილმა კი 37-მანეთიანი საბჭოთა კავშირის დანგრევიდან ათიოდე წელიწადში რუსი ქალები ხომ იხმარა და იხმარა დასტა-დასტა, მათი ქმრებიც, ძმებიც და მამა-ბიძაც ზედ მიაყოლა და მერე არარუსებზეც გადავიდა. ამდენი ხალხის ხმარას კი კაი ჯანი და მოცალეობა სჭირდება – ერთი ადამიანი ვერანაირად ვერ გასწვდება და ამიტომაც ზესტაფონელმა გრიგორი ჩხარტიშვილმა თვითკლონირება გადაწყვიტა და რუსული ლიტერატურის მკითხველებს, რომლებიც ათასწლეულთა გასაყარზე მისი წიგნების გარეშე პურს არა სჭამდნენ და ლოგინში არა წეებოდნენ, ჯერ ბაკუნინად, მერე ბორის აკუნინად, უფრო მერე ალა ბორისოვად, სულ მერე კი ანატოლი ბრუსნიკინად მოველინა. ამ ალა ბორისოვამ როგორღაც იხმარა ის იმდენი ხალხი, იკითხავს ალბათ დაკვირვებული მკითხველი. სანთელი მე არ მჭერია, მაგრამ იხმარა კია და შეეცილე, თუ გინდა! მთლად ისე ვერა, როგორც აკუნინებმა, მაგრამ იხმარა! და კვლავაც აგრძელებს ხმარებ(ებ)სა. აგრძელებს ანატოლი ბრუსნიკინთან და ბორის აკუნინთან ერთად. გრიგორი ჩხარტიშვილი კი გვერდიდან უყურებს ამ ყველაფერს და კვდება სიცილით! ხანდახან აკუნინ ჩხარტიშვილს დაირქმევს, ეს არის და ეს.

გრიგორი ჩხარტიშვილი 1956 წელს დაბადებულია ზესტაფონში არტილერის ომ-მოვლილი ოფიცრის შალვა ჩხარტიშვილისა და რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის ბერტა ბრაზინსკაიას ოჯახში. ვიკიპედიის მიხედვით, 1958 წელს ოჯახი მოსკოვში გადასულა საცხოვრებლად. არა მგონია, გრიგორი ჩხარტიშვილმა, რომელიც ინტერნეტმედიაშიც იშვიათი აქტიურობით გამოირჩევა, არ იცოდეს, რა წერია ვიკიპედიაში მის შესახებ, მაგრამ იმ დღეს ილიაუნში რატომღაც რამდენჯერმე გაიმეორა, ზესტაფონში ჩემი ცხოვრების პირველი დაუზინყარი ერთი თვე გავატარე და მერე მოსკოვში წამიყვანესო. ეს ერთი თვე ინტერნეტსაიტ „სნობის“ ანკეტაში წელიწადნახევარს უდრის. ერთი სიტყვით, ორი წლისა იყო თუ ორი თვისა თუ წლინახევრისა, ზესტაფონიდან მოსკოვში ადრეულ ბავშვობაში წასულა. წავიდა და წავიდა.

არ ვიცი, ჩათვლება თუ არა ზესტაფონელად ადამიანი, რომელიც ამ ქალაქში კი დაიბადა, მაგრამ ძალიან პატარა ნაუყვანიათ აქედან, აგერ 60 წლისაც მოიყარა და ზესტაფონი რუკაზე თულა უნახავს.

– ჩათვლება, აბა, არა? – მეტყობდა ალბათ ლადო არსენაძე, ცოცხალი რომ ყოფილიყო, – ისედაც ცოტანი ვართ ზესტაფონსკები!

შემთხვევით არ არის განთავსებული გრიგორი ჩხარტიშვილის პროფილი zestafoni.ge-ზე, თუმცა იქ მას ბორის აკუნინი ჰქვია.

მას მერე გრიშა ზესტაფონსკი დღემდე ერთადერთხელ ყოფილა საქართველოში. იმავე „სნობის“ ანკეტაში იხსენებს: „წლი-

ტრის პარტინორი ყოფილა. განათლება მაიას ოქსფორდის უნივერსიტეტსა და ლონდონის ეკონომიკის სკოლაში მიუღია, მისი სტატიები თურმე „ფაინანსლ ტაიმსსა“ და „გუარდიენში“ ქვეყნდება, თორმეტი ნობელიანტი მწერლისაგან აუღია ინტერვიუ, ყოფილა მრავალი ლიტერატურული კონკურსის ჟიურის წევრი თუ თავმჯდომარე და მრავალი ჯილდოს მფლობელი.

ვინც ვიკიპედიაში ჩაიხედა, ნახავდა, რომ „ფაინანსლ ტაიმსსა“ და „გუარდიენს“ გარდა ინდური წარმოშობის ლონდონელი ჟურნალისტი მაია ჯაგი იბეჭდება აგრეთვე „ინდეპენდენტში“, „ეკონომისტში“, „ნიუსუიკში“, „ობზერვერში“, „სანდი ტაიმსში“, „უოლ სტრიტ ჯორნელსა“ და მრავალ სხვა პერიოდულ გამოცემაში,

თარგმნო, ფოტო, საამისოდ მისი (სტუმრის) და აუდიტორიის მშობლიური ენები – რუსული და ქართული აირჩიო და არა მესამე, რაგინდ ორივეზე აღმატებული, მაგრამ ორივესთვის მაინც უცხო ინგლისური.

როცა დარბაზიდან პირველივე კითხვა რუსულად დაუსვავს, აკუნინმა რუსულადვე უპასუხა და იქვე დააზუსტა, – სანამ შეხვედრაზე მოვიდოდი, მასპინძელმა გოგონამ მიხრა, რომ დღეს საქართველოში რუსული არ იციან და შეხვედრის სამუშაო ენა ინგლისური იქნებაო. მეორე გოგონას კი, ან შეიძლება იმავეს, უთქვამს, რომ რუსულად პრინციპულად არ ვლაპარაკობთ, რაკი რუსეთი ოკუპანტიაო! კიდევ კარგი, აკუნინმა ინგლისურიც იცის, თორემ ვიდლო იაპონურად ავლაპარაკებინათ იმ მასპინძელ გოგონებს!

ისე კი, გამკვირვებია, ღმერთმანი! ბორის, შე მართლა ზესტაფონელი, თუ რუსი მწერალი ხარ და სხვა ქვეყანაში სტუმრად მიდიხარ, შენს მშობლიურ, შენს სამწერლო ენას ეცი პატივი და როცა რომელიმე მასპინძელი გოგონა, რაგინდ ლამაზი და მომხიბველი ასე უტიფრად გეტყვის, შენს მკითხველებთან შეხვედრაზე ინგლისურად ილაპარაკე და მოწვეული სინქრონისტები თარგმნა შენს ნაუბარსო, შენთვის ჩვეული ცნობისმოყვარეობით იკითხე, კი მაგრამ, საქართველოში სინქრონისტიც აღარ ლაპარაკობენ რუსულად, რომ ჩემი ნაუბარი რუსულიდან თარგმნონო?

მოდი, მე რუსულად ვილაპარაკებ და თქვენ რაგინდარა ენაზე თარგმნეთ-თქო! – აი, რა უნდა გეთქვა, ჩემი აკუნინი თუ ხარ!

მერე მაია? მაია ჯაგი? მაიასთვის, თუ მის გარდა სხვა მოდერატორი ვერ მოიძებნებოდა, პერსონალური სინქრონისტი მიეჩინათ მასპინძლებს, რა შენი სადარდებელი ეს იყო, ნეტა ვიცოდე! ჩხარტიშვილი ჩხარტიშვილად, მაგრამ ისიც გვარიანად გამკვირვებია, რატომ თანხმდება სახელოვანი ბრიტანელი ჟურნალისტი მისთვის საჩოთირო ასეთ როლზე. ან იქნებ არც მაინცაა საჩოთიროდ? იქნებ თავის მისიონერულ მოვალეობად ჩათვალა, ოქსფორდული განათლების შუქი მოეფინა უბირი ქართველი მკითხველისთვის?

ინგლისურად იყო თუ როგორც იყო, გრიგორი ჩხარტიშვილმა ძალზე საინტერესოდ გვიამბო, თუ როგორ მოხდა მისი დაინტერესება იაპონიით: მეშვიდე თუ მერვე კლასში გეოგრაფიის მასწავლებელს მოსწავლეებისთვის ორ-ორი ქვეყანა მიუცია შესასწავლად და გაზეთებში მათი ამბების თვალის სადევნებლად. პატარა გრიშას, რომელსაც თურმე სკოლაში „კაცოს“ ეძახდნენ, ტუნისი და იაპონია შეხვედრია. ტუნისის შესახებ იმდროინდელ საბჭოთა პრესაში არაფერი იბეჭდებოდა, იაპონიის ამბები კი ბლომად ყოფილა. 1970 წელი იდგა და „კაცოს“ გაზეთებში იუკიო მიში-მას თვითმკვლელობის ამბავი ნაუკითხავს. მე მაშინ მეორე კურსზე გახლდით, იაპონიით მანამდეც ვიყავი გატაცებული იკე-ბანისა და ტაკარაცუკელი ქალიშვილების გამო და ძალიან კარგად მახსოვს მანინდელი ჩემი მოცოცა ამ შთამბეჭდავი ამბის ნაკითხვის შემდეგ. კიდევ უფრო შთამბეჭდავი აღმოჩენილა მიშიმას ხარაკირი ჩემზე ოთხი წლის უმცროსი მოსკოველი ბიჭისთვის, იმდენად, რომ იაპონიით სერიოზულად დაინტერესებულა, იაპონური შესწავლია, მერე თითქმის მთელი მიშიმა თარგმნა რუსულად, რამდენიმე სხვა იაპონელი მწერალიც ზედ მიაყოლა და ბოლოს იაპონიის იმპერატორისაგან ამომავალი მზის მე-4 ხარისხის ორდენი მიიღო ჯილდოდ.

ჯერ კიდევ ამ ორდენის მიღებამდე, 1997 წელს, ეთნიკურ მოსკოველს ეთნიკურად ქართველი მამა გარდაეცვალა და სწორედ იმ წელს გადაწყვიტა გააკუნინება.

ეს ბაკუნინი თავიდან მართლა ბაკუნინი იყო და არავინ იცოდა, რა ერეკლე მას სინამდვილეში – ბორისოვს, ბოგდანს, ბადრი, ბორისი, ბონდო თუ ბულატი (ეს ბულატი მაინც რალამ გამახსენა ახლა?!). არადა როგორია, კაცი (ავტორი) ლოგინში გინევს, მისი გადამკვიდე თვალს ვერ მოგიხუჭავს, აღარც ოჯახი გახსოვს, აღარც საყვარელი და აღარც სამსახური, შენ კი მისი სახელიც არ იცი! თან ჟურნალისტიც მიეძალნენ და არ იცოდნენ, როგორ მიემართათ. ჰოდა, მერე იყო, რომ ბაკუნინმა ბორისი დაირქვა. თუმცა მალე ისიც გაირკვა, რომ სინამდვილეში მას



პაატა ნაცვლიშვილი შესვდრა ფსევდონიმთან ანუ ტრი-ტრუ-ტრა ზესტაფონელი ბაკუნინის პოსტნარქიზმი და ქართული კვალი რუსულ ლიტერატურაში



ნახევრიდან მოსკოვში ვცხოვრობ. საქართველოში მხოლოდ ერთხელ ვიყავი, ძალიან დიდი ხნის წინათ. და, ვაი რომ, ვერავითარი ნათესაობა ვერ ვიგრძენი. მხოლოდ ტურისტული ცნობისმოყვარეობა იყო. მე ეროვნებით მოსკოველი ვარ. როცა ადამიანი ისეთ სადნობ ქვაბში ცხოვრობ, როგორც მოსკოვია, ეთნიკურობა ითქვამება და თავს დიდი ქალაქის მცხოვრებად აღიქვამ, რა თქმა უნდა, რუსული ქალაქის მცხოვრებად“.

ჰოდა, რუსული ქალაქის მცხოვრები ქართულ ქალაქში ჩამოვიდა და 2016 წლის 18 ოქტომბერს ილიას სახელობის უნივერსიტეტში შეკრებილ მის თაყვანისმცემლებს ინგლისურად დაუწყო ლაპარაკი.

დამსწრეთათვის ეს მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. ანონსიდან ვიცოდით, რომ შეხვედრის სამუშაო ენა ინგლისური იქნებოდა და პუბლიკა სინქრონული თარგმანით უნდა ყოფილიყო ჟურნალისტული ფილი. თუმცა პუბლიკა თამაშის ამ წესებს ბოლომდე ვერ დაეთანხმა.

მაგრამ ეს მოგვიანებით გამოჩნდა. მანამდე მოკლე შესავალი სიტყვით გამოვიდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიგა ზედანია, რომელმაც ქართულად გვითხრა, რომ ბორის აკუნინი ის მწერალია, რომელმაც ლიტერატურას სიმსუბუქე დაუბრუნა და რომელიც უადრესად პოპულარულია არა მარტო რუსეთში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

მერე ქართული წიგნის ეროვნული ცენტრისა და ბორის აკუნინის თანამშრომლობაზე ასევე ქართულად ილაპარაკა ამ ცენტრის საერთაშორისო პროექტების ხელმძღვანელმა სალომე მალაქელიძემ, რომელმაც ბოდიში მოიხადა, რომ ფრანკ-ფურტმი ყოფნის გამო შეხვედრას ვერ ესწრებოდა ცენტრის ხელმძღვანელი მედეა მეტრეველი და ბოლოს შეხვედრის მოდერატორი მაია ჯაგი წარმოგვიდგინა.

სალომემ გაგვიმეორა შეხვედრის ელექტრონული ანონსიდან ჩვენთვის უკვე ნაცნობი ინფორმაცია, რომ ეს მაია ჯაგი ლონდონში მოღვაწე ლიტერატურის კრიტიკოსი და კულტურის ჟურნალისტი, თანაც ქართული წიგნის ეროვნული ცენ-

არის რადიო- და სატელევიზიო პრეზენტორი, ფართოდ აღიარებული დიდ ბრიტანეთსა და მის ფარგლებს გარეთ. ერთი სიტყვით, ბევრად უფრო მაგარია და გამოჩინებული, ვიდრე ეს განცხადებაში ეწერა და ვიდრე სალომე მალაქელიძემ დაახასიათა.

ძალიანაც კარგი, მაგრამ მერე რა! რა კავშირი აქვს ასეთ შთამბეჭდავი სივისა და შემოქმედებითი ბიოგრაფიის პატრონს ანაკუნინთან, ან ჩხარტიშვილთან და ან ამათ სტუმრობასთან თბილისში?

სწორედ ამ გაპიარებული ჯაგის გამო ზედანისა და მალაქელიძის მოკლე გამოხატვების შემდეგ ქართული ენა ინგლისურმა შეცვალა. როგორია, ქართულ პუბლიკას, რომელსაც აკუნინი სავარაუდოდ ორიგინალში(ც) აქვს ნაკითხული, რუს მწერალს რუსული ენის არმცოდნე ბრიტანელი ქალბატონი რომ წარუდგენს, რომელსაც გრიგორი ჩხარტიშვილი ქართული წიგნის პოპულარიზაციისათვის მიუწვევია რამდენიმე თვის წინათ ლონდონში გამართულ წიგნის ფესტივალზე. ნუთუ აკუნინის თუნდაც ინგლისურ ენაზე წარსადგენად საქართველოში ვერავინ მოიძებნა? შეხვედრა რომ დაიწყო, თქვა კიდევ ერთმა დამსწრემ გარშემომყოფთა გასაგონად, ეს რა ტრაქის თამაშიაო!

არ ვიცი, რა თამაშია და როგორი მარკეტინგული სელაა, მაგრამ მასპინძელთა ეს ნაბიჯი, აკუნინთან გამართული ინგლისური ჯაგი-ჯუგი, ჩემთვისაც ყოველად გაუგებარი და მიუღებელი აღმოჩნდა. ლონდონელი მოდერატორის მოწვევასაც ვგულისხმობ და შეხვედრის ინგლისურ ენაზე წარმართვასაც. ეს ალბათ სრულიად გამართლებული ნაბიჯი იქნებოდა, სტუმრად გრიგორი ჩხარტიშვილი კი არა, ვთქვათ, იმ საღამოს ჩხარტიშვილის მიერ მსუბუქად გაკრიტიკებული პიტერ აკროიდი რომ მოეწვიათ. ამას არ მალაპარაკებს არც ინგლისურის არცოდნა (მადლობა ღმერთს და ჩემი ინგლისურის მასწავლებლებს, ყველაფერი კარგად მესმოდა) და არც რუსული ენის დიდი სიყვარული (თუმცა რუსულსაც მშვენივრად გავიგებდი). უბრალოდ, თუ სინქრონისტი უნდა მოიწვიო და სტუმრის საუბარი მაინც უნდა

გრიშა რქვეია – ოფიციალურად გრიგორი შალვოვიჩი (ის ბულატიც რომ შალვოვიჩია?) და თუ ფიზიკურად ზესტაფონელი იყო წარმოშობით, მენტალურად – მოსკოველი და იაპონელი გახლდათ, ხოლო ლიტერატურული ძუძუ მისთვის გარდასული ეპოქების დიდ რუსულ ლიტერატურას უწოდებია!

თავის თავს, ყოველ შემთხვევაში, გააკუნინების პირველ ხანებში, ჩხარტიშვილი მწერლად არ მიიჩნევდა, ლიტერატორი ვარო, ამბობდა. არც სახელოვანი რუსი მწერლები თვლიდნენ მას თავის კოლეგად – უნინ მთარგმნელად და სწავლულ ლიტერატურათმცოდნედ მიაჩნდათ. მართლაც, ფანდორინის სერიაში ძალუმად ფეთქავს რუსული ლიტერატურის XIX საუკუნე. გრიგორი ჩხარტიშვილმა ისე კარგად იცის წინისწინა საუკუნის მიწურულის თუ წინა საუკუნის დასაწყისის რუსული მწერლობა, რომ ხან ერთის სტილს მოარგებს თავის გმირების დეტექტიურ თავგადასავალს, ხან – მეორისას. ახლა – იაპონური?! რუსულ-იაპონური ორტიმანი „ალმასის ეტლი“ მე საუკეთესოდ მიმანჩია მის აქამოდელ შემოქმედებაში. ეს შემოქმედება კი უკვე ისეთი მდიდარია, რომ ზომი-წონით ლამის უკან მოიტოვოს წინისწინა საუკუნის რუსული მწერლობის გიგანტები.

თანაც ეს თვითონ წერს ყველაფერს, განსხვავებით არაერთი დღეს პოპულარული და ნაყოფიერი რუსი მწერლისგან, რომლებიც თითქმის დაუფარავად იყენებენ „ლიტერატურული ზანგების“ შრომას. პოპულარული ლიტერატურის კომერციულიზაციის პირობებში, რამაც დღეს მთელი რუსეთი მოიცვა, ჩვეულებრივი ამბავია, რომ ერთი სახელით რამდენიმე ადამიანი წერდეს. ჩხარტიშვილის შემთხვევაში ყველაფერი პირიქითაა – ერთი ადამიანი წერს რამდენიმე ავტორის სახელით!


სიკვდილის წინ ავადმყოფი ცოტა ხნით მოიხედავს, ამბობენ. ერთი შეხედვით, მართლა წარმოუდგენელია, რომ მაშინ, როცა გა(მო)ინტერნეტებულ მსოფლიოში გუტენბერგული წიგნის სიკვდილზე ალაპარაკდნენ, სწორედ გუტენბერგულმა წიგნებმა დაიპყრო უკითხავად მსოფლიოში ყველაზე ნაკითხი მილიონობით ადამიანის გული, ტვინი და სხეული. და ამ წიგნების ავტორი უმეტეს შემთხვევაში სწორედ აკუნინი გახლდათ.

ბორის აკუნინი რუსულენოვანი ლიტერატურის დიდი შემოქმედებელი და დიდი შეჯანჯლარება იყო. და არის. ეს მესამე დიდი ლიტერატურული შეჯანჯლარებაა უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში ამ ვეებერთელა მრავალეროვნულ ტერიტორიაზე.

მე არა ვარ რუსული ლიტერატურის სპეციალისტი, მაგრამ დაუძინებელი მკითხველის პოზიციიდან ისე ჩანს, რომ მსოფლიოს ამ ერთ-ერთ უდიდეს ლიტერატურას ბოლო ასწლეულში სამი რადიკალური შემოქმედების მომენტი ჰქონდა, რომლებიც პირდაპირ იყო მიბმული რუსეთის (საბჭოთა კავშირის) სამ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ მეტამორფოზასთან – 1917 წლის რევოლუციები, 60-იანი წლების ოტტეპელი და საუკუნის მიწურულის პერესტროიკა. პოლიტიკური კატაკლიზმებისა და პოლიტიკური შემოქმედებისათვის ათასგზის ითქვა. ლიტერატურაზეც ითქვა, რა თქმა უნდა, მაგრამ მე მინდა, ახლა სხვა, ქართული, კუთხით დავინახოთ ეს ყველაფერი.

საქმე ის არის, რომ არც ერთ ამ მეტამორფოზათაგანს უქართველებოდ არ ჩაუვლია, მეტიც – ქართველები ამ მეტამორფოზების მთავარი შემოქმედნი იყვნენ, თუ უმთავრესნი არა. რევოლუციების შუაგულში, უფრო სწორად – ავანგარდში კარლო ჩხეიძე, სტალინი და ორჯონიკიძე ტრიალებდნენ, ოტტეპელი ბერია დაგეგმა და დაიწყო კიდევ, მაგრამ ხრუშჩოვმა გააგრძელა და ამიტომაც დასრულდა ალბათ სწრაფად და უსახელოდ, ხოლო პერესტროიკის, ანუ საბჭოთა კავშირის დასრულების ერთ-ერთი მთავარი არქიტექტორი შევარდნაძე იყო. ძალიან დიალექტიკური რამ კი გამო(მი)ვიდა ეს „დანგრევის არქიტექტორი“ დაახლოებით ისე, გივი გეგეჭკორს რომ აქვს „ტრანზისტორში“ — „ნანგრევების ხუროთმოძღვრები“...

ჰოდა, ამ დიალექტიკამ – პოლიტიკური ნგრევისა თუ შენების დიალექტიკამ – ლიტერატურაც შესაბამისი მოითხოვა და მოიტანა. მეტიც – ლიტერატურაც პოლიტიკასთან ერთად ანგრევდა ძველს და აშე-




ნებდა ახალს – უკეთესს თუ უარესს. რუსულ ლიტერატურაზეა ლაპარაკი. და ამ მნიშვნელოვან ისტორიულ მომენტებში რუსულ ლიტერატურას ისევე ქართველები აჯანჯლარებდნენ, მიმართულებას ისევე ქართველები აძლევდნენ, რუსი მწერლები, მაგრამ ქართველები. ყოველ შემთხვევაში, პოპულარობით მათ თავ-თავიანთ დროს ვერავინ შეედრებ(ო)და.

თუ ემიგრანტებს (ბუნინის მეთაურობით) და შინაურ ემიგრანტებს (ბულგაკოვის თავკაცობით) არ ჩავთვლით, რომელთა შემოქმედება არამც და არამც არ ყოფილა საბჭოთა, იმ ეპოქის რუსული (საბჭოთა) ლიტერატურის მწვერული მიაკოვსკია. მიაკოვსკი, სამწუხაროდ, სრულიად ახალგაზრდა მოკლეს თუ თავი მოაკვლევინეს და ჩემი თაობა მას ვერ მოესწრო. არადა, რას არ მიეცემდი, რომ მის ერთ საჯარო გამოსვლას მაინც დაეხსნებოდი, თუნდაც იმას – თბილისურს, 1914 წლის მარტში, როცა იგი ქართულად მიესალმა სახაზინო თეატრში შეკრებილ ხალხს და რომლის შესახებაც ერთ რუსულ ჟურნალში, თუ არ ვცდები, კრუჩინინმა დაწერა: **Маяковский, несмотря на свою желтую кофту, оказался недурным оратором** (მაიკოვსკი, თავისი ყვეთელი კოფტის მიუხედავად, არცთუ ურიგო ორატორი აღმოჩნდა). ან იმას, ნიუ-იორკში, 1925 წელს, როცა მან მავანი რუსი ემიგრანტის მიერ ქანდარიდან ნასროლ რალაც უხამს რეპლიკას სცენიდან დედის ტრაკის გინება შეაგება ქართულად. მაშინ ყოფილა, რომ დარბაზში მყოფ ცნობილ ქუთაისელ ფალავანს კოლია ქვარიანს დაუძახია მიაკოვსკისთვის, – ქუთაისელი ხარ, ბიძია? ხოლო ამას, – ბაღდათელი ვარ, ბაღდათელიო! – სცენიდანვე უპასუხია.

პოეტი-ტრიბუნის პოეტიკამ, მისმა მაღალმხატვრულმა პლაკატურობამ თავისი კულმინაციას მისი სიკვდილის შემდეგ იკავილი თოიძის იმ ცნობილ პლაკატში მიიღწია, დედა-სამშობლო რომ უხმობს საომრად თითოეულ საბჭოელს. სწორედ იმ ომის შემდეგ სცადა ბერია რალაცის შეცვლა, მაგრამ არ დასცალდა და მისი დაწყებული საქმე, აკი ვთქვი, ხრუშჩოვის ოტტეპელად არის ცნობილი. ხოლო ოტტეპელის ლიტერატურულ ლიდერად კიდევ ერთი ქართველი – ბულატი ოკუჯავა მოევიდნა რუსეთს. ეს პოეტი-ტრიბუნად რუსული საავტორო სიმღერის ერთ-ერთი პიონერი ხომ იყო და იყო, რუსულ პროზაშიც გვარიანი ხსული გაავლო. ზემოთ ტყუილად არ ნამომცდენია მისი სახელი და მამის სახელი! ვინ იცის, რამდენი საყვედური ასმინეს ბულატი შალვოვიჩის ქართველებმა, რატომ წერს რუსულად, რატომ არ ქართველობსო! ბულატი ოკუჯავა რომ საშუალო შემოქმედი ყოფილიყო, არავინ მასზე სიტყვას არ დაასველებდა, მაგრამ ის ფაქტი, რომ მან თავისი პოეტური ენერჯია სხვის ლიტერატურას დაახარჯა, პატარა ერის შვილთათვის, როგორც ჩანს, ძნელი მოსანეტებელი აღმოჩნდა.

80-იანი წლების დასაწყისში მე დავესწარი შეხვედრას ბულატი ოკუჯავასთან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, როცა უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა, თავადაც ოკუჯავამ, თბილისის უნივერსიტეტის რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული თავისი ნათესავი თუ უბრალოდ მოგვარე ქართული უნივერსიტეტის უმაღლესი ჯილდოთი – ივანე ჯავახიშვილის მედლით დააჯილდოვა. ახლა, ამ წერილის წერისას, ვერ ვიპოვე ჩემი მაშინდელი ჩანაწერები, თორემ ბულატმა იმ დღეს ბევრი საინტერესო რამ თქვა 60-იან წლებზეც და საკუთარ შემოქმედებაზეც ჯერ სცენიდან და მერე ვინრო წრეში, როცა მცირე ინტერვიუ ჩამოვართვი მას.



და აი, ჯერჯერობით ბოლო რადიკალური შემოქმედება – გორბაჩოვიან-შევარდნაძიან-იაკოვლევიან-ელცინიანი. შემოქმედება, როგორც 1917-ში უარყოფილი გზის გაგრძელება – მიბრუნება წარსულისკენ, შეცდომების აღიარება და გონჯად გავლილი მრუდე გზის გამოსწორების მცდელობა. და შეიძლება ითქვას, რომ ამ შემოქმედების ლიტერატურული ლიდერი ისევე ქართველია – გრიგორი ჩხარტიშვილი, რომელმაც ამ გვართა და სახელით მხოლოდ თარგმანები და ერთადერთი ნიგანი – ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა „მწერალი და თვითმკვლელობა“ გამოაქვეყნა, რუსულ ლიტერატურას კი რუსულ-ანარქისტული თუ იაპონურ-იაკუძური ფსევდონიმით მოევიდნა: ბ.აკუნინი. კიდევ ორ გვიანდელ ნიგანს – „სასაფლაოს ამბები“ (2007) და „არისტონომია“ (2012) – მან აკუნინი და ჩხარტიშვილი ერთად მოაწერა.


„სასაფლაოს ამბები“ ორი პარალელური ტექსტია და ორი ავტორის – ჩხარტიშვილისა და აკუნინის მსგავსება-განსხვავებანი კარგად არის გათვალისწინებული. ჩხარტიშვილს, როგორც თავად ამბობს, მკითხველი ნაკლებად აინტერესებს, აკუნინი კი მთლიანად მკითხველზეა ორიენტირებული, მის გართობას ეხსრავის, ყველანაირად მზრუნავს, რომ მკითხველმა არ მოიწყინოს.

ბელეტრისტიკის თხზვა არასერიოზული საქმეა, რალაც ჰობის მსგავსი, – ამბობს გრიგორი ჩხარტიშვილი, – ვილაც, მაგალითად, მარკეს აგროვებს. ვილაც სალაშქროდ დაიდის და კოცოთთან ვიზბორის სიმღერებს მღერის, მე კი დეტექტიურ რომანებს ვწერ. ასე რომ, ეს ჩემთვის რელაქსაციის, მოდუნების საშუალებაა. ბელეტრისტიკა წამალია მოწყენის წინააღმდეგ. თავად არასოდეს ვარ მოწყენილი. მარტო რომ ვარ, არც მაშინ. ჩემთვის ლიტერატურის შეფასების მთავარი კრიტერიუმიც ეს არის. თუ მოსაწყენი არ არის, ესე იგი კარგია. თუნდაც გულისამრევი იყოს!

როდესაც რომელიღაც რუსულ ტელეეთერში გრიგორი ჩხარტიშვილს მისი და აკუნინის შედარება სთხოვეს, მან უპასუხა:

– მე და აკუნინი ძალიან განსხვავებული ვართ. აკუნინი ჩემზე კეთილია. ეს პირველ ყოვლისა. მეორე, – ის ჩემგან განსხვავებით, იდეალისტია და მტკიცედ იცის, რომ ღმერთი არსებობს, რის გამოც მე მისი მშურს. ვინ უფრო სერიოზულად უყურებს თავის თავს – აკუნინი თუ ჩხარტიშვილი? რა თქმა უნდა, აკუნინი. ის მასობრივ ლიტერატურაზე მუშაობს და მეტი პასუხისმგებლობა აქვს. მან უნდა დაიცვას თამაშის წესები – წეროს დიალოგი და არა მონოლოგი რეჟიმში. აუდიტორია არ უნდა მოაწყინოს. როცა ჩხარტიშვილი ესეიტყვას წერს, ის არ იმალება და არ ექირობს იმაზე, რამდენი ადამიანი ნაკითხავს. მისთვის მთავარია, გაერკვეს პრობლემის არსში. ხოლო აკუნინი ვაფაცვიცხვია, რომ მკითხველი არ დაკარგოს.

შეიძლება ითქვას, რომ რამდენიმეზის კლონირებული გრიგორი ჩხარტიშვილი ერთგვარი ლიტერატურული ტრავესტია, ან ანტიტრავესტი, რომელიც ხან ერთ ლიტერატურულ როლს ირგებს, ხან მეორეს, ხან ერთი მწერლის ტყავში ჯდება, ხან – მეორისაში. წინა ცხოვრებაში, როცა ჩხარტიშვილი მხოლოდ მთარგმნელი გახლდათ, ის ხან მიმოიდა იყო, ხან კობო აბე, ხან ტაკეში კაკო, ხან მალკოლმ ბრედბერი, ხან პიტერ უსტინოვი, ხან ჰარი ჰარისონი, ხან ვინ და ხან ვინ. ამ, მეორე ცხოვრებაში კი იგი ხან ბაკუნინია, ხან ბორის აკუნინი, ხან ალა ბორისოვა და ხანაც ანატოლი ბრუსნიკინი. ამათ კი თავიანთ ნან-



ერებში ხან გოგოლის შინელი აცვიათ, ხან დოსტოევსკის პალტო, ხან ლესკოვის ფრენჩი, ხან ჩეხოვის პენსე უკეთიათ, ხან კუპრინის ქუდი ახურავთ და ხანაც გილიაროვსკისა. ამიტომ არის, რომ კომპილატორის სახელი არ აკმარეს და ჩხარტიშვილს პლაგიატორობაც შესწამეს. ეს მთლად მართალი არ არის – პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაში შინელების კი არა, სიუჟეტებისა და სახეების სესხებაც მოსულა...

ასეა თუ ისე, მეოცე საუკუნის რუსულ ლიტერატურაში ქართული კვალი ამგვარად შეიძლება წარმოვიდგინოთ: მიაკოვსკი – ოკუჯავა – ჩხარტიშვილი, ანუ პოეტი-ტრიბუნი – პოეტი-ტრიბუნადური – მწერალი-ტრავესტი. კიდევ უფრო მარტივად: ტრიბუნი-ტრიბუნადური-ტრავესტი. და სულ მარტივად, სამასოიანი კოდირებით: ტრი-ტრუ-ტრა!

ერთი სიტყვით, ქართული ტრიო ტრი-ტრუ-ტრა რუსულ სცენაზე შეასრულებს სიმღერას „შეჯანჯლარებანი“.

რუსულ ლიტერატურას შეუსრულებს. პოეტმა-ტრიბუნმა დაბეჯითებით დასამარა, ერთი მხრივ, რუსული ლიტერატურის XIX საუკუნე თავისი პროზა-პოეზიანად და, მეორე მხრივ, რუსული ლიტერატურის „ვერცხლის საუკუნე“. „ვერცხლის საუკუნის“ ლირიკა ნახევარი საუკუნის შემდეგ პოეტმა-ტრიბუნმა ააღორძინა გიტარის აკომპანემენტით, XIX საუკუნის ეპიკა კი – მწერალმა-ტრავესტმა, თუმცა მან ეს ერთგვარი ფარისი, გენბავთ – პაროდის სახით, პოსტმოდერნისტული ხერხებით გააკეთა.

ჩხარტიშვილი მის მთავარ გმირზე, ერასტ ფანდორინზე ზუსტად 100 წლით არის უმცროსი და მასთან ერთად იზრდება რომანიდან რომანამდე.

– ჩემთვის ერასტ ფანდორინი სრულიად ცოცხალი ადამიანია, – ამბობს გრიგორი ჩხარტიშვილი. მე მესმის მისი ხმა, ვხედავ მას, სახლში მისი პორტრეტი მიკიდია. ეს სურათი ანტიკვარულ მაღაზიაში მომხვდა თვალში და არ შემეძლო, არ მიყედა: უცნობი ჩინოვნიკის პორტრეტი, 1894 წლით დათარიღებული, – ზუსტი ერასტ პეტროვიჩია. როცა მე ამ პორტრეტს ვუყურებ, მას სახის გამომეტყველება ეცვლება.

მგონი, ტატანა ტოლსტაიამ თქვა, დღეს ჩვენთვის წარმოუდგენელია, რომ იყო დრო, როცა ფანდორინი არ არსებობდა, ისევე როგორც, ვთქვათ, მობილური ტელეფონი.

ჩხარტიშვილის გააკუნინება მოხდა ბორის ელცინის პრეზიდენტობის ბოლოს-წინა, 1998 წელს. გაჩნდა პირველი ფანდორინიანი რომანი „აზაზელი“ და მხოლოდ ინიციალიანი ფსევდონიმით: ბ-წერტილი-აკუნინი და მოწა. ამიტომაც იყო, რომ ეს ფსევდონიმი ანარქიზმს და რუსული ანარქიზმის მამას მიხილ ბაკუნინს დაუკავშირეს, მარქსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ რუსულ ენაზე მთარგმნელს. ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ მოგვიანებით კრიტიკოსმა ივანე ლიკოშინმა აკუნინის ლიტერატურული ანარქისტი უწოდა.

ერთხანს ბაკუნინი ვლადიმერ კუნინის ახალი ფსევდონიმიც ეგონათ. ეს ვლადიმერ კუნინი – სინამდვილეში ვლადიმერ ფაინბერგი – მანამდე 10 წლით ადრე უკვე მოექცა რუსული ლიტერატურის ერთგვარ განმაახლებელთა ავანგარდში. 1988 წელს მან გამოაქვეყნა რომანი, რომელმაც გვარიანად ააფორიაქა საბჭოთა მკითხველი და რომელსაც სათაურად ავტორის მიერვე შექმნილი უცნაური სიტყვა „ინტერგოვონა“ („Интердевочка“) ერქვა.

თავს ვერაფერი არგო და დედის რძეც ვერ შეირგო და რაც უფრო მეტად არ ჰქონდა, მით უფრო მეტად კი ჰქონდა. უჭირდა აღიარება, ჯაბნიდნენ ელეგიები, ვერ შეამცირა არები, ვერ გააბევირა კიები.

შინდისალაპის სიმღერა

გახსოვდეს შენი შინდისი და, თუ განუხებ სინდისი, არ აიკიდო გარეთ და არ მოიტანო შინ შილსი.

მე ვარ მომსწრე ბევრი ძეგლის, ბევრი პედესტალის: ბელადობის მაგისტრის და მაგის მაგისტრალის: გურჯისტანის, დაღესტანის, მაგადანისტანის, ბევრზე ბევრი მინისტრისა და ნამინისტრალის, მე ვარ მომწე ნეო-სტარის, ნეო-სუპერსტარის: ჩაშვების და გამეტების და სხვა ამისთანის... გაუმარჯოს, უკაცრავად პასუხია, სტალინს!

ქაბათა ქაბა

მომრავლდნენ ძეგლები უპედესტალონი, როგორც კი ჩამოაბეულადეს სტალინი. არ ვაქვს საეჭვო წარსულის პეტრეს და არც ოჩოპინტრეს და არც ოჩოპინტრეს და — დიდება ცარიელ პედესტალს!

სტალინის შიმღერა

კრემლის საათი ისევ რეკავდა, მაგრამ ჩვენ აღარ გვერეკებოდა, ჩვენ უკვე აღარც გვევარდებოდა და უკვე აღარც გვეეკლებოდა, აღარც ერეკლე გვევასებოდა ანუ არ ქვე-გვე-ერეკლებოდა, ხმალი ქარქაში ვერ ეგებოდა, ბრძენი ანკესზე ვერ ეგებოდა, ფეხქვეშ ვერავის ვერ ეგებოდა, ქებათა ქებაც ვერ ექებოდა და გაჩუმებაც ვერ ეგებოდა, — არადა, კრემლი ისევ კომიკო-კომუნისტისკენ გვერეკებოდა.

მეექვსედი

მეექვსედს აქვს ასი ტანია: ყველა წილადი ასატანია.

მეექვსედს აქვს ასი ვანია: მათი სავანე სხვა სავანია.

სიზმარში ვნახე მე ეს ედემი: ოხრად ეყარა მეექვსედები.

გადავახვიე კადრი ასჯერ და გამოვიჭირე კადრი ასეთი: იმას, მეექვსედს ვინც არ დასჯერდა, ენატრებოდა მეათასედი.

რიარია

სისხლში მეტი როე როა, გული უბარიეროა. მეტი ისტერია როა, ბრძენი უკარიეროა. უძველესი ტროა როა, უახლესი ტრიო როა, სექსის ინდუსტრია როა, ანტისიმეტრია როა და მეისტორიე როა, — ნაღდი და აპრიორია. ხატა საქირაო როა, თანაც საგირაო როა, თანაც საკვირაო როა — ინტიმ-ინტერიერია. რა ჰქვიაო, რაო, რაო? — რა ჰქვია და — რიარია!

მიმი

კარგი ამბავი არაერთხელ მიმიტანია, ენა ბოროტი არასოდეს მიმიტანია, ბოროტულზე იერიში მიმიტანია და ყველაფერი გულთან ახლოს მიმიტანია.

მწყურვალისათვის ნაბელავი მიმიტანია, ნიკორასათვის ჩალაბულა მიმიტანია, მამამ ჩემმა სამებაში მიმიტანია, ცოდვილი ვარ და ეჭვი ბევრჯერ მიმიტანია. ძალიან მომწონს პანტომიმის მიმი ტანია, გული მომიკლა წელთა მისთა მიმოტანამა.

მოსიხივია არითია

ჰიპერტონია კაცობრიობას ამაქსიმუმებს-ამინიმუმებს, დამალობანას ეთამაშება: აპინგინებს და ამაიმუნებს. სახელოვანებს, სახელიანებს, უსახელოებს, ანონიმურებს — აბარბაცებს და აქანავებს და ანანავებს და ანანინავებს. რაინდებსა და სავესე დარბაზებს, ლამაზმანებს და ლამაზ კარავებს — აპამპულებს და აპამპულავებს, ამასხარებს და ამასხარავებს. არწვეს და არწვეს: ერთი ბალი და ორი ბალი და სამი ბალი და ამეტებინებს თავისიანებს მეხსიერების კიდობანიდან. მოძღვრავს: ლუკა და მათე მათია, აშამათებს და მათი მათია: არითმიული არითმეტიკა და უმდაბლესი მათემატიკა. და, თუმცა კარგად მოეხსენება, ბუდა-ალახი-ქრისტე მათია, დაუყადალა სამოციქულო კარაბადინის ქრესტომათია. დაიკიდა და აარარავებს და უბათილებს საგარანტიოს — კარდიოლოგებს, კარდიოგრაფებს, კარდიოგრაფს და ყველა კარდიოს. და, თუმცა ისევ აფორიაქებს და მოციმიციმე არითმიებით ატორტმანებს და აცახცახებს და არეტიანებს ამ რითმებივით, — მაინც ბებერი ჰიპერტონიკი ხანდახან ისე გადიკისკისებს, — გამოძვრება და ამ რითმებივით გადაურჩება კრიზის კრიზისებს.

კითხვის ნიშანი

ამეკიდა და გადამეკიდა, ბოლოს კისერზე ჩამომეკიდა, მე კიდევ გულზე ცეცხლი მეკიდა და ხელი არაფერზე მეკიდა. არავინ მოდის სანუგეშებლად, ის კი აქეზებს თავის დამქაშებს, უცნობმა მითხრა: „არ მოგეშვება, სანამ თავის თავს არ დაგამსგავსებს“.

ნახევარი მახვამა

დაე, მგზავრი მგზავრობდეს და ჩემოდანი ჩემოდნობდეს, გაზაფხული გაზაფხულდეს, შემოდგომა შემოდგომდეს, არც ისეთი თავხედი ვარ, ალფონსს დავეჩემო დოდეს, მაგრამ იმას ვერ ავიტან, კრუსხის პალო ჩემოდნობდეს.

დღეს შემისრულდა ოთხმოცდასამი...

მსაჯულმა შემომიტია (მე ვისმენდი და ვითმენდი): რისი ოთხმოცდასამიო: ასს გამოვაკლოთ ჩვიდმეტი! შევკრთი და დავეთათბირე ბრალეულსა და ბრალიანს: როგორ გავეცქე ზონიდან ასეულეების ალიანსს. აქამდის მშვიდად მეძინა, შემწეც მყავდა და გარანტიც, არ მაკადრებდნენ ტენდერს და არ მეძინოდა კალანდის. წლებმა ალღუმი გამართეს, გამალადეს და გამართეს, მეც ვარიგებდი პასიანსს, მეც ვაგორებდი კამათელს და ნაწილ-ნაწილ ვითვლიდი (ეს იყო ჩემი სამიტი): ოცს მივუმატოთ ოცი და ოცდაათი და ცამეტი. ხვალ ანას ნიგნი დამიცავს, ხვალზეც — მურმანის ნიგნები, გაისად ასს გამოვაკლოთ თექვსმეტი წლისა ვიქნები.

ჩემი მეორე ნახევარი

განა ლევერკუზენიდან, ლეჩედან და ლევილიდან — ქვემოიმერული მყავს და ზემოიმერული მიწა. გამაფრთხილეს: ჯალაბისა წმინდა შეინახე ვალი: სხვა მეორეს გერჩიოსო მაგ მეორე ნახევარი. უცაბედად გამახსენდა სალომე და მიურატი: როგორ უნდა დავაქვრივო ჩემი ერთი მეორედი? ანდა როგორ გავაოცო ვერლენით და მიუსეთი — ჩემი ხუთი მეათედი ანდა ათი მეოცედი? ამ შეკითხვებს ვერასოდეს მე ვერ გავაიასნებდი, ჩემი — რომ არ მამხნევებდეს — ხუთჯერ ათი მეასედი. ისევ წყვილი ეჭვი მიტევს — აწინდელი-წინანდელი, კვლავ ერთმანეთს დაეძებენ გათიშული წილადები. უმნიშვნელო-უმრიცხველო შეფასება-დაფასებით — გავიარე სახიფათო ათეულთა დარბაზები და, ვიდრემდის დამიქნევენ მერვე პავილიონიდან, ჩემი თავი შემოგვევლოთ — ჩემი მემილიონედი.

პაატა ნაცვლიშვილი შეხვედრა ფსევდონიმთან ანუ ტრი-ტრუ-ტრა



თავდაპირველად კუნინს უნდოდა, რომანისთვის „ბო-ზი“ („Проститутка“) დაერქმია, მაგრამ რუსეთის ლიტერ-ატურულ ზედაფენებში ამან სერიოზული აღშფოთება გამოიწვია — საბჭოთა კავშირში ბოზი ვის გაუფონიაო! ერთი სიტყვით, სრულიად ადვილი შესაძლებელი იყო, რომ ბ.აკუნინი სწორედ ეს ფაინტერგყოფილი კუნინი ყოფილიყო, რომელსაც ზუსტად 1998 წელს კატურ-ავანტურული რომანი „ინტერფისი“ („Интерфис“) გამოემევა და რომელიც უკვე დასავლეთ ევროპაში ცხოვრობდა, იმ ანარქისტ ბაკუნინისა არ იყო.

კუნინ-აკუნინის შესახებ იმ პერიოდში ერთი მოკალამ-ბურო სალალობო დიალოგი შემომენერა:

- Кого сегодня в России читают?
- Пелевина, Сорокина, Акунина...
- А Кунина?
- И Кунина!

ფანდორინის ციკლის პირველი რომანი რომ ნავი-კითხე, რაღა დავმალო და, აკუნინი მეც კუნინის ახალი ფსევდონიმი მეგონა, სანამ ნიგნების რომელიღაც სახ-ელოვანმა თბილისელმა დილერმა — არტურამ თუ გრიშამ — მის მეორე რომანთან ერთად უკვე გაძვირებული მოს-ოვიდან აკუნინის ჩხარტიშვილობის ამბავიც არ ჩამ-ოიტანა. ალბათ უფრო არტურამ, თორემ გრიშას რომ ეთქვა, აკუნინი გრიგორი ჩხარტიშვილიაო, უეჭველად გავალადავებდი, რაკი გრიშა ჰქვია, იმიტომ აბრალებ-მეთ-ქი!

არავინ არავის არაფერს აბრალებდა. აკუნინი ჩხარ-ტიშვილი იყო. მორჩა და გათავდა. ეს აკუნინი კი, თუმცა ალბათ ბაკუნინთანაც არის კავშირში, გრიგორი ჩხარტიშ-ვილის გვიანდელი განმარტებით, თურმე იაპონურიდან მოდის და ცუდ ტიპს, ავაზაკს, არამზადას, ავკაცს, გარე-წარს თუ რაღაც ამგვარს ნიშნავს. ამას კი სკანდინავიურ თქმულებებში ტროლი შეესაბამება. ასე რომ, რუსული ლიტერატურის სამგზის შემაჯანჯლარებელ იმ ჩემს ტრი-ოს შიქიძეება ტრი-ტრუ-ტრა კი არა, ტრი-ტრუ-ტრო ერ-ქვას.

— მე ცუდი ტიპი დავირქვი არა იმიტომ, რომ მე ვარ ცუდი ტიპი, არამედ იმიტომ, რომ, როგორც მწერალს, ძალიან მაინტერესებს ცუდი ტიპები, რადგან ისინი ქმ-ნიან პრობლემებს და საინტერესოს ხდიან ცხოვრებას.

ფანდორინიან რომანებში მუდამ არის ერთი ან რამ-დენიმე ცუდი ტიპი, რომლებიც არანაკლებ საინტერესო-ნი არიან, ვიდრე თავად ფანდორინი, რომელიც თავის მხრივ ყველა რომანში სულ სხვადასხვაგვარად წარ-მოგვიდგება იმის მიხედვით, როგორი ცუდი ტიპის წინა-აღმდეგ უნევს ბრძოლა.

ასე იყო თუ ისე, აკუნინის ფსევდონიმი დიდხანს არ დარჩენილა საიდუმლოდ. აკი ვთქვი, მგონი ეს ფსევდონ-იმი მანამდე გახსნეს, სანამ ჩხარტიშვილის გააკუნინების მეორე წელს მეხუთე ფანდორინიანი რომანი „ყვავის ვა-ლეტი“ გამოვიდოდა, რომელშიც მეშვიდესხარისხოვან პერ-სონაჟად კნინა ჩხარტიშვილი შემოიყვანა ავტორმა.

გამიკვირდა კია, ეს ჩხარტიშვილი აკუნინობას როგორ იქმს-მეთქი. მომწონდა აკუნინი, მართლა სულმოუთ-ქმელად გაკითხებდა იმ თავის პირველ რომანებს.

მაგრამ აკუნინის საუბედუროდ, ისე მოხდა, რომ ეს ჩხარტიშვილიც ნაკითხული აღმომაჩნდა და მაინცდ-ამაინც დიდი აზრისა მასზე არ დავრჩენილვარ.

იმ დღესაც, ილიაუნში ჩხარტიშვილთან რომ ყოფილ-იყო შეხვედრა, არა მგონია, ნავსულიყავი, აკუნინთან შეხ-ვედრაზე კი ნავედი და თითქმის ნახევარი საღამო ფეხზეც ვიდექი, თუმცა ადგილები იყო, მაგრამ საღამოს ბოლომ-დე იმ ცარიელ სკამებზე ან ქურთუკები ელაგა, ან წარწ-ერები ეწყო — „დაკავებულია“. ბოლოს მაინც მოვახერხე დაჯდომა, როცა დამსწრეთა გარკვეულ ნაწილს, როგორც ჩანს, მობეზრდა სტუმრისა და მოდერატორის ინგლისური დიალოგი და დარბაზი დატოვა.

მაგრამ იმის მიზეზი, რომ თავიდან პირთამდე სავსე აუდიტორია თანდათან დაიცალა, მარტო ინგლისური ჯაგი-ჯუგი არ უნდა ყოფილიყო. საქმე ის არის, რომ ლიტ-ერატურის ნაცვლად საუბარი, არ ვიცი, ნელ-ნელა, არ ვიცი, ჩქარ-ჩქარა, პოლიტიკისაკენ წავიდა.

დარბაზში ბევრი საინტერესო რამ მოხდა, მეც არაერ-თი საინტერესო ფიქრი აღმძრა, მაგრამ ვხედავ, რომ გაზეთის ამ ნომერში ჩემთვის და აკუნინ-ჩხარტიშვილ-ისთვის გამოყოფილი ფართობი შაგრენის ტყავივით დაი-ლია და ამიტომ ფსევდონიმთან შეხვედრაზე საუბრის დასასრული, მოდი, მომდევნო ნომრისთვის გადავლოთ.

— შენ ერთი ბრმა და მკვდარი ხორცი ხარ!!! — სულ სხვა ხმაზე იფეთქა ვატატომ და უცებ ყველაფერი დაყუჩდა ირგვლივ.

— რა მოხდა? — დავიბენი და მივხვდი, რომ სახეზე სინითლემ ამასხა. ვატატომ უცნაურად შემომხედა. თითქოს თვალეზზე ბინდი გადაჰკეროდა, ვერ მცნობდა და მიხსენებდა, ვინ ვიყავი. აქ უკვე ძალიან დავიძაბე და მივხვდი, რაღაც სახიფათო ხდებოდა, მაგრამ რა ხდებოდა — ვერაფრით ვხვდებოდი.

— არაფერი! მორჩა... — უცებ ისევ გარდასახულმა ვატატომ განმუხტა და დაძაბულობა და უცხოდა აწივდა. — არაფერი არ ყოფილა... დაივიწყე! მე არაფერი მითქვამს! — ამის თქმა იყო და ვატატომ ისევ გარდაიქმნა. ამჯერად, თითქოს კიდევ უფრო სხვა ადამიანად იქცა და დაპატარავდა. მერე ობოლი ბავშვის თვალეზზე შემომხედა და უკვე სულ სხვა, უსაზარელეს ხმაზე აღაღადა:

— ყოველდღე დიდი ღმერთის გასვენებაა! მან სიკვდილის წინ ანდერძად დაიბარა, რომ ის არ უნდა მიაბარონ მინას... არამედ, ვინც იგემებს მის ხორცს და სისხლს, ის შეიქნება განდობილი! მე ყოველდღე რიგში ვდგავარ... უბრალოდ, მისი ხორცი მშობი და სისხლი მწყურია მუდამ, თორემ განდობილი ისედაც ვარ!

ამის გაგონებაზე შიშისგან გული, ფილტვი, ელენთა, თირკმელები, ნაწლავები, ღვიძლი ლამის ერთდროულად ვაღებინე. ვატატომ კი ძალიან უცხოდა, მაგრამ უკვე კმაყოფილმა გაიღიმა და ბინიდან თავქუდმოგლეჯით გავარდა. ერთბაშად ბოლომდე გამომშრალი ლამის ფესვებით შევეზარდე იატაკს. მივხვდი, რომ აბსოლუტურად ცარიელი ვიყავი ყველა იმ ენერჯისგან, რითაც აქამდე იყო აქაურობა უხვად გაჟღერებული. ცოტა ხნის წინ ხომ ყველაფერი ყვაოდა, ცოცხლობდა და ბედნიერებით ანათებდა. ახლა კი ეს ენერჯია, არათუ გაქრა — ერთი ხელის მოსმით რაღაც საზარელ, უფრო, მძალე სიშავედ იქცა და ყველაფერი მისით შეივსო: ჩემი ფილტვებიც. ნაწლავებიც. სულიც. თითქოს შუქი დაბრმავდა ორივე თვალთ. სწორედ ამ დროს, გავიგონე რაღაც უბოროტესი ღმულისმაგვარი ხმა ზურგს უკნიდან და ამან კინაღამ სისხლი გამიხმო ძარღვებში.

სწრაფად შევბრუნდი. ოთახში მარტო ვიყავი, მაგრამ ჩემს გარდა კიდევ რაღაც ერთის, მთლიანის და უსხეულოს ყოფნა უკვე აშკარად იგრძნობოდა ირგვლივ. ისეთი დაძაბული ვიდექი, ძლივს ავაგლიჯე კბილი კბილს. შარვალი შევიკარი და ყველა შუქი ავანთე. მერე კანკალმა ამიტანა. მივხვდი, რომ ძალიან მციოდა. აბაზანაში შევევარდი და თითქმის მდულარე შხაპში ვიბანავე. ბანაობისას რამდენჯერმე დავიჭირე თავი, რომ ბევრს ვიხეხავდი ტანს და იღლივს. თითქოს რაღაცას ვიცილებდი — ცუდ და ლორწოვან ჭუჭყს. რამდენჯერმე მომეჩვენა, რომ წყალს შავი ფერი მიეცა, მაგრამ ეგ აღარ ვიცი, მართლა იყო, თუ უკვე უბრალოდ მინდოდა, რომ ეგრე მომჩვენებოდა.

გვიან საღამოსკენ კარზე ისევ ასე ნაცნობმა ორ-ორჯერ კაკუნმა თითქოს ცოცხლით გამომგავა ავი აზრების ოთახიდან: რამდენიმე საათი იქნებოდა, ბინის დიდ ოთახში წინ და უკან გიჟივით მიმოვდიოდი და ვატატოს წყობიდან გამოსვლის მომენტს ალბათ უკვე მეოცნასედ ვიტრიალებდით გონებაში. თავში თითქოს უსწრაფესად მოტრიალე წისკვილის დოლაბი მედგა, რომელიც საშინელი გრუხუნით ზრიალებდა, მაგრამ საერთოდ ვერაფერი ფქვავდა. ამ უცნაურმა, ერთი შეხედვით საოცრად თავისუფალმა ადამიანმა საერთოდ ამომავდლო კლაპოტიდან. თან აშკარად ვგრძნობდი, რომ მისი ასეთი წასვლით ბინაში მართლა შეიცვალა კლიმატი. ჩამოქნდილობიანი კედლები კიდევ უფრო ჩამოიქნებდა და ავეჯიც უფრო აქერცლილი და სარესტავრაციო გახდა. ოთახში მოსიარულე ვერაფერს ვხვდებოდი და იმასაც აშკარად ვგრძნობდი, რომ ეს ყველაფერი ამ ადამიანს უკავშირდებოდა, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაც რამდენიმე საათი იყო ვიცნობდი, უკვე მაგნიტივით მიზიდავდა და თან რაღაცით ძალიან მაფრთხობდა. თან ცხინებული ძია ანტონისკენ გამიბრბოდა

გონება... აქ რა ამბები ხდებოდა ნეტავ ჩემამდე...

ამ კაკუნმა გული მაინც უფრო სიხარულით ამიფრიალა, ვიდრე რაიმე უხიავით — ისევ პოზიტივმა გადასწონა და ბოლომდე დაჩრდილა ჯადო-გულისდარდი. გამოვალე და კარში ისევ ძველებური, გაღიმებული და სიცოცხლით სავსე ვატატომ დამხვდა. მას ხელში ეჭირა დიდი ლიტრიანი ბოთლი „ვარაყი“, ხოლო მეორეში კი, უზარმაზარი ლოყანითელა ვაშლი უღაჟღაჟებდა.

— განჯადოვება იცი რა არის? — შემომცინა მან მხიარულად. — ანი შეგიძლია ვატომ დამიძახო!

ერთბაშად ყველა სიშვევგადაყრილმა სახეში შევიცინე, მან კი პასუხად ვაშლი და ბოთლი ერთად გამომიწოდა.

— ჩემთვის სასმელი არ შეიძლება, მაგრამ შენთან ერთად ერთხელ ცვდი... ვაშლიც კარგად მიდის არაყზე.

ზედმეტი კითხვების დასმა უბრალოდ უადგილოდ მეჩვენა. ვატატოს დაბრუნებით აშკარად დათბა ბინაში. კედლის შპალერის ყვავილებიც ისევ აყვავილდნენ თითქოს და ბედნიერების კოეფიციენტმაც ერთი-ორმოცად იხუვლა ირგვლივ.



ღმერთი გამოქაზებით

ფრაგმენტი მომავალი რომანიდან

ტრაპეზობისას ვატატომ კიდევ უფრო უცნაურად გამეცნო და უკვე ძალიან იოლად დამდო ბეჭებზე. იმდენად გულახდლოდ და საინტერესოდ ყვებოდა ყველაფერს, ერთი პირობა შემრცხვა ჩემი მწერლობის, სადღაც დავმძიმდი კიდევ, თუმცა ვატატოს გადამკვიდე მაინც სულ ფხიზლად დაძაბული ვიყავი.

— რატომ წერ, იცი? — მკითხა ვატატომ და ჭიქა მომიჭახუნა.

— უცებ ძალიან დავიბენი და მივხვდი, რომ ასეთი კითხვა ჯერ არავის დაესვა ჩემთვის.

— რატომ ვწერ? — გავიმეორე მე და ვატატოს მზერა ძლივს გავუსწორე.

— ვატატომ ოდნავ დამცინავი სახით მიყურებდა და პასუხს ელოდებოდა.

— მე შენი საერთოდ არაფერი ვიცი... არც გამიგია... — თავად გამომიყვანა ვატატომ უხერხული დამუნჯებისგან და პასუხი განზე გადამადებინა.

— უცებ თავი ერთობ უბადრუკ ადამიანად ვგრძენი — ძალიან შემრცხვა, რომ თავად არასდროს დამესვა ეგეთი კითხვა საკუთარი მესთვის აქამდე და შესაბამისად არც პასუხი მეზება.

— სადა კითხულობენ წიგნებს... — უკეთესი პასუხი ვერ მოვძებნე და კიდევ უფრო დავითრგუნე.

— ჰა-ჰა... — გაეცინა ვატატოს. — რა სასაცილო ხარ... მოიცა, ერთი კითხვა შეიძლება?

— აბა?..

— თან გული გტკივა, არა?.. რომ ისე-

თი დაფასებული არ ხარ, როგორც იმსახურებ? გამოტყედი, აბა...

— დამცინი, ვატომ?

— თან ისე, რომ არც იცი — რატომ წერ?

— აქ ძალიან მოვიკრიბე, ნაძალადევად გაცივინე და თავი გადავაქანე.

— არაა ეგრე...

— იცი, რას გეტყვი?

— გისმენ!

— მე შენზე კაი მწერალი ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არაფერი დამინერია...

— ეგ როგორ?

— იმიტომ, რომ ძალიან კარგად ვიცი, რატომაც არ ვწერ...

— აქ საერთოდ გავივინე და უცებ მივხვდი, რომ ყველა ძალისა და ენერჯისგან დაცლილი ვიყავი.

— მე ჩემ თავს ვსწავლობ... — განაგრძო ვატატომ ისევ ეჭვიანი ღიმილით. — დამეთანხმე, ეს უფრო საინტერესოა.

— გაცილებით... — უკვე ინერციით ვყრიდი პირიდან სიტყვებს.

— თუ გინდა, ერთად ვისწავლოთ... ისე, შენთვის ეგ ძალიან ძნელი იქნება...

— აქ ღრმად ჩავისუნთქე და შევეცადე,

ამომასხა უცებ ყველაფერმა ერთად, თითქოს ამ ბრაზმა ერთიანად შუაზე გამბზარა და რაღაც სულისმაგვარმა დაიწყო სხეულიდან გადინება.

— გმადლობთ... კარგად! — უცებ ძალიან კმაყოფილად გაირინდა ვატატომ.

— გინდა მაგარი ისტორიები? — თვალი ჩამიკრა ვატატომ. — მე გავიხსენებ, ანუ მოვიგონებ დიდ და უფრო დიდ კატასტროფა-ამბებს, და შენ უნდა დაიმახსოვრო... თუ გინდა, ჩაინერე! თუ კარგად დანერ მერე, ანუ უსუსტად გადმოცემ, გამიარჯვებ...

— რა კატასტროფა?.. სად გავიმარჯვებ? — შემიწებული კი ვიყავი, მაგრამ მაინც მყოფინდა ნებისყოფა, გამეძლო, და საერთოდ თავპირისმტყრევით არ გავქცეულიყავი საკუთარივე ბინიდან.

— ღმერთზე და ეშმაკზე! ჩათვალე, რომ შენ თავს საბოლოოდ მოერევი და ბოლომდე გამოდენი მაგ უსარგებლო ნაგავს შენიდან... მოიცა... ერთი კითხვაც შეიძლება?

— ორი-ოთხი იყოს...

— სიყვარული რაა შენთვის, მწერლო? აქაც ისევ მოვიდა ძალა. წამოვივინე, წამოვჯექი და კედელს მივეყუდე. მერე შუქს ავხედე.

— თვალეზში მიყურე თუ შეიძლება! — ისევ ბრძანებასავით გამოუვიდა ვატატოს, მაგრამ ჩემთვის უკვე სულ ერთი იყო, მე მას უბრალოდ ვემორჩილებოდი და დინებას მივეყვებოდი. ამ დროს ერთდროულად ამომიტივტივდა გონებაში უამრავი დაუმარხავი და ცოცხალი ემოცია, დაკავშირებული ჩემს სიყვარულოვან წარსულთან — საბავშვო ბაღიდან დანწყებული აგერ სულ უკანასკნელი ადამიანით დამთავრებული, რომელთანაც ურთიერთობა ჯერ ბოლომდეც არ მქონდა დასრულებული.

— როგორ გითხრა, აბა...

— პირდაპირ! — ალესილი დანასავით იყო ვატატომ.

— ის ჩემთვის... ალბათ იქ იწყება, როდესაც ცხოვრების გზაზე, უცებ ძალიან შენიანს შეხვდები ადამიანი... და უფრო გიყვარდება ცხოვრება, უფრო გიყვარდება საკუთარი თავი... შესაბამისად, უფრო მეტის გაცემა შეგიძლია... უფრო გიყვარს ყველა... ყველა შენიანი კიდევ უფრო... უფრო ცხადად გრძნობ, რომ ყველაფერი კარგადაა...

— შენ უნდა დაივიწყო შენი წარსული!

— უცებ თითქოს გრდემლს უროსავით დაარტყა ვატატომ და უკვე გაბზარული მზერით შემომხედა. ოთახში უცნაური სიჩუმე ჩამოვარდა. ამ სიჩუმეში თითქოს აშკარად ისმოდა ვიღაც ფშვინვიერის ფშვინვა. მივხვდი, რომ ამ ხმას ვერ გავუძლებდი და უბრალოდ, ის რომ გადამეფარა, ლამის ვიყვირე:

— როგოოოორ?!

— როგორ? — მშვიდად გაღიმა ვატატოს. — რა როგორ? როგორ და — უცებ! შენ ვერ ხვდები, მაგრამ ეგ შენი ეგრეთ ნოდებული დიდებული წარსული ხელს გიშლის!.. წინვლაში!.. დიახაც! იმიტომ, რომ ჩაბმული ხარ მასზე! და ვერ შორდები! უჭირავხარ ყურებით! შენც სულ გახსოვს.. აგერ ახლაც! ხომ გახსოვს?

— მახსოვს. — ვთქვი მე და ვიგრძენი, რომ ახლა რაღაც ძალიან საშინელი მოხდებოდა.

— ვატატომ, ეს სიტყვა გაიგო, თუ არა, სახე აელენა, კისერზე ძარღვები დაებერა, მოპირდაპირე კედლისკენ ისეთი სისწრაფით გაქანდა სახით მისახეთქებლად, არ ვიცი, რა მოხდებოდა, რომ არა ჩემში გაჩენილი რაღაც უცნაური, ვეფხვისებრი რეაქცია — განზე უსწრაფესად გადგმული ნაბიჯით მისი დარტყმა პირდაპირ ჩემ თავზე ავიღე და იატაკზე ერთად დავყირავდი. მე ხელები მქონდა შემოსალტული ვატატოზე მთელი ძალით.

— გამიშვიითიითიითი!!! — უცებ ისეთ საზარელ ხმაზე დაიბრიალა ვატატომ, რომ ხელები კი არა, ყველა კიდური ერთდროულად დამიბუჟდა. ვატატომ უსწრაფესად წამოფრინდა ჩემგან და ზემოდან ისევ იმ თავისი მწარე თვალეზით დამაცქერდა. ცრემლი ორივეში ისეთ წასკდომაზე ჰქონდა, მეგონა, იხუვლებდა და ინვიმებდა.

— გამიშვიითიითიითი!!! — უცებ ისეთ საზარელ ხმაზე დაიბრიალა ვატატომ, რომ ხელები კი არა, ყველა კიდური ერთდროულად დამიბუჟდა. ვატატომ უსწრაფესად წამოფრინდა ჩემგან და ზემოდან ისევ იმ თავისი მწარე თვალეზით დამაცქერდა. ცრემლი ორივეში ისეთ წასკდომაზე ჰქონდა, მეგონა, იხუვლებდა და ინვიმებდა.

ლეჩხი ჩაი და ყავა (ვიტომ)

მთელი დღე ჟოლოს ვკრეფდითო,
 ვჭამდითო,
 პირში მჟავე ჯადო გვეწურებოდაო,
 ისეთი, სულ გვაკანკალებდაო,
 თრიაქის მოსავალსაც დავხედავდითო,
 ერთ ფოთოლს მოვწყვეტდითო,
 დავფუშვნიდითო,
 გავაბოლებდითო,
 ამასობაში ჩამოხვედებოდაო,
 და ბულბულიც მოფრინდებოდაო,
 კანფეტის ხეზე შემოჯდებოდა
 ჩვენს ეზოშიო,
 და დაინყებდა თავის სიმფონიებსო,
 ვინეკითო,
 ჩახუტებულვებითო,
 მეტი უკეთესი აღარაფერი შეიძლებოდაო,
 ირგვლივ მთელი სოფელი
 ასევე გაყურდებოდა
 და იმ ჩვენს ბულბულს უსმენდა,
 კანფეტის ხეზე შემოსკუპებულსაო,
 და გვეძინა ასე,
 რომ ვიღვიძებდით,
 ისევე ჟოლოს საკრეფად გავდიოდითო,
 და სულ ასეო და ასეო,
 და ანია ჩემმა გრუზათმიანმა მეგობარმა ხელი,
 გააჩერა სამოთხის ბალის ამბების მთხრობელი
 ბიჭი და გოგო,
 და თქვა ასე:
 აიო, ადრეო,
 პოეზია ეგ იყო,
 ბულბულისთვის უნდა მოგესმინა
 და მერე მასზე დაგენერაო,
 ახლა რა არის პოეზიაო,
 ყავის და ჩაის დაღვევაზე წერს ყველაო,
 კარგი პოეტიც და ცუდი პოეტიცო,
 შანსი არაა, ხუთი-ექვსი ლექსი
 მაინც არ ჰქონდეს ნებისმიერს
 ყავის და ჩაის დაღვევაზე შეთხზული,
 მეტი თუ არაო,
 ეგლაა ახლა პოეზიაო,
 გაქრა ბულბულიო,
 და იცით, რატომ გაქრა ბულბულიო,
 იმიტომ, რომ ბულბული იმ ადგილებს ეტანება,
 სადაც თრიაქია დათესილიო,
 იქ მიფრინდება,
 იქ წრიალებს,
 იქ ემღერებაო,
 დავთესოთ თრიაქი და მოფრინდება ბულბული
 და შეიცვლება ქართული პოეზიაო,
 მე ვიჯექი, ვუსმენდი და
 თბილ თონის პურს ყუას ვატეხდი,
 და ეს თონის პური იყო ერთადერთი,
 რაც იმ სამყაროს ნაწილი შეიძლებოდა ყოფილიყო,
 რაზეც ის გოგო და ის ბიჭი ლაპარაკობდნენ.
 ეს კანფეტის ხე კი ვერ გამეგო, რა იყო,
 მეგონა ხუმრობდნენ,
 ან ფანტაზიორობდნენ,
 ვიკითხე და მიპასუხეს,
 მართლა არსებობს ეგეთი ხე,
 იაპონური ჯიშისააო,
 ფოჩებიანი არაა,
 მაგრამ კანფეტისთვისაა მართლაო,
 დაუდასტურა ჩემმა გრუზათმიანმა მეგობარმაც,
 თან ფანჯარაში იყურებოდა გაშტერებით,
 ბულბულის გალობას ისვენებდა, მეგონა,
 მაგრამ უცებ თქვა:
 ახლა აქ ყვავები გადაიფრენენო.
 თითოთ გვაჩვენა, საიდან წამოვიდოდნენ,
 და საითკენ გაეშურებოდნენ,
 სულ ზეპირად ვიცი მათი მარშრუტიო,
 ყოველდღე ასე მოძრაობენ,
 დაბნელებამდე 15-20 წუთით ადრეო,
 არ გვეჯერებოდა, მაგრამ წამოვიდა
 სულ მალე მათი გუნდი,
 მოტყლაშუნობდნენ მწყობრად თბილისის თავზე,
 ჩვენს კორპუსსაც გადაუარეს,
 ჟოლოზე, თრიაქზე და ბულბულზე ვლაპარაკობდით
 და ყვავ-ყორნებმა გადაგვიფრინეს,
 მაგრამ ესეც ხომ პოეზია იყო,
 ოღონდ თბილისელი პოეტის
 (მთიელისაც),
 და მივიღეთ ჩვენც ეს ყვავ-ყორნები,
 მივხვდით, რომ დღევანდელი ზღაპრის
 აუცილებელ ნაწილს წარმოადგენდნენ,
 და რომ მართო ბულბული კი არ დააკლდა
 ქართულ პოეზიას,
 ყვავ-ყორნებიც დააკლდნენ.
 რა გვექნა, არ იყო საშველი ქართული პოეზიის,
 და ამიტომ, რომ წავიდნენ ის გოგო და ბიჭი,
 მათი დატოვებული ჟოლოს მურაბა გავხსენით,
 ისეთი გემრიელი იყო, ცოტა შეგვემინდა,
 და გავანებეთ თავი,
 ერთმა ჩაი დავისხით,
 მეორემ — ყავა,
 და ვთქვით,



შოთა იათაშვილი

მაინც ასე უკეთესია,
 ასე უფრო პროგრესულია,
 ჩაიზე დავწეროთ ლექსები,
 ყავაზე დავწეროთ,
 დღეს ამაზე წერენ მაინც ნამდვილი პოეტები,
 ამაზე წერენ,
 ჰოდა, მეც დავწერე აი, ახლა ეს ლექსი და დავარქვი ასეც:
 „ლექსი ჩაიზე და ყავაზე“.

ასე ვქვდავ ცხოვრებას

მოგვე! აჰა, წაიღეთ!
 მოგვე! აჰა, წაიღეთ!
 მოგვე! მეტი არა მაქვს!
 წადი მაშინ, გვიშოვე!

ვუშოვე და მივეცი.
 მორჩა, კიდევ მოგვეცი!
 ვუშოვე და მივეცი.
 მერე ველარ ვუშოვე.

გამებუტნენ, გაბრაზდნენ,
 ბოლოს თვითონ იშოვეს.
 ორჯერ, სამჯერ იშოვეს
 დაბრუნების პირობით.

შეიცვალა „პლასტინკა“:
 დაუბრუნე, სჭირდებათ!
 დავუბრუნე ერთს, მაგრამ
 მეორეს ვერ ვუბრუნებ.

თანაც ამასობაში —
 ისევე: მოგვე! წაიღეთ!
 ისევე: მოგვე! წაიღეთ!
 ისევე: მეტი არა მაქვს!

ასე თანდათანობით
 სიმფონიაც აეწყო:
 მოგვე! აჰა, წაიღეთ!
 დაუბრუნე, სჭირდებათ!

აღარა მაქვს, გამიგეთ!
 გამიგეთ, ვერ ვშოულობ!
 მოგვე! აჰა, წაიღეთ!
 საკმარისი არაა!

ახალი ხმაც შემოდის
 უკვე ამასობაში:
 დამიბრუნე! მაცადე!
 დამიბრუნე! მაცადე!

დიდი ხანი გიცადე,
 მეტს ვერ დაგელოდები!
 დამიბრუნე, დამპალო!
 გაგხეთქავ ნაკერავზე!

აქ ისინიც ჩაერთვნენ:
 ცოტა კიდევ აცადე!
 დაგიბრუნებს ნამდვილად!
 ნესიერი ბიჭია!

და თან ამასობაში:
 ცოტაც მოგვე! გვჭირდება!

მოგვეთ თუ დავუბრუნო?
 ჯერ მოგვეცი, გვჭირდება!

იმასაც რომ ჭირდება?
 ის ხომ მაინც ისაა!
 ჩვენ კი ჩვენ ვართ, ამიტომ
 ჩვენ გვიშოვე, მოგვეცი!

ვშოულობ და ვიძლევი,
 ვშოულობ და ვაბრუნებ,
 უკვე დიდი ხანია
 ამ „პლასტინკას“ ვაბრუნებ.

ზოგჯერ ველარც ვაბრუნებ,
 იჭედება „პლასტინკა“.
 მერე მეც ვიჭედები,
 ვიჭედები და ვჭედავ.

ასე ვჭედავ ცხოვრებას
 უკვე დიდი ხანია:
 შემეყარა შოვნის და
 დაბრუნების მანია.

მოგვე! აჰა, წაიღეთ!
 დაგვიბრუნე! გვჭირდება! —
 ჩემი იავნანაა,
 ჩემი ძველი ჰიმნია.

ვიღვიძებ და ჩამესმის,
 ვიძინებ და ჩამესმის:
 მოგვე! აჰა, წაიღეთ!
 დაგვიბრუნე! გვჭირდება!

წიგნის წარის მიზეზი
(უცნაურიც არაა)

მოდ, წიგნი დავწეროთ!
 წიგნი რატომ დავწეროთ?
 სხვებმა რომ არ დაწერონ!
 სხვები მაინც დაწერენ...

მოდ, ქალი გავჟიმოთ!
 ქალი რატომ გავჟიმოთ?
 სხვებმა რომ არ გაჟიმონ!
 სხვები მაინც გაჟიმენ...
 (უცნაური ფორმა)

მოდ, ღვინო დავლიოთ!
 ღვინო რატომ დავლიოთ?
 სხვებმა რომ არ დალიონ!
 სხვები მაინც დალევენ...

მოდ, ფული ვაკეთოთ!
 ფული რატომ ვაკეთოთ?
 სხვებმა რომ არ აკეთონ!
 სხვები მაინც აკეთენ...
 (უცნაური ფორმა)

ამიტომაც ისევე ჯობს:

მოდ, წიგნი დავწეროთ!
 წიგნი რატომ დავწეროთ?
 სხვებმა რომ არ დაწერონ!
 სხვები მაინც დაწერენ...
 (უცნაურიც არაა)

— მწერლებმა, რომლებიც მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწეობდნენ, დიდი პროზაული მემკვიდრეობა დაგვიტოვეს. ჩვენი თაობა ინტერესით კითხულობდა ჭაბუა ამირეჯიბის, ოთარ და თამაზ ჭილაძეების, გურამ დოჩანაშვილის, რეზო ინანიშვილის, ოთარ ჩხეიძის, ნაირა გელაშვილის, ჯემალ ქარჩხაძის, რეზო ჭიჭიშვილის, ნუგზარ შატაძის, გოდერძი ჩოხელის, სოსო პაიჭაძის, ერლომ ახვლედიანისა და სხვათა პროზაულ ნაწარმოებებს. დღეს ჩვენი საუბარი ამ მწერლებს არ შეეხება, რადგან ეს უკვე კლასიკაა და როგორც მკითხველმა, ასევე ლიტერატორებმაც თავისი სიტყვა თქვეს. მათი ნაწარმოებები უკვე სკოლის სახელმძღვანელოებშია შეტანილი. დღევანდელი მკითხველისთვის, ალბათ, უფრო საინტერესო იქნება ბოლო 25-30 წლის ლიტერატურული ცხოვრების მიმოხილვა — 90-იანი წლებიდან, როცა თანდათან ფეხი მოიკიდა პოსტმოდერნიზმმა, რამაც დაარღვია ღირებულებათა იერარქია. ბუნებრივია, თუ წესრიგი არ არის, ჩნდება ქაოსი, აბსურდი. შეიქმნა ახალი ფორმები, შეიცვალა დამოკიდებულება ლიტერატურის მიმართ. რა ხდება დღეს თანამედროვე პროზაში? დააღწიეს თანამედროვე მწერლებმა თავი პოსტმოდერნიზმს თუ ზედმეტად გაგვირძეღდა გარდამავალი ეტაპი?

თანამედროვე რომანი აღარ ჯდება ტრადიციულ ჩარჩოებში, არ არის არც დასაწყისი, არც დასასრული, არც კვანძის გახსნა, არც მკვეთრად გამოხატული გმირი. ნაწარმოები მკითხველისთვის არ არის საინტერესო, როცა არ ხდება გმირის ზრდა, მისი განვითარება... თანამედროვე ლიტერატურა და ცდილობს სულიერებისგან. ვერ გაიგებ, ავტორს რისი თქმა უნდა, რისთვის წერს... ნუთუ ისევ იქ ვართ, საიდანაც დავიწყეთ 90-იან წლებში?

გია არგანაშვილი — საუბარი უნდა დავიწყო ბოლო ათწლეულების იმ მნიშვნელოვან ცვლილებებზე, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინა (ან უნდა მოეხდინა) ჩვენს ლიტერატურაზე. უპირველესად ეს იყო ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადება. ეს ისტორიული მოვლენა თავისი შედეგებით რომ სათანადოდ ასახულიყო ჩვენს ლიტერატურაში, ვიხილავდით თემატურ სიახლეს, მხატვრული სახეების სიუხვეს, ლიტერატურული ტიპაჟების სიმრავლეს. თუმცა, რა მოხდა და როგორ მოხდა ამ მხრივ ჩვენს ლიტერატურაში, ეს უკრავს შეფასების საგანია. გარდა ამისა, სწორედ უკანასკნელ ათწლეულებში გაიხსნა გზა დასავლეთისკენ. ჩვენ პირდაპირ შევეჯახეთ დასავლურ კულტურას. მოხდა ერთგვარი „მოკლე ჩართვა“. მართალია, ადრეც გვქონდა კულტურული კავშირი დასავლეთთან, მაგრამ მაშინ ეს სხვა ქვეყნის (რუსეთის) გავლენის ხედვითა და ჩვენამდე მხოლოდ ცივილიზებული სამყაროს შუქის ანარეკლი აღწევდა. ამჟერად კი, ჩვენი ღირებულებები, საბჭოური ნენებიდან გამორიდებული ეროვნული ფსიქოლოგია, პირისპირ შევეყარა განსხვავებულ კულტურას. ვერ მოვასწარიით იმის გააზრება, რა იყო აქ ჩვენთვის მისაღები და რა — არა. სრულიად მოუზადებელი აღმოგჩნდით ამგვარი ურთიერთობისთვის. ჩვენს ცნობიერებაში მართლაც „მოკლე ჩართვა“ მოხდა. ხშირად ამგვარ „ავარიულ“ სიტუაციასაც შეუძლია პოზიტიური შედეგის მოტანა, თუმცა, სიფრთხილევ არაა ზედმეტი. ზოგადად კი, თანამედროვე ქართულ პროზაში ჩვენ ძველის (ტრადიციულის) და ახლის (თანამედროვე ლიტერატურის) გავლენის) სინთეზს ველოდებით. მხოლოდ ეს იქნება სასურველი შედეგი. ცალკე არც მხოლოდ ძველი, არც მხოლოდ ახალი ჩვენთვის მისაღები არ არის... და კიდევ ერთი, როდესაც თანამედროვე ქართულ პროზაზე ვსაუბრობთ, ხშირად თავს იჩენს იმგვარი განწყობა, რომელსაც სოციალურ ქსელებში ხშირად ვაწყობდით. როცა თავისუფალი ლექსისადმი ამ ბოლო დროს გარკვეული წინააღმდეგობის ტალღა აგორდა, ფეისბუქში საინტერესო ტენდენცია გამოიკვეთა. ვისაც ურთიმო ლექსი არ მოსწონს, ის მის პროზაში გადატანას ითხოვს. ავიწყდებათ, რომ პროზას არანაკლებ ზუსტი დეფინიცია და მტკიცე საზღვრები აქვს. ის სხვა

მოკლე ჩართვის ეფექტი

- კრიზისი თანამედროვე პროზაში თუ გარდამავალი პერიოდი?
- კრიტიკა — როგორც ორიენტირი მკითხველისთვის
 - ლიტერატურული კონკურსები
- გამომცემლობები და რედაქტორები
- ლიტერატურა მოზარდებისთვის

ამ თემებზე სასაუბროდ მოვიწვიეთ **მია არგანაშვილი (მწერალი, კრიტიკოსი), ივანე ამირხანაშვილი (ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი) და ზვიად კვარაცხელია (მწერალი, გამომცემელი).**



ჟანრებისგან დაწუნებული ტექსტების სათავესდ ნამდვილად ვერ იქცევა...

— **ბოლო დროს ნაშთა ზღვარი ვერლიბრსა და პროზას შორის. გვხვდება ისეთი ტექსტები, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო პოეზიასთან. თავისუფალ ლექსსაც აქვს თავისი საზღვრები. სანამ არ იქნება დადგენილი კრიტერიუმი, რა შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ესა თუ ის ტექსტი ლექსად, მანამ სულ იქნება კამათი. რა თქმა უნდა, მხოლოდ ფორმა არ განსაზღვრავს ტექსტის პოეზიასთან კავშირს, მაგრამ, ასე თუ ისე, გარეგნულ მხარესაც უნდა მივაქციოთ ყურადღება.**

გ. ა. — მართალია, ბოლო დროს მსოფლიო ლიტერატურაში ჟანრების საზღვრები დაირღვა, გაჩნდა გარდამავალი ეგრეთ ნოდებული ქვეყანები... თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ მხრივ ლიტერატურაში ქაოსი გამეფდა. ჩვენს პროზაში კი სწორედ ამგვარმა სახიფათო ტენდენციამ იჩინა თავი, რასაც სოციალურმა ქსელებმაც შეუწყო ხელი. თავისთავად, ეს ტექნოლოგიური სიახლე (ზოგადად, ელექტრონული წიგნი) ჩვენთვისაც დიდი აღმოჩენა იყო. თუმცა მისმა „ტექნიკურმა პარამეტრებმა“ და ეგრეთ ნოდებულმა ეკრანის შიშმა საგრძნობლად დაზარალებს პროზის ჟანრი. საქმე ისაა, რომ ვრცელი ტექსტის ელექტრონული ვერსია შეუჩვეველი თვალისთვის ძველად ეკითხება ეკრანზე. ამიტომ გასაქანი მცირე პროზას მიეცა. და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მცირე პროზის საუკეთესო ტრადიცია გვაქვს, ჩანახატმა, ეტიუდმა, ესკიზმა, ჩანახატმა, ნარკვევმა, დღიურმა — მცირე პროზის ადგილი დაიკავებს და ამ სახით მხატვრულ პროზაში თავის დამკვიდრება სცადეს. მართალია, ეს ჟანრები არსებობს, მაგრამ ისინი ზოგადად ლიტერატურას ეკუთვნის. პროზას კი თავისი მკაცრი საზღვრები აქვს, რომელიც ამ სათაურის ქვეშ თემატურ მრავალფეროვნებას, კომპოზიციურ მთლიანობას, სიუჟეტურ განვითარებას, კვანძის გახსნასა და კულმინაციას, შესაბამისი მხატვრული სახეების გამოყენებას გულისხმობს. ყველაფერ ამის არგათვალისწინება სრულიად აკნინებს მხატვრული ტექსტის ღირებულებას და მის შეფასებას შეუძლებელსაც კი ხდის.

ამ ბოლო დროს არანაკლები პრობლემა შეექმნა კლასიკურ რომანსაც. წელს „საბას“ ლიტერატურულ კონკურსზე ოცდაათამდე რომანი იყო წარდგენილი. ეს ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის ძალიან კარგი შედეგია, მაგრამ ჩნდება კითხვა — ჟანრობრივად ოცდაათივე თუ აკმაყოფილებდა რომანის მოთხოვნებს? ხარისხზე აღარ ვლაპარაკობ...

ივანე ამირხანაშვილი — ბოლო ოცდაათწლიანი პერიოდი ჩვენთვის, ასე ვთქვათ, უხილავი პერიოდია. მართალია, ვმონანილოვობთ, მაგრამ ვერ ვხედავთ, რადგან ეს დუღილის პროცესია. შეიძლება დროის შემდეგ სხვებმა დაინახონ. პოსტმოდერნიზმი შემოვიდა ოთხმოცდაათიან წლებში. მერე ყველაფერი დაიპყრო და საბოლოო ჯამში ისე გაზავდა ჩვენს ლიტერატურაში, რომ აღარ ვიცით, რა არის პოსტმოდერნიზმი. ადრე ვთქვი, და ალბათ ძალიან მკაცრადაც კი გამოვივიდა, რომ პოსტმოდერნიზმი უნიჭოთა თავშესაფარია. ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი მთავარი პოსტულატი — ტოტალური ირონია — მიმდინარე უნიჭობის ნიშნად. ტოტალური ირონია მაშინ აწერინებს მწერალს, როცა სათქმელი არ აქვს, როცა ცხოვრებას ვერ გრძნობს, თემებსა და საგნებს ვერ ხედავს, თავის თავში იკეტება, მაშინ ყველაფრის ბატონ-პატრონი თვითონ არის... ამ დროს ლიტერატურა რა არის? უპირველესად აკადემიზმი! აკადემიზმი და ღვთის არსებობის აღიარება. მწერლობა იწყება რწმენით, რომ რაღაც არსებობს შენ ზემოთ, არსებობს სინდისი, მორალი, ეთიკა. ზოგი ახალგაზრდა პროზაიკოსის თავისუფალი ოპუსებში ხშირად შეგინიშნავს, რომ ავტორი ყველაფრის უფლებას აძლევს თავის თავს, დესტრუქციას მიმართავს. საბოლოო ჯამში ვიღებთ ანტიმორალს, ანტიეთიკას, ანტისინდისს. და სად არის ადამიანი? ადამიანიც ნაშლილია. მოკლედ, მინდა, იმ აღიარებამდე მივიდე, რომ პოსტმოდერნიზმი ჩვენთან არ არსებობს, არამედ ეს არის თვითმიზნური მიმართება პოსტმოდერნიზმისკენ, რომ ყველაფერი იყოს ინტერტექსტუალური, ინტერკულტურული, ირონიული, საბოლოო ჯამში — არაფერი. მე ყველაზე არ ვამბობ, მაგრამ ახალგაზრდა მწერლების უმეტესობის მთავარი მიზანი არის დესტრუქცია. კარგი მწერლები არ მიდიან დესტრუქციისკენ. წერა ცხოვრებამ უნდა გაიძულოს, ცხოვრებამ უნდა გიკარნახოს. საკმარისი არ არის, საკუთარი თავი გამოხატო. ცხოვრება უნდა მიჩვენო, ცხოვრება უნდა დამანახოს. ამ დროს ავტორი გადამეტებული ყურადღებას უთმობს მკითხველის ფაქტორს. ეთამაშება მას, თავს აწონებს, „ეკეკლუცება“ და ამას მიაქვს დიდი ენერჯია, მთელი შემოქმედებით ძალა. რას ვიზამთ, ამქვეყნად ბევრი წერისთვის იბადება, ცოტა კი მწერლობისთვის.

ზვიად კვარაცხელია — ბოლო ოცდახუთი წლის ქართული ლიტერატურის მთავარი ხაზი და ძირითადი თემები დიდწილად განაპირობა პოსტსაბჭოთა სივრცეში ყოფნამ, მაგრამ ჩვენს ქვეყანას ძალიან გაუგრძელებდა ამ სივრციდან გა-

მოსვლის პერიოდი. კონკრეტულად ჩვენი თაობის ჩამოყალიბებაც არეულობის წლებს დაემთხვა. ეს თაობა, მართალია, ძირითადად 2000-იანებში გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, მაგრამ ის დრამატული ამბები და ტრაგედიები არსად გამქრალა, მწერლობაში აისახა. ის, რომ საქართველო და მთელი ქართული კულტურა აღმოჩნდა გახსნილი სივრცის წინაშე, გარკვეულწილად დიდი პასუხისმგებლობაც არის. მნიშვნელოვანია, გახდება თუ არა ჩვენი თანამედროვე ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის განუყოფელი ნაწილი. ამ მხრივ ის ფაქტორიც გვიძლის ხელს, რომ საქართველოს კარგად არ იცნობენ. მსოფლიოს წიგნის ბაზრობებზე შევხვედრივარ ადამიანებს, მათ შორის კარგ ლიტერატორებსა და გამომცემლებს, რომლებსაც ცოტა რამ თუ სმენოდათ საქართველოს შესახებ. ზოგიერთმა ისიც კი არ იცოდა, რომ არსებობს ქართული ენა. ჩვენი მიზანია, მსოფლიოს გავაცნოთ საქართველო, როგორც დამოუკიდებელი, მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და ლიტერატურის მქონე ქვეყანა, დავაინტერესოთ უცხოელი გამომცემლები და შევთავაზოთ ისეთი ნაწარმოებები, რაც ღირებულია და თავის დროზე გამოჩნა მსოფლიო ლიტერატურულ სამყაროს. ხშირად ისმის სკეპტიკური განცხადებები, რომ ქართული ლიტერატურა არ ასახავს გლობალურ და აქტუალურ თემებს, რასაც ვერ დავეთანხმები. ჩვენი გამომცემლობები („ინტელექტი“, „არტანუჯი“) ინტენსიურად თარგმნიან უცხოურ ლიტერატურას, მათ შორის ნობელის პრემიის ლაურეატების შემოქმედებას, და ერთი რამე შეიძლება თამამად ითქვას: უფრო გახსნილი სივრცე რომ ყოფილიყო და თარგმანი გვქონოდა, კარგა ხნის წინ იქნებოდა დანარჩენი მსოფლიოსთვის ცნობილი თუნდაც მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პროზა (ოთარ ჭილაძე, გურამ დოჩანაშვილი...) და პოეზია (ტარიელ ჭანტურია, ვახტანგ ჯავახიძე, ბესიკ ხარანაული...).

— **დღეს, როდესაც ლიტერატურული კრიზისზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ ქართულ პროზაში არსებულ კრიზისად. მსოფლიო პროზაშიც შეიცვალა კრიტერიუმები. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წლებიდან წლები ნობელის პრემია ბობ დილანის მიენიჭა ამერიკული სიმღერის ტრადიციამ ახალი პოეტური სტილის შექმნისთვის, ხომ არ ნიშნავს ეს, რომ დიდი ლიტერატურის დრო დათავრდა და 21-ე საუკუნე არტის და არტისტების საუკუნეა? ამის თქმის საფუძველს ისიც მაძლევს, რომ შედეგის აკადემიის არჩევანს ყოველთვის რაღაც სხვა სარჩულიც უდევს და თითქმის არასდროს არის სუფთა ლიტერატურული. გარდა ამისა, შედეგის აკადემია ცდილობდა ხოლმე, მეტნაკლებად აკადემიური ყოფილიყო. მეოცე საუკუნის მოღვივების „მამები“: ჯოისი, კაფკა, პრუსტი და მუზილი არ ყოფილან ნობელიანტები. და უცებ ბობ დილანი... ხომ არ არის ეს ნიშანი იმისა, რომ შეიცვალა დამოკიდებულება ლიტერატურის მიმართ?**

ზ. კ. — არ მიკრთვ, რომ ნობელი ბობ დილანს მიენიჭა. ის ძალიან კარგი პოეტია, უბრალოდ ჩვენ თავიდანვე გავიცანით და შევიყვარეთ, როგორც მუსიკოსი. „არტანუჯმა“ რამდენიმე წლის წინათ გამოსცა ბობ დილანის ბრწყინვალე ავტობიოგრაფიული წიგნი. სხვათა შორის, შარშან სვეტლანა ალექსივიჩის ნობელმაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, განსაკუთრებით მისი რუსი კოლეგები აქტიურობდნენ. მგონია, რომ მსგავსი პოლემიკა და აზრთა სხვადასხვაობა ლიტერატურული პრემიის გარშემო ბუნებრივია.

გ. ა. — ჩემი აზრით, პოსტმოდერნიზმი არ არის მხოლოდ ფილოსოფიასა და კულტურაში აღმოცენებული მიმდინარეობა. პოსტმოდერნიზმი ბუნებრივი მოვლენაა, ფაქტია. პოსტმოდერნიზმი დეკონსტრუქციის ფაქტია, რასაც ყველა ემორჩილება. დეკონსტრუქცია — მეტაფორების გახსნის პროცესი — სინამდვილეში სწორედ გრეწვას გულისხმობს. და თუ გრეწვა აუცილებელია, ჯობს, ის მშენებელმა (შემოქმედმა) დაანგრიოს, რადგან მან უკეთ იცის, როგორ ააშენოს ხელახლა. ჩვენ კი როგორ შევხვდით პოსტმოდერნიზმს? საყრდენითა, განუკითხავი ნგრევით... ამან, რა თქმა უნდა, გავლენა მოახდინა ჩვენს

ლიტერატურაზეც. მაგრამ ეს არ არის დაუსრულებელი პროცესი. ნგრევა აუცილებლად დასრულდება (ან უკვე დასრულდა). ჩვენშიც დაიწყება შემოქმედებითი შენების პროცესი. მთავარია, რაზე დაავალებთ ახალ შენობას — ძველზე, ტრადიციულზე, ეროვნულზე თუ ახალი საძირკვლის გათხრას დაიწყებთ.

— ეს ალბათ მკითხველის დაკვეთაც არის, რომ მცირე პროზას ენიჭება უპირატესობა, რადგან მკითხველს სქელტანიანი რომანების კითხვის დრო აღარ აქვს.

ი.ა. — მართლაც სოციალური ქსელეები გარკვეულ გავლენას ახდენს ლიტერატურაზე. ელექტრონული ლიტერატურა, ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენი მომავალია. ცხოვრებაც თანდათან ვირტუალური ხდება.

ქართული კულტურა ყოველთვის იყო ევროპულთან დაახლოებული. ჩემი აზრით, იაკობ ხუცესი, შოთა რუსთაველი, დავით გურამიშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი თავიანთი შემოქმედებით ევროპელები არიან. მეოცე საუკუნის სამოციანელთა პროზაზე დიდი გავლენა მოახდინა ევროპულმა კულტურამ, განსაკუთრებით ჰემინგუის შემოქმედებამ. მაგრამ ეს იმდენად არ იგრძნობოდა, როგორც „მოკლე ჩართვა“. ჩვენი კინო, თეატრი და ლიტერატურა მაშინ იყო კარგი, როდესაც ქართულ ნიადაგზე იდგა. ეს ნიადაგი რომ გამოეცალა, დაიწყო კრიზისი. სანამ ევროპას ჩვენი ლიტერატურით დავაინტერესებთ, მანამდე ძალიან ბევრია გასაკეთებელი. ამ საქმეში უნდა ჩაერთონ, როგორც მწერლები, ისე რედაქციები, გამომცემლობები, სააგენტოები და ალბათ — მკითხველებიც.

— ხშირად გაიგონებთ ფრაზას „კრიტიკა არ არსებობს“. რა თქმა უნდა, არ შეიძლება ასე გადაჭრით ამის მტკიცება — ასე თუ ისე, ინერტული კრიტიკული წერილები, მაგრამ საზოგადოებისთვის, როგორც ჩანს, არ არის საკმარისი. ამის გარკვეული საფუძველიც არსებობს: კრიტიკული წერილები უმეტესი ნაწილი კლასიკურ ნაწარმოებებს ეთმობა, იქ კი თითქმის ყველაფერი გარკვეულია და მკითხველისთვის ინტერესს აღარ წარმოადგენს. გარდა ამისა, თითქმის აღარ ინერგება ობიექტურად მწვავე კრიტიკული წერილები, ღრმა ანალიზი. თითქოს კრიტიკამ ურთიერთმამებლური სახე მიიღო. მკითხველს კი სჭირდება გარკვეული ორიენტირი. როგორც ცნობილია, საზოგადოება იმ წიგნებს ეტანება, რომელთაც კარგი რეკლამა უკეთდება ან ამა თუ იმ კონკურსში გამარჯვებულს მოიპოვებს, მაგრამ ხშირად იმედგაცრუებული რჩება. კრიტიკა არ არის ოპერატიული. მაგალითად, გამოვიდა ახალი წიგნი, კარგი იქნება, მას მოჰყვეს კრიტიკული წერილი, ასე ვთქვათ, ცხელ კვალზე.

ი.ა. — კრიტიკა ფუფუნების საგანია. ლიტერატურული ცხოვრების ორგანიზებას ფინანსები სჭირდება. ადრე კრიტიკა სახელმწიფოსგან ფინანსდებოდა, დღეს აღარ არსებობს სახელმწიფო დაკვეთა. კრიტიკა არის რუტინული შრომა, ხანდახან ერთი სტატია თვეების განმავლობაში ინერტება, ანაზღაურება კი არ არის შესატყვისი, მიზეზულია.

გ.ა. — ცხადია, რომ კრიტიკა არსებობს და, საბედნიეროდ, ის სრულიად თავისუფალია. არავის წინაშე მას ვალდებულება არ გააჩნია, გარდა ქართული ლიტერატურისა. ამას წინათ სოციალურ ქსელში ერთ-ერთი ქართველი პოეტის ლექსი დაიდო და სულ რაღაც ორ დღეში მასზე რამდენიმე ვრცელი წერილი დაიწერა. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ კრიტიკა ფხიზლადაა, მუშაობს და არც ერთი მნიშვნელოვანი ლიტერატურული მოვლენა უყურადღებოდ არ რჩება. თუმცა, თვითონ საზღვრავს რა უფრო საუნიარეო საქმეა და რაში უნდა დახარჯოს თავისი აუნაზღაურებელი შრომა.

პირადად მე, ამ ეტაპზე, ლიტერატურულ ლექსიკონებზე და ლიტერატურულ-სოციალურ კვლევებზე მუშაობა უფრო აუცილებელ საქმედ მიმაჩნია. აგერ, რამდენიმე წელია, სათაურით „ლიტერატურული საქართველო“ ქართული ლიტერატურის მხატვრულ პერსონაჟთა სამეცნიერო საძიებელზე ვმუშაობ (არა მხოლოდ განვითარებულ ქვეყნებში, არამედ ჩვენს

სამეზობლოშიც ჩვენ ერთადერთი ქვეყანა ვართ, ამგვარი წიგნის გამოცემებზე რომ არ გვიზრუნია) და შეძლებისდაგვარად სოციალურ ქსელებში სტატუსების სახით თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებსაც (ცალკეულ ავტორთა შემოქმედებას) ვეხმებიან.

საქმე ისაა, რომ კრიტიკოსისთვის სხვა ფორმატში (გარდა სტატუსებისა) მუშაობა, უკვე არა მხოლოდ წამგებიანი, არამედ არაპრაქტიკულიცაა. დღეს, როდესაც კრიტიკული წერილების ბუქდვა და შემდეგ წიგნად გამოცემა გართულებულია, ვრცელ წიგნის წერილების წერა ცალკეულ ავტორთა შემოქმედებაზე აზრს კარგავს. ყურნალი „კრიტიკა“ წელიწადში მხოლოდ ერთხელ გამოდის (თანაც არ იყიდება). ამ საქმეს არც პერიოდული ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების აქტიურობა ჰყოფნის, რადგან პროცესები ლიტერატურათმცოდნეთა უფრო და უფრო მეტ ყურადღებას ითხოვს. მიუხედავად ამისა, დღეს საქართველოში უამრავი კარგი კრიტიკოსი მუშაობს და სახელმწიფოსგან ყურადღებას ელის. სახელმწიფოსა და ავტორს შორის კი შუამავლად გამომცემლობა დგას, რომელსაც თავისი კომერციული ინტერესები აქვს. მართალია, სახელმწიფო აფინანსებს ზოგიერთი ავტორის წიგნის გამოცემას, მაგრამ ეს ძალიან ცოტაა და საერთო სურათს ვერ ცვლის.



— საინტერესოა რა კრიტიკულებს უყვარს გამომცემლობა გამოსაცემ ლიტერატურას? რაზე ვთქვამთ აქცენტი: ცნობილ ავტორებზე, კომერციულ მხარეზე და ა.შ. ეცნობიან ნაწარმოებს და ისე წყდება წიგნის ბუდი, თუ საკმარისია ავტორმა თავად დააფინანსოს საკუთარი წიგნის გამოცემა? რა შემთხვევაში გამოსაცემს გამომცემლობა წიგნს საკუთარი სახსრებით?

ზ.კ. — „ინტელექტი“ და „არტანუჯი“ წელიწადში დაახლოებით 200-მდე წიგნს გამოსცემს. აქედან თითქმის 20-25%-ია თანამედროვე ქართველ მწერალთა ნაწარმოებები. ჩვენ გვყავს ავტორები, რომლებთანაც მუდმივად ვთანამშრომლობთ: თამაზ ჭილაძე, ტარიელ ჭანტურია, ვახტანგ ჯავახიძე, ირაკლი სამსონაძე, ბესიკ ხარანაული, ლაშა თაბუკაშვილი, ნინო სადღობელაშვილი... ასევე ვეძებთ საინტერესო დებიუტანტებსაც, ბევრი დამწყები მწერლის წიგნი გამოვეცით. გამომცემლობისთვის მთავარი კრიტერიუმი ავტორის ნიჭიერება და ტექსტის ხარისხია. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია კომერციული მხარეც, აქვს თუ არა ამა თუ იმ წიგნს გაყიდვის პერსპექტივა.

კარგია, რომ ბევრი წიგნი ითარგმნება და ეს სფერო ყველაზე განვითარებულია, მაგრამ თარგმანი ვერ ასახავს ჩვენი ქვეყნის, საზოგადოების მდგომარეობას. ეს ორიგინალურმა ლიტერატურამ, პროზამ და პოეზიამ უნდა გააკეთოს. თანამედროვე ქართველ მწერალს კი, იშვიათი გამონაკლისების გარდა, არა აქვს იმის ფუფუნება, ლიტერატურით იცხოვროს და წიგნში აღებული პონორარით შეინახოს თავი. დღეს ეს თითქმის გამორიცხულია.

ფიქრობ, ერთ-ერთი გამოსავალია ის გამოცდილება, რაც ბევრ ევროპულ ქვეყანაში არსებობს. როგორც ვიცი, ნორვეგიაში სახელმწიფო შეისყიდის იმ წელს გამოცემული ყველა თანამედროვე ავტორის წიგნს საბიბლიოთეო ქსელისთვის. თუ არ ვცდები, ესაა თითოეული წიგნის 700 ეგზემპლარი. კარგი იქნება, მსგავსი გამოცდილება ჩვენც გავითვალისწინოთ. ეს ერთდროულად რამდენიმე მხარეს გაა-

ძლიერებს: მწერალს, რომელმაც იცის, რომ მისი ყოველი ახალი წიგნი გარანტირებულად შეიძლება ეგზემპლარი გაიყიდება, გამომცემელს, ბიბლიოთეკებს და მკითხველს, რომელსაც ხშირად წიგნის შეძენის საშუალება არა აქვს.

— არანაკლებ მნიშვნელოვანია წიგნის რედაქტირების საკითხი. ხშირად წიგნს რამდენიმე რედაქტორი ჰყავს, მაგრამ სტილისტური შეცდომებიც კი არ არის გასწორებული. შეიძლება ძალიან შორს ვართ ისეთი რედაქტორისგან, რომელმაც ჰემინგუის „მოხუცი და ზღვა“ შეამცირებინა, მაგრამ მე მაინც მიმაჩნია, რომ რედაქტორი უნდა ხვდებოდეს, სად არის ნაწარმოებში სუსტი მხარეები და ურჩევდეს ავტორს, შეელოს გარკვეულ ფრაგმენტებს. რედაქტორს არა მხოლოდ ტექნიკური მხარე უნდა აინტერესებდეს.

ი.ა. — რედაქტორების პრობლემა არ არის მარტო გამომცემლობების პრობლემა. ამას აქვს თავისი სუბიექტური და ობიექტური მიზეზები. ჩვენ არ ვაფასებთ კარგ რედაქტორებს და არც შესაბამისი ნახალისება არსებობს. მეორე მიზეზი სუბიექტურია — ხშირად ავტორი თავად ითხოვს, რომ მის ტექსტში არაფერი ჩასწორდეს; აცხადებს, რომ რედაქტორი არ სჭირდება. 29 წელი ვიმუშავე რედაქციაში და ვიცი, რა ძნელია ავტორებთან ურთ-

იერთობა. ავტორს ჰგონია, რომ სარედაქტორო ჩარევა მისი შემოქმედების რევიზიას ნიშნავს. რედაქტორობის ტრადიცია ფაქტობრივად გაუქმებულია, ამიტომაც არ ემჩნევა წიგნებს რედაქტორის ხელი. გამომცემლობები ცდილობენ, ეს გამოასწორონ, მაგრამ ამას დიდი ძალისხმევა სჭირდება. თუ ასე გაგრძელდა, ლიტერატურის ენობრივი დოქ კიდევ უფრო გაუარესდება. საერთოდ, მკითხველი ისე მკაცრად აღარ ითხოვს ენის სინამდის, ენობრივი მხარე სერიოზულად აღარ აინტერესებს. ბევრმა ვერ გაიგო, რომ თავისუფლება არის პასუხისმგებლობა და არა პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება.

— ერთ-ერთი მიზეზი ისიც ხომ არ არის, რომ გამომცემლობები ძალიან ჩქარობენ წიგნის გამოცემას და რედაქტორს მცირე დრო აქვს წიგნის რედაქტირებისთვის?

ზ.კ. — წიგნი დღეს ბევრად უფრო სწრაფად გამოიცემა, ვიდრე ეს ათი თუ ოცი წლის წინათ ხდებოდა. ცხადია, არის შემთხვევები, როცა ეს ხარისხზეც აისახება და ამიტომ უფრო მეტი ყურადღება სჭირდება ავტორსაც, მთარგმნელსაც და რედაქტორსაც. ახლა მკითხველის მოთხოვნა ასეთია: ტექსტი რაც შეიძლება კარგი იყოს და თან წიგნი მოკლე დროშიც მომზადდეს, ეს კი ადვილი ნამდვილად არ არის.

ვიცი, რა ძნელია ავტორისთვის, რომ ვილაყამ, ამ შემთხვევაში რედაქტორმა, შენი დანერგილი ჩაგისწოროს, გადაგიხაზოს, მაგრამ მეორე მხრივ, მოგვიანებით ხვდები, რედაქტორის შენიშვნებმა რა დადებითი შედეგი მოუტანა წიგნს. ავტორი თავის ნაწერს ისეა შეჩვეული, რომ უჭირს ტექსტის რაღაც ნაწილს შეელოს, ეს მისთვის ხშირად ძალიან მტკივნეულია, მაგრამ რედაქტორი, უპირველეს ყოვლისა, ის კეთილსამყოფელი ადამიანია, რომელიც დაინტერესებულია, წიგნი უკეთესი იყოს.

— როგორ არჩევს გამომცემლობა რედაქტორს თარგმნილი ნაწარმოებებისთვის? ხდება ორიგინალთან შედარება

თუ მთარგმნელის კვალიფიკაციას ვენდობით? ძალიან ხშირად ქართული ტექსტი არ ემთხვევა ორიგინალის ტექსტს. ამას წინათ ერთ-ერთ ლიტერატურულ ჟურნალში გამოქვეყნდა წერილი, რომლის ავტორმაც შეადარა თარგმნილი დედანთან. ორი სრულიად განსხვავებული ნაწარმოები გვეგონებოდათ. რას აკეთებს გამომცემლობა ასეთი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად?

ზ.კ. — ჩვენ ვთანამშრომლობთ პროფესიონალ მთარგმნელებთან, და მათ მიერ მოწოდებულ ტექსტებს ხშირ შემთხვევაში არ ვადარებთ ორიგინალთან. ისე კი, უმრავლეს შემთხვევაში ცვდილობთ, თარგმნილ ლიტერატურას ორი რედაქტორი ჰყავდეს. მართალია, დაბალხარისხიანი თარგმანებიც გვხვდება, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ამ ბოლო დროს მაინც ყველაზე მეტად მთარგმნელობითი საქმიანობაა განვითარებული.

გ.ა. — არიან ჩვენში ავტორები, რომელთა ნაწარმოებები მრავალ ენაზეა თარგმნილი. თუმცა, ბევრი, არანაკლებ საინტერესო მხატვრული ტექსტი, ჯერ კიდევ თავის რიგს ელის. ეს შეუსაბამობა როგორმე უნდა დაიძლიოს, რადგან საბაზრო ეკონომიკა მრავალ ნიჭიერ შემოქმედს აქაც სრულიად უპერსპექტივოდ ტოვებს.

ზ.კ. — კულტურის სამინისტროს აქვს წიგნის გამოცემის ხელშეწყობის პროგრამა; ქართული წიგნის ეროვნული ცენტრი აფინანსებს, როგორც უცხო ენებიდან ქართულად, ისე პირიქით — ქართველი ავტორების უცხო ენებზე თარგმნას; თბილისის მერიამაც შეგვქვს ხოლმე პროექტები ამა თუ იმ წიგნის დასაბუქდად. ლიტერატურაში, როგორც კერძო სექტორისგან, ისე სახელმწიფოსგან გაცილებით მეტი თანხა უნდა ჩაიდოს. ერთჯერადი გრანტები არ არის საკმარისი. როგორც კი დაფინანსება გაიზრდება, თავის შედეგს გამოიღებს.

გ.ა. — თანამედროვე ქართულ პროზაზე საუბრის დროს ვერ ავცდებით ენის პრობლემას. ეს მუდმივად მოუგვარებელი საკითხია. მართალია, რაც უნდა ბევრი გავაკეთოთ ამ მხრივ, კმაყოფილების განცდა არ გვექნება, მაგრამ სახელმწიფოსთვის ქართული ენის დაცვისა და განვითარების პროგრამა მუდამ პრიორიტეტული უნდა იყოს.

ნაკლებად მაშინებს მხატვრულ ლიტერატურაში სალაპარაკო ლექსიკის დამკვიდრების ტენდენცია. ეს ბუნებრივი რეაქციაა იმ მეტისმეტად გადაპრანჭული ტექსტების მიმართ, რომელიც გასული საუკუნიდან ცუდ მემკვიდრეობად ერგო ჩვენს ლიტერატურას. მაინცდამაინც არც მოძალბებული ბარბარიზმები მაკართობს. ენის თვისებაა — ბედური ცხენით გაივლის ამ ცხოვრების „მღვრიე წყალში“, გაიბერტყავს ტანს და წავა თავისი გზით. ჩვენ ბევრჯერ ვნახეთ, თუ როგორ გათავისუფლდა ენა ამგვარი ბარბარიზმისგან (თავის დროზე იაკობ გოგებაშვილს ლამის შეუძლებლად მიაჩნდა ქართული ენიდან „სტოლის“ და „აკოშკის“ განდევნა). მე უფრო დიდ პრობლემად ლიტერატურაში ქართული ენის სინტაქსის შეცვლას ვხედავ. უცხოური ენიდან ფრაზეოლოგიის სიტყვა-სიტყვით თარგმნა სრულიად შეცვალა ქართული წინადადების სტრუქტურა. ამიტომაც, რომ კითხულობ მხატვრულ ტექსტს და ვერ გაგირკვევია, უცხოური ტექსტის ცუდი თარგმანია თუ ორიგინალური ტექსტის უხეირო სინტაქსური ნყობა.

ხშირად დიალექტის არასწორი გამოყენებაც მკითხველის საფუძვლიან უკმაყოფილებას იწვევს. მხატვრულ ტექსტში კუთხური მეტყველების შემოტანა მხოლოდ აუცილებლობით უნდა იყოს გამართლებული. ზოგიერთს ჰგონია, რომ დიალექტი ის სამკაულია, რომელიც ყველაფერს დაამშვენებს და ამის დასამტკიცებლად ჩვენს კლასიკურ მემკვიდრეობას ასახელებს... ავინყდებოთ, რომ ქართულ კლასიკურ პროზაში — დავით კლდიაშვილის და ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში — ლიტერატურული ენისა და დიალექტის ის უშოვიათესი თავსებადობაა, რომლის მიღწევა დიდ ნიჭსა და გამოცდილებას მოითხოვს.



ი.ა. — ენით იწყება მწერლობა. ჯავახიშვილი ამბობდა, ენა არის მწერლის ბალავარიო. ჩემი აზრით, ენით იწყება ყველაფერი. მე ვერ ვურჩევ ახალგაზრდა მწერალს, როგორ დაიწყოს წერა. მწერლობა იწყება ენის სტიქიაში შესვლით. ვინც ენის სტრუქტურაში ვერ შევიდა, მან არ უნდა დაწეროს.

ზ.კ. — თანამედროვე ლიტერატურა უნდა ასახავდეს ცხოვრებას, მაგრამ არ უნდა იყოს ცხოვრების ასლი. ხშირად შეიმჩნევა ჩვეულებრივი სასაუბრო ენის ლიტერატურაში გადმოტანა. ლიტერატურა არ არის ვიდუკამერიო ცხოვრების დაკვირვება. ავტორი ახალ ლიტერატურულ სინამდვილეს ქმნის, ის თავის სამყაროს ძერძავს. ფოლკლორმა, მარკსმა, ოთარ ჭილაძემ და სხვა დიდმა მწერლებმა თავიანთი ლიტერატურული სამყარო შექმნეს.

ი.ა. — უნდა გაიმიჯნოს ცხოვრება და ლიტერატურა. ხშირად რაც ცხოვრებაში ეფექტურია, ლიტერატურაში არ არის ეფექტური და პირიქით. მწერალი უნდა ხვდებოდეს, რომ როცა ცხოვრება გადმოაქვს, ის მხატვრულ სისტემაში უნდა შემოიტანოს. პირდაპირი სურათი ხელოვნება არ არის, ლიტერატურა კი ხელოვნებაა. ახალგაზრდა პროზაიკოსმა ნაიკითხა ბუკოესკი, კერუაკი, მილერი, სელინი და ფიქრობს, რომ თვითონაც დაწერს ასე და გადმოაქვს თბილისური სურათები. მაგრამ შემოთ ჩამოთვლილ მწერლებს სისტემაში გადმოაქვთ ცხოვრება, ახალგაზრდა პროზაიკოსები კი ამას ვერ აკეთებენ. ილუზია იქმნება, რომ ცხოვრება პირდაპირ არის აღწერილი, მაგრამ სინამდვილეში იქ ყველაფერი ხელოვნებად არის გარდაქმნილი.

— ახლა თუ ქუჩაზე წერენ, ცდილობენ სლენგი შემოიტანონ, რაც შეიძლება ბევრი გინება და უნაწიური სიტყვა გამოიყენონ... წელს პენრი მილერი ახსენეთ, საინტერესო ფაქტია, თუ როგორ ასწავლიდა მილერი ანაის ნინის რომანის წერას. ანაისი წერდა დღიურებს, შემდეგ ამ დღიურებს პენრი კითხულობდა, აშალაშინებდა, რჩევებს აძლევდა და საბოლოოდ მივიღეთ ანაის ნინის რომანები, რომლებიც იმდენად გულწრფელია, პირველადი ჩანაწერის შთაბეჭდილება ტოვებს, მაგრამ სინამდვილეში ეს ლიტერატურად გარდაქმნილი რეალობაა.

გ.ა. — ამჟამად ჩემი თაობის ერთ-ერთი საინტერესო მწერლის, ან გარდაცვლილ თამაზ ექვთიმიშვილის შემოქმედებაზე ვმუშაობ. ეს ავტორი მრავალმხრივი იქცევს მკითხველის ყურადღებას, მაგრამ არ შემოიკლია არ აღვნიშნო მისი დიდი სამწერლო კულტურა და ზომიერების განცდა, როდესაც ეს ავტორი სლენგს იყენებს თანამედროვე ქალაქური ცხოვრების ეპიზოდების აღწერის დროს.


მოჭარბებული სლენგი ან ენისადმი ზედმეტად პურიტანული დამოკიდებულება ეს ერთი მედლის ორი მხარეა. ვალიაროთ, რომ მხოლოდ სხვადასხვა კომპლექსებისგან თავისუფალ შემოქმედს შეუძლია მშობლიურ ენასთან თავისუფალი და კრძალული ურთიერთობის დამყარება.

— ლიტერატურულ კონკურსებსაც შეეხებით, რაც მწვავე თემაა. ერთის მხრივ დიდი სიხარულია ზოგიერთი ავტორისთვის, მეორეს მხრივ — წყენა და იმედგაცრუება. ხშირ შემთხვევაში ჟიურის წევრთა გადაწყვეტილებას არ ეთანხმებიან არც მკითხველები და არც ლიტერატორები. ხშირად ჟიურიც ცსოდავს, გადაწყვეტილებებს ნაცნობ-მეგობრობით იღებს... მე პირადად მივესალმები ყველანიარ კონკურსს, თუ ის ობიექტურად იქნება ჩატარებული. ჩემი აზრით, ეს მწერალთა სტიმულირებისა და მხარდაჭერის კარგი საშუალებაა. ჩვენთან ბევრი ლიტერატურული კონკურსი ტარდება: „საბა“, „წერი“, „ერთგულება“, „ხვარამზე“, „ოდეონი“, „ემიგრანტის წერილი“, „შემოდგომის ლეგენდა“, „ლიტერატურული მესხეთი“, „წინანდალი“, „დღიური“, „ლიტერა“, „თბილისი“, „ლიხს იქით და ლიხს აქეთ“ და სხვა. ხომ არ ხდება ავტორთა დახარისხება წარმატებულ და წარუმატებელ მწერლებად?

ზ.კ. — კონკურსები ლიტერატურული პროცესის სერიოზული მხარდაჭერები და რაღაც თვალსაზრისით წარმართველებიც არიან. ყურადღების ცენ-

ტრში მოქცეული წიგნი უკვე ყველას აინტერესებს. ვთქვათ, წელს „საბა“ ბეჭატურხულს მიენიჭა წლის საუკეთესო რომანისთვის „სამოთხიდან გაქცეულები“ და, რა თქმა უნდა, გაძლიერდა მკითხველის ინტერესი. მხარდაჭერის გარდა, ასეთ პრესტიჟულ ლიტერატურულ პრემიებს გარკვეული პასუხისმგებლობაც აქვთ ლიტერატურული პროცესის მიმართ.

ი.ა. — ყოველთვის იქნება აზრთა სხვადასხვაობა, რადგან ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც ჩვენი გემოვნება, ისე დამოკიდებულება ლიტერატურის მიმართ. დავა თუ კამათი ბუნებრივია. მთავარია, საერთოდ არ დაიკარგოს ობიექტურობა. შეიძლება ჟიური შეცდეს, მაგრამ მსჯელობის საფუძველი ობიექტურობა უნდა იყოს. ჩემი აზრით, პრემიის მთავარი არსია, მატერიალურად დავეხმაროთ კარგ მწერალს და რაც უფრო მეტი ფული იქნება ჩადებული ამ საქმეში, მით უკეთესი.



მოკლე ჩართვის ეფექტი

გ.ა. — დიდი პროზაიკოსები წავიდნენ ჩვენგან. ლიტერატურაში ავტორიტეტები აღარ არიან... მოდის ახალი თაობა. ნიჭიერებიც არიან, მოტივირებულებიც, მაგრამ როგორ გარემოს ვახვედრებთ მათ? მე მგონია, დღევანდელი გარემო არ არის მობილიზებული შემოქმედებითი ნიჭის გამოსავლენად.

დღეს რომ ჩვენ მწერლებით ვამაყობთ, მათ უმრავლესობას ჯერ კიდევ ჩემს სსოვანაში სახელმწიფოსგან (ასევე ხელისუფლებისგან) დიდი ხელშეწყობა და პატივი უქონდათ.

— უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოება მაინც ახდენს გარკვეულ ზეგავლენას კონკურსის ორგანიზატორებზე თუ ჟიურის წევრებზე. წელს მეტი ობიექტურობისთვის და გამჭვირვალობისთვის შეიქმნა „საბას“ მრჩეველთა საბჭო, რომელმაც დაასახელა ლიტერატორთა სია, ხოლო შემდგომში ამ სიიდან შეარჩიეს ჟიურის წევრები. გარდა ამისა, „საბას“ დამატა ნომინაცია — მკითხველის რჩეული დებიუტანტი, თუმცა საზოგადოების ამგვარი ჩართულობა ხშირად არ ამართლებს. ეს მაინც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა რაოდენობის ნაცნობ-მეგობრებს მოიზიდავს კონკურსანტი ხმის მისაცემად. მახსოვს ერთ-ერთ კონკურსში მკითხველის „რჩეული“ აღმოჩნდა პლაგიატი, რომელმაც გოდერძი ჩოხელის ფილმიდან მთლიანად აიღო სიუჟეტი...

ზ.კ. — მეც რამდენჯერმე ვყოფილვარ ჟიურის წევრი. შემიძლია, ვთქვათ, „წეროს“ მაგალითი გავიხსენო. ჟიურის წევრი მონაწილეობს მხოლოდ პირველ ეტაპზე და როდესაც ნაწარმოებს კითხულობს, ავტორის ვინაობა არ იცის. მეორე ეტაპზე გამარჯვებულს უკვე მკითხველი ირჩევს ხმის მიცემის პრივილეგიით. თუმცა არსებობს ნომინაცია — ჟიურის სიმპათია. უნდა ითქვას, რომ საბოლოო გამარჯვებულის შემთხვევაში ჟიურის და მკითხველის აზრი ხშირად არ დამთხვევია ერთმანეთს.

გ.ა. — ისევ დაუბრუნდები ამ თემას, ოღონდ ოდნავ სხვა კუთხით. კონკურსები ლიტერატურული ცხოვრების ნაწილია, ისევე როგორც შემოქმედება, მათი ანალიზი, გამოცემა და ასე შემდეგ.

ის, რომ მწერლებს თავიანთ „სივი“-ში უკვე შეაქვთ ინფორმაცია ამა თუ იმ კონკურსში მონაწილეობის ან გამარჯვების

შესახებ, იმას ნიშნავს, რომ კონკურსებს არსებითი გავლენა აქვს ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაზე.

არ ვიცი, სხვაგან როგორ არის ეს საქმე მოგვარებული, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამგვარი კონკურსებისთვის შეფასების რაღაც ერთიან, ზოგად კრიტერიუმებზე მუშაობა აუცილებელია. ნამდვილად მოძველდა ტექსტების შეფასების დროს იმ ზოგადემოციური დამოკიდებულებით სარგებლობა, რომლებიც ხშირად არანაკლებ კურიოზულია („დამბურძგლა“, „სისხლი ამიჩქროლა“), ვიდრე თვითონ ამ სიტყვებით შესაფასებელი ტექსტის შინაარსი.

ჩემი აზრით, კონკურსის მონაწილეებს უფლება აქვთ, წინასწარ იცოდნენ ჟიურის წევრთა ვინაობა. უნდა იცოდნენ, ვინ აფასებს მათ შემოქმედებას. ამას წინათ ლიტერატურული კონკურსის „ლიხს იქით და ლიხს აქეთ“ ჟიურის წევრი ვიყავი. ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ ჟი-

— მიუხედავად პროზაში არსებული კრიზისისა, მაინც გამოიკვეთნენ საკუთარი ხელწერით გამორჩეული თანამედროვე მწერლები: კოტე ჯანდიერი, აკა მორჩილაძე, ზაზა თვარაძე, ანა კორძია-სამადაშვილი, რეზო თაბუკაშვილი, არჩილ ქიქოძე, ზურაბ სამადაშვილი, რუსუდან რუხაძე, თეონა დოლენჯაშვილი... ჩამოთვლა სახიფათო საქმეა, შეიძლება ვინმე გამოგრიხს, ვილაცას ეწყინოს... კარგი იქნება, რომ კრიტიკოსები მათ შემოქმედებას განიხილავდნენ, უფრო ღრმად გააანალიზებდნენ. ერთი-ორი ნიჭიერი ახალგაზრდაც გამოჩნდა. მათაც უნდა მივაქციოთ ყურადღება.

ზ.კ. — რამდენიმე ავტორი წელანაც ვახსენე. ჩვენი გამოცემლობა აქტიურად თანამშრომლობს ვაჟა გიგაშვილთან, მაკა ჯოხაძესთან, ზაალ სამადაშვილთან, რუსუდან რუხაძესთან, დათო ქარდავასთან, ნინო თარხნიშვილთან, გურამ მეგრელიშვილთან, თეა თოფურიასთან, ცირა ყურაშვილთან. რამდენიმე თვის წინ გამოიცა გურამ გეგეშიძის ძალიან კარგი რომანი „ნათლისქრობა“, მალე რეზო თაბუკაშვილის, მაკა ლდოკონენისა და ტორენსა მოსის რომანებს შევთავაზებთ მკითხველს. როგორც ხედავთ, სრულიად განსხვავებული ასაკისა და სტილის ავტორები ჩამოვთვალე. ვცდილობთ, ჩვენ მიერ გამოცემულ წიგნებს კარგი თანამედროვე კრიტიკოსის წერილი ან რეცენზია ერთვოდეს.

გ.ა. — კარგია, თუ წიგნში მხატვრული ტექსტის შეფასება, რეცენზიაც დაიბეჭდება და თუ სხვა გამოცემლობებიც გაიზიარებენ ამ გამოცდილებას, მკითხველი უკვე არა მხოლოდ ავტორზე, არამედ კრიტიკოსზეც გააკეთებს არჩევანს. ეს კი საკმარისი პირობაა იმისთვის, რომ ვთქვათ: ჩვენში სრულფასოვანი ლიტერატურული ცხოვრება მიდის...

ზოგადად კი, ლიტერატურის წარმატებაზე რომ ვილაპარაკოთ, ამისთვის ქართული პროზის დღევანდელი მდგომარეობა საკმარისი პირობად არ მჩვენება. მე ველოდები იმგვარ აფეთქებას, რომელიც ახალ თემებს, განსხვავებულ ხედვას და თანამედროვე პერსონაჟებს შემოიყვანს ლიტერატურაში. ჯერჯერობით კი, ისეთი განცდა მაქვს, რომ რაღაც დიდი გავლენისგან უნდა დავიხსნათ თავი და გარკვეული სიახლით და თანამედროვეობის ნიშნით ქართული პროზა კვლავაც თავის მაგისტრალურ ხაზს უნდა დაეზურუნოთ. რა თქმა უნდა, ახლაც შემიძლია რამდენიმე თანამედროვე ქართველი მწერლის დასახელება, რომელთაც, დიდი ხანია, ქართულ მწერლობაში თვითნათი შემოქმედებით პროფილი შექმნეს, ან ახლა ცდილობენ თავის დამკვიდრებას, თუმცა, თავს ვიკავენ, რომ ვინმე არ გამომჩრეს. უფრო თამამად და სიამოვნებითაც ჩამოვთვლი ჯემალ თოფურის, სოსო პაიჭაძის, მერაბ აბაშიძის, ანა მხეიძის, ნუგზარ საჭაიშის სახელებს, რომელთაც გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ღირსეულად ჩაიბარეს და დღევანდლობას გადმოსცეს ქართული პროზა.

— განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვებისა და მოზარდების დაინტერესება ლიტერატურით. როგორ შევავაროთ მათ კითხვა? მე ჩავატარე მცირე გამოკითხვა, თუ რას კითხულობენ 13-15 წლის მოზარდები. აღმოჩნდა, რომ მათი უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს „ლიბერთინის“ წიგნებს. ეს არის თანამედროვე პოპულარული უცხოური ლიტერატურა, რომელსაც უმრავლესობა „პალიტრა L“ თარგმნის ქართულ ენაზე. ამ ნაწარმოებთა უმრავლესობის პერსონაჟები თავად მოზარდები არიან. ძირითადად არის ფენტეზი, ფანტასტიკა, ამბები უცხოპლანეტელებზე და ასე შემდეგ. ჩვენ რაც უნდა სია შევადგინოთ აუცილებლად წასაკითხი ლიტერატურისა, ისინი მაინც ტოლსტოის, ჰიუგოს, დიუმას, დიკენსის და ჰემინგუის ნაცვლად კითხულობენ „ლაბირინთში მორბენალს“, „ცეცხლით გამოცდას“, „სიკვდილით განკურნებას“, „მეზუსთავ ტალას“, „გიკი გოგოს“ და ასე შემდეგ. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენს მიერ შეთავაზებულ მწერალთა ჩამონათვალი სხვაა, და რას კითხულობს მოზარდი რეალურად — სრულიად სხვა. აქალბათ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ასაკში ხშირად ხდება ღირებულებათა გადაფასება,

შეხვედლებათა და ინტერესის სფეროს შეცვლა. ნიგნები, რომელთაც ისინი კითხულობენ, არც კლასიკაა და არც მაღალი დონის მხატვრული ლიტერატურა. დასაფიქრებელია, გემოვნებას ხომ არ იფუჭებენ ასეთი ნიგნების კითხვით? თუ მთავარია, კითხვა შეუწყვარდეთ, წარმოსახვა და ფანტაზია განუვითარდეთ, შემდეგ იქნებ კლასიკაც წაიკითხოთ?!

ზ.კ. — ნებისმიერი გზა, რომელიც მოზარდს წიგნთან მიიყვანს, ჩემი აზრით, გამართლებულია. გემოვნება ხომ თანდათან იცვლება, იხვეწება. ჩემთვის ყველაზე ჯადოსნური სამყარო არის ლიტერატურა. ხელოვნების არც ერთ სფეროს არ ვაკნინებ, მაგრამ ლიტერატურას აქვს უნარი, წარმოსახვა განავითაროს. მთავარია წიგნის კითხვის ჩვევა ჩამოუყალიბდეს ადამიანს, შემდეგ ეს ჩვევა უკვე მოთხოვნილებაში გადაიზრდება.

მახსოვს, ერთხელ, თბილისის წიგნის ფესტივალზე, ჩვენს სტენდთან შეიკრიბა, პატარა ბიჭმა, სთხოვა დედას, ზღაპრები იბრაჰიმოვიჩის წიგნი მიყიდო. დედამ ცოცხალი თავით არ უყიდა და რაც თვითონ მოსწონდა, იმას აჩვენებდა ხელში. მგონია, რომ ესეც გარკვეული თვალსაზრისით ძალადობაა. ჩვენს გემოვნებას ვახვევთ ბავშვებს და მერე გვინდა, რომ მათ ლიტერატურა უყვარდეთ. ყველას თავისი გემოვნება და ინტერესი აქვს. ხელოვნური ჩარევის შედეგად ბავშვი საერთოდ შეიძლება კითხვას. დაბალი ხარისხის ლიტერატურას, რა თქმა უნდა, სჯობს „თამაში ქვავის ყანაში“ წაიკითხოთ, მაგრამ ბავშვსაც დავუტოვოთ უფლება, თავად აარჩიოს საკითხავი ლიტერატურა, ჩვენ კი ძალიან ფრთხილად გავუწიოთ კონსულტაცია.

ი.ა. — რა წავაკითხოთ ბავშვებს, როგორ წავაკითხოთ, როგორ ვასწავლოთ კითხვა... სანამ ბავშვი წიგნს დაიჭერს ხელში, მანამდე უნდა ჩავრთოთ ის თხრობის პროცესში, მოვუყვებ ამბავს, თუნდაც გამოგონილი. ცნობის-მოყვარეობა გავუღვივოთ ბავშვობიდანვე. წარატივის პატარა ნამცეცხი უნდა შევიდეს ბავშვის გონებაში და მერე თავად დაიწყებს ფიქრს, რა აირჩიოს, რა წაიკითხოს. შეილება მოუყვებით ამბები, ზღაპრები, მაგრამ თუ მაინც არ წაიკითხავენ, შემდეგ დასხედით მთელი ოჯახი და მოაწყვეთ საერთო კითხვა. ყოველ საღამოს ერთად, მორიგეობით წაიკითხეთ, მაგალითად, შექსპირის პიესები. ყველანი ჩაერთეთ საქმეში. წაიკითხეთ ერთი პიესა, მეორე, მესამე... ბოლოს ბავშვები თვითონ მოითხოვენ, შეგეხვეწებიან, დაინტერესდებიან... ჩემი აზრით, ბავშვი უნდა ხედავდეს მშობელს წიგნით ხელში ყოველ საღამოს, რომ მაგალითი აიღოს მისგან. რაც შეეხება უხარისხო ლიტერატურას, თუ კითხულობენ, დაე, წაიკითხოთ. არა მგონია, ამით გემოვნება გაუფუჭდეთ.

გ.ა. — ძნელი სათქმელია, თუ რას მისცემს მხოლოდ პოპულარული წიგნების კითხვა მოზარდ თაობას. რა ღირებულებებს შესძენს მათ. ეს მხოლოდ წიგნზეც არ არის დამოკიდებული. ცხოვრებაც არანაკლებ საინტერესოა. კარგი იქნება, თუ მის „წაიკითხვასაც“ ვასწავლით ბავშვებს. ერთი სიტყვით, როგორც ანდერძად დაგვიტოვებს — არც სულ უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდან გამოხედვა. ჩვენთვის ძალზე ცოტაა, თუ მხოლოდ წიგნის მკითხველ თაობას გავზრდით, რომელიც ხშირად სრულიად უმწეოა ცხოვრების წინაშე. ჩვენ აქაც ოქროს შუალედს ვგაქვს მოსაძებნი. ამასთანავე, ლიტერატურასთან ერთად საჭიროა ხელოვნების სხვა სფეროებისკენაც მივაქციოთ მოზარდის ყურადღება. ვაჩვენოთ კარგი ფილმები, სპექტაკლები. ისინი ხომ ლიტერატურაზე არანაკლებ მოქმედებენ ბავშვის ფსიქიკაზე.

რაც შეეხება ლიტერატურულ კლასიკას — მე ვერ არ შემხვედრია ბავშვი, რომლის ცნობისმოყვარეობას ვაჟას, ილიას, რუსთაველის, შექსპირის, სერვანტესის, ჰომეროსის ინტერესისთვის გაეძღოს. გააჩნია, როგორ მივანოდებთ ამ მწერლების შემოქმედებას. ყველაფერი მაინც გარემოზეა დამოკიდებული. წიგნიერ გარემოში ბავშვს არ სჭირდება კითხვის დაძალება. ბავშვი თუ მშობელს წიგნით ხელში დაინახავს, მასაც აღეძვრება ინტერესი და მოუნდება საინტერესო ამბების სამყაროში შესვლა.

თუმცა, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ერთხელ წაიკითხული წიგნი ისევე არ ჩაითვლება წაიკითხულად, როგორც ერთხელ გაცნობილი ადამიანი ახლობლად...

საუბარს უძღვებოდა თამარ იაშვილი
მაია კუდავას ფოტოები



წინო სადღობელაშვილი

დაბერდა დედაჩემი,
ტკბილს ეტანება და
ჩვენ აღარაფერს გვიტოვებს.
გაიპარება სამზარეულოში,
ჩვენთვისვე შემალულ
ოდესლაცინდელ სასუნავებს გამოაძვრენს,
მიიყუთება ფარდასთან ან
ფარდის უკან
(რომ უფრო მეტად გაამძაფროს
მალულობის მაცდური განცდა),
ჩაყოფს თეთრ, უმწეო და
გალეულ თითებს ფერადფორებიან კანფეტებში,
ამოკენკავს, ამოათავებს...
რამდენჯერმე ისეც მოხდა,
კარი იმ დროს გავაღე,
როცა სიამოვნებისგან გატანჯულ ღიმილს
შოკოლადის ლინდაგზე
ფრთხილად იწმენდა,
თვალი შემასწრო და ბავშვივით
აიფარა ღიმილზე ხელი
და ორი იმხელა ცრემლი გადმოუვარდა,
რამხელაც მე ყოველთვის ჩემი ბავშვობა
წარმომედგინა,
მოგორავდა ეს ორი ცრემლი
ჩემკენ,
მთელი ოთახი გადმოლახა,
ბოლოს ერთმანეთს შეეწება,
შევაღე შაქრისფერი ცრემლის კარი,
შევედი და თვალს მოვეფარე,
რომ ხელი არ შემეშალა დედაჩემისთვის,
რომელიც ჩვენთვის ნაგროვებ
ცხოვრებასთან მიპარულიყო
და კიდებზე შერჩენილ თავლს
ჩუმად ულოკავდა...

ზღაპარი ფანჯრიდან დანახულ ხეებზე

ჩემო შვილო,
კარგად მოკალათდი მაგ სკაფანდრში,
ზღაპარი უნდა გიამბო
ფანჯრიდან დანახულ ხეებზე.
შენ საიდან უნდა იცოდე,
იყო ეგეთი ფანჯრები,
საიდანაც ხეები ჩანდა,
და იყო ხეებიც,
რომლებიც გვიგზავნიდნენ
პირველ შეტყობინებებს
ამინდის, ღრუბლების,
წელიწადის დროთა შესახებ...
შენ უკვე დიდი ხარ და
ეს ცათამბჯენი გაპატარავებს,
ამიტომ მე შემოძლია ერთდროულად
დიდების ზღაპარიც მოგიყვე და
პატარებისაც,
რა კარგია ცათამბჯენები,
რა დიდებული ჩანაფიქრია —
იცხოვრო ღრუბლებზე მაღლა და
სულ ერთი იყოს, დიდი ხარ თუ
პატარა ბავშვი,
რადგან რაც უფრო მაღლა მიინევი,
მით უფრო აღარ ხარ,
არ ჩანხარ,
სიმაღლე მაისის თოვლივით
გაქრობს,
ჰოდა, მე გიამბობ ზღაპარს
ხეებზე,
რომლებიც ცათამბჯენებამდე ვერ
გაიზარდნენ.
მათ ჰქონდათ მკვრივი მკლავები,
და როდესაც ამ მკლავებს შლიდნენ,
სამყაროში რაღაც ხდებოდა,
თითო ფოთლის ზედაპირზე
თითო ტალღას იქორჩიდა
ლურჯი ნიავი
და ჩვენს თავზე
სულ ზვირთებად გადადიოდა,
ქალაქის ბოლოს გაისმოდა
ქალაქის თავში მომღერალი
რომელიმე ჭადარი, ალვა,
ჩიტებსაც ჰქონდათ წაურთმეველად
თავშესაფარი,
ძალღებსაც — ჩრდილი
განა მარტო უკულმართი წესებისათვის!..
ბევრნი იყვნენ, მაგრამ ყველას მაინც
თავისი სახელი ერქვა,
გაარჩევდი ფერით, ზნით და
კიდევ იმით —
რომლის მუჭში უფრო
უხვად მოთოვდა ხოლმე,
რომელთან უფრო დიდხანს
დარჩებოდა თოვლის სტუმარი,
რომ მათი მსუყე ნასუფრალით
გემრიელად გული გვეჯერა!..



შენ საიდან უნდა იცოდე —
ამ ხეების ძირში პოეტებიც ცხოვრობდნენ ადრე,
იყო ეგეთი ძველი კასტა
სევდიანი დინოზავრების,
და მათ მთვრალ და აბღაუბდა
ნაფეხურებს
შინისაკენ სულ ხეები მიაცილებდნენ...
ხანდახან ვინმე მხარზე
თოფს თუ გადმოიღებდა,
რომ თავისი აჩრდილისთვის
დაეხალა და დაესვენა,
ეს ხეები შეუშვერდნენ ხოლმე
გულ-მუცელს,
რადგან ხეებმა აჩრდილების ფასიც იცოდნენ!..
ციდან ვილაც დასცქეროდათ
იმედის თვალთ და
თეთრ სხივებს სიზმრებივით
ტოტზე ჰკიდებდა...
ვილაცაზე გამახსენდა
და კიდევ ცაზე —
შენ არ იფიქრო, რომ
რაიმე გაკლია, კარგავ,
მშვიდად ისუნთქე მაგ სკაფანდრში და
ცათამბჯენთან ერთად აიწიე
უფრო ზევითკენ,
რადგან ჩვენი ერთადერთი მოძრაობა
მაინც ასვლაა,
რადგან, რაც უკვე ზევით დაიძრა,
ველარაფერი გააჩერებს,
შენ შეგიძლია,
მაგ უთვალავი სართულიდან
გადმოიხედო
და დატყევი იმით, რომ
არც დიდი ხარ და არც პატარა,
რომ არც კი ჩანხარ და
ცოტაც და,
ცაში ღმერთებს მიუკაკუნებ!
დედა გიამბობს ზღაპრებს
ხეებზე,
სხვა ზღაპრებსაც გიამბობს დედა,
რადგან ესაც დედის წესია —
ზღაპრებით მაინც გააადვილოს,
როცა რაღაც რთულადაა,
რთულად და ძნელად...

გელა ჩქვანავას

როცა მარჯვნიდან მთები გაკრავს,
მარცხნიდან — ზღვა,
დგახარ კომპასივით მომართული და
შენი ცენტრი თბილისს აჩვენებს,
ამ დროს ჩაგივლის ის,
მშვიდად მოგანებებს თავის ჩრდილს — ჩრდილზე
და შეგისწორებს:
ცენტრი არის სოხუმი!
სადაც უნდა იდგე და
რასაც უნდა ხედავდნენ
შენი თვალები,
რასაც უნდა აჩვენებდეს შენი ცხოვრება —
ძველი კომპასი,
თუნდ რომში იყო, ან
ქაბულში, ან ძალიან ლამაზ
და გამოგონილ მაკონდოში,
შენი ცენტრი მაინც არის სოხუმი! —
გეუბნება მისი ცისფერთვალა ჩრდილი და
ამ სიტყვებით უნებლიეთ გიცვლის
გეზს,
ყველაფერს თავდაყირა გილაგებს,
ვითომ გავლილ მანძილებსაც
უკან გიბრუნებს და თავიდან,
თავიდან,
საკუთარი ჩრდილიდან განყვინებს გზას.
შენც ბებერი მეზღვაური ხარ
კომპასით გულში,
შენც გახსოვდა ეგ საიდუმლო,
შენც გახსოვდა...

მწერალი

ოთარ ჯირკვალშივილი

ოთარ ჯირკვალშივილი — დაბადებული ქალაქ ონში, 90-იან წლებამდე დედ-მამასთან და დასთან ერთად მცხოვრები ქალაქ ცხინვალში და იძულებით გადმოსული დედაქალაქში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ეროვნული და საერთაშორისო ოსტატი ჭადრაკში, მოქმედი ადვოკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით; ოთარ ჯირკვალშივილი — წლებად „საბას“ ლაურეატი; მისი კრებული „ლაზარე“ — წლის საუკეთესო ელექტრონული წიგნი; მისი პროზა — სერიოზული ლიტერატურა, ინტელექტუალური საკითხავი.

ზოგადად, რა დამოკიდებულება გაქვთ ლიტერატურული კონკურსების მიმართ, როგორც გულშემატკივარს, მკითხველს და როგორც — მონაწილეს?

— უპირველესად, უნდა შევთანხმდეთ, რომ ლიტერატურული კონკურსი ჭადრაკი არ არის, სადაც ერთი მხარე მეორეს შამათს უკეთებს და იმარჯვებს. ჭადრაკში და ნებისმიერ სპორტში გამარჯვება ობიექტური რეალობაა, კონკურსში კი — სუბიექტური. როგორც თითქმის ყველაფერი ამ სამყაროში, კონკურსებსაც აქვს თავისი პოზიტიური და ნეგატიური მხარეები. დადებითი ის არის, რომ კონკურსები ახალისებს და სტიმულს აძლევს ლიტერატურული პროცესების განვითარებას და მკითხველს, გარკვეულწილად, უადვილებს ორიენტირებას ტექსტების სამყაროში. მოგესხებათ, ახლა იმდენი წიგნი იბეჭდება მსოფლიოში და საქართველოშიც, რომ მარტო გადათვალა იერებს არ ეყოფა ერთი ადამიანის სიცოცხლე. თუმცა არსებობს ნეგატიური მხარეც, მაგალითად, შარშან ნობელის პრემია მიანიჭეს სვეტლანა ალექსევიჩს, რომელსაც ძნელია, კარგი მწერალი უწოდო, სამაგიეროდ მილორად პავიჩი და უმბერტო ეკო უპრემიოდ გარდაიცვალნენ. მით უარესი პრემიისთვის! მანამდე კი შეგახსენებთ, რომ მე-20 საუკუნის ყველაზე დიდ და მნიშვნელოვან მწერლებს მარსელ პრუსტს, ჯეიმზ ჯოისს, ფრანც კაფკას, რობერტ მუზილს, ჰერმან ბროხს, ხორხე ლუის ბორხესს და უამრავ სხვას არ ჰქონიათ ნობელის პრემია. ჯოისი ვახსენე და არ შემიძლია არ გავიხსენო მისი დამოკიდებულება უსამართლოდ მინიჭებული პრემიების მიმართ. „ულისეში“ არის ასეთი ადგილი: ლოპოლდ ბლუმმა „პრემირებულ მოთხრობას ნახევარი მოახია გაბედულად და გამოიხოცა“. სამწუხაროდ, ჩვენთანაც და მსოფლიოშიც არაერთი ისეთი ტექსტისთვის მიუნიჭებიათ პრემია, რომელიც მხოლოდ „გამოსახოცად“ თუ გამოდგება, მაგრამ ჩვენთანაც და სხვაგანაც ბევრ გენიალურ ტექსტსაც აუღია პრემია, რაც უფროდ სასიხარულო ამბავია!

პირადად თქვენ რა მოგცათ „საბაში“ მონაწილეობამ, რა განცდასთან, ემოციასთან იყო დაკავშირებული კონკურსის ფინალში გასვლა და მით უფრო — ლაურეატობა?

— „საბაში“ მონაწილეობამ და პრემიის მინიჭებამ დიდი სიხარული და ფული მოცა — მესამე შვილის გაჩენის წინ ნამდვილად კარგი ამბავია! და კიდევ ის, რომ ამის შემდეგ უფრო მეტი აქცენტი ტექსტებზე უნდა გადავიტანო და ნაკლები — კონკურსებზე. თუმცა, მომავალშიც ვაპირებ მონაწილეობის მიღებას. „საბას“ ძალიან ვგულშემატკივრობ და მადლობას ვუხდის, როგორც ორგანიზატორებს, ისე ჟიურის წევრებს!

მაინტერესებს ასევე, იცნობდით თუ არა თქვენი კოლეგა კონკურსანტების ნაწარმოებებს. მხოლოდ ელექტრონული წიგნის ნომინაციას არ ვგულისხმობ. როგორი იყო მოლოდინი და როგორ შეაფასებთ ჟიურის არჩევანს სხვადასხვა ნომინაციაში?

— მთლიანობაში, „საბას“ წლებადელი ჟიურის მუშაობას დადებითად ვაფასებ, არა იმიტომ, რომ მაინცდამაინც მე მომანიჭეს პრემია. თუმცა არსებობს ერთი „მაგრამ“ — დარწმუნებული ვიყავი, რომ წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკის ნომინაციაში პრემიას ლექსო დორეული მიიღებდა. ლექსოს „წერის თავგადასავალი“ მნიშვნელოვანი წიგნია, რომელშიც ქართული ლიტერატურული სივრცისთვის ახალი სააზროვნო დისკურსია გახსნილი და განხორციელებული. ეს წიგნი მართლაც გრანდიოზული სივრცეა, სადაც მხატვრული ტექსტები უნდა განთავსდნენ და თავისი თავი დაადგინონ, განსაზღვრონ და განაჩენი გამოუტანონ. მოკლედ, ეს წიგნი მომავლის საქმეა. ასევე

გამოგიტყდებოდა და, შოთა იათაშვილის „პოეტური გამოცდილების სიმწარესა“ და ნინო თარხნიშვილის „ნინო's Notes“-ს ვგულშემატკივრობდი, ვფიქრობდი, რომ ეს წიგნები მიიღებდნენ ჯილდოს. ძალიან გამიხარდა, ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის დიდ ქართველ პოეტ ტარიელ ჭანტუიას რომ გადაეცა პრემია. ჩემთვის ორმაგი სიხარული იყო სცენაზე ამ ადამიანის გვერდით დგომა. ასევე ძალიან გამახარა ჩემი უფროსი მეგობრის, თანამედროვეობის გამორჩეული მოაზროვნის, ზაზა ფირალიშვილის შესანიშნავი წიგნის — „ირაკლი ფარჯიანი და შეხვედრის მეტაფიზიკა“ — ლირსულ-მა გამარჯვებამ. სხვა კონკურსანტების



ტექსტებზე აზრის გამოთქმისგან თავს შევიკავებ. მთლიანობაში მიმანია, რომ ჟიურის წევრს კარგად იმუშავა. პრემია „საბას“ როლი ლიტერატურულ ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანია.

რატომ — ელექტრონული წიგნი? არ გიფიქრიათ „ლაზარეს“ დაბეჭდვა?

— „ლაზარეს“ უახლოეს მომავალში აუცილებლად დაბეჭდვად. ძალიან მაღელვებს წიგნი ბეჭდური სახითაც ხელმისაწვდომი იქნება ქართველი მკითხველისთვის.

რა პრინციპით შეადგინეთ კრებული და შეარჩიეთ მოთხრობები, რომლებიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა პერიოდულ გამოცემაში დაიბეჭდა?


— ძალიან ზოგადად და ფილოსოფიურად თუ ვიმსჯელებთ, პრინციპს, რომლის მიხედვითაც შეადგინილია ეს წიგნი, ინტერპრეტაციების დაუსრულებლობა და შესაძლებლობების მრავალფეროვნება ჰქვია. არავითარი დიდაქტიკა, მორალისტობა, მანერულობა და არავითარი პრეტენზია ჭეშმარიტების ფლობაზე. მაგალითად, კრებულში არის შეტანილი მოთხრობა „კაბადოკიელი მამები“, სადაც სრულიად სხვა ინტერპრეტაციას ვუკეთებ ისტორიულ ფაქტებს. უფრო კონკრეტულად რას ვგულისხმობ? ამის ნახვა თავად ტექსტებშია შესაძლებელი. პერიოდულ გამოცემებში მართლაც დაიბეჭდა რამდენიმე მოთხრობა, თუმცა კრებულში დაუბეჭდავი მოთხრობებიც არის შეტანილი.

— გაგიკვირდებათ, მაგრამ თქვენი ნაწარმოებების პირველად წაკითხვის შემდეგ ვფიქრობდი, რომ მათემატიკოსი ხართ და ზუსტი მეცნიერებები თქვენი სფეროა. უმეტესად მათემატიკოსები ხედავენ ასე სამყაროს — არა ცალკეულ სფეროებად, დარგებად, არამედ ერთობლიობაში, ყოველდღიურობაში. თქვენთანაც ლიტერატურა, ისტორია, თეოლოგია, მხატვრული ტექსტი, პერსონაჟი, მკითხველი, სხვადასხვა მწერალი, სხვადასხვა ეპოქა, სხვადასხვა საუკუნეში დაწერილი ნაწარმოები, ხილული და უხილავი, წმინდა და დაცემული თავისთვის, ცალკეულად კი არ არსებობს, არამედ — დიდ კავშირში და სწორედ ესაა სამყარო. ამ ხედვის, ამ კავშირის ზუსტი და ბუნებრივი გადმოცემა

სიტყვებში, ასე დამაჯერებლად ახსნა ლიტერატურით, ალბათ მათემატიკოსს თუ შეუძლია-მეთქი, ვფიქრობდი.

— ზემოთ უკვე ვახსენე ჭადრაკი. მოჭადრაკე ვარ, საერთაშორისო და ეროვნული ოსტატი. ჭადრაკი რაღაც მართლაც ენათესავება მათემატიკას, თან მამა ფიზიკა-მათემატიკოსი მყავდა და ეტყობა, გენეტიკაც თავის როლს თამაშობს. ზუსტი ხედვა გაქვთ, ჩემი ტექსტები რაღაც თვალსაზრისით მართლაც მათემატიკურ-აბსტრაქტული ფორმულებით არის აგებული. იქ მკაცრად განსაზღვრული სქემებია, რაღაცნაირი ინტეგრალური სქემები, რომლებიც შესაძლოა განუსაზღვრელობაშიც გადადის. პარადოქსი! შესაძლოა ცოტა ცუდადაც ვექცევი პერსონაჟებს, რომლებიც ხშირად არ არსებობენ, ან თუ არსებობენ, ძლივს არსებობენ, ან ზოგჯერ თოჯინებს ჰგვანან, მაგრამ რა ვქნა, ტექსტი თავად წერს თავის თავს. მთავარი ხომ ტექსტია. თუ რას ვგულისხმობ ამ ფრაზაში, ვფიქრობ, ეს საკითხი კარგად არის გაშლილი მოთხრობაში „მღვდელი“.

რელიგიურ თემატიკას, სხვა მრავალ თემას შორის, განსაკუთრებით ხშირად მიმართავთ. იყენებთ, როგორც



ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას, გამოხატოთ სათქმელი — ზოგჯერ სრულიად არარელიგიური სათქმელიც, ანუ ისაუბროთ ნებისმიერ თემაზე, მოყვით ამბებში. საიდან იცნობთ ასე კარგად თეოლოგიურ და სასულიერო ლიტერატურას. რატომ არის დატვირთული თქვენი ტექსტები ბიბლიური და ეკლესიის ისტორიის სურათებით?

— პატარაობიდან მოყოლებული, როდესაც დედაჩემს ეკლესიაში წმინდა გიორგის ხატის წინ პირველად ვკითხე, ღმერთი ვინ არის-მეთქი, ამ თემას ჩემთვის აქტუალობა არ დაუკარგავს და როგორც ვვარაუდობ, არც არასდროს დაკარგავს. დღეს მაქვს ჩემი ჩამოყალიბებული შეხედულებები ამ საკითხთან დაკავშირებით, ახლა ამბზე ბევრს არ ვისაუბრებ, მხოლოდ იმას დავძენ, რომ ჩემი დღევანდელი მსოფლმხედველობა „მართლმადიდებელურ“ ნამდვილად არ ემთხვევა. შესაძლოა ვცდები, მაგრამ რაღაც თვალსაზრისით ყველა დიდი და მნიშვნელოვანი მწერალი თეოლოგია და ყველა დიდი და მნიშვნელოვანი ტექსტი თეოლოგიურია. პირდაპირ თუ ირიბად ბიბლიის ან სხვა რომელიმე დიდი რელიგიური წიგნის ნარატივის გამოძახილი. ამის გარეშე დიდი ლიტერატურა ვერ შეიქმნება, რადგან ყველაზე არსებითი მკითხველი ამ სამყაროში ღმერთს უკავშირდება. საქართველოში, სამწუხაროდ, იშვიათად გვხვდება თეოლოგიურ-ფილოსოფიურ საკითხებზე დიდი რეფლექსია პროზაში და სწორედ ამიტომ არ ვარ მალალი აზრის ქართულ პროზაზე. ბიბლიას და ეკლესიის ისტორიას სულ ვკითხულობ, დღე არ გავა, ბიბლია არ წავიკითხო და ეს, რა თქმა უნდა, აისახება ჩემს ტექსტებში. თუმცა ხშირად თამამ ინტერპრეტაციასაც მივმართავ ხოლმე, ექვემდებარება იმ ფაქტებს ნამდვილობას, რაც თითქმის დოგმატებად არის აღიარებული ქართულ საზოგადოებაში. ამის გამო ზოგი მკრეხელობაშიც მადანაშაულებს, თუმცა ლიტერატურაში მე ასეთ ცნებას არ ვცნობ. „ასავალ-დასავალს“ და „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირს“ ვერ კარგად არ შეუსწავლიათ ჩემი ტექსტები, თორემ „მკრეხელობაში“ და ისტორიული ჭეშმარიტების დამახინჯების მცდელობაში დადანაშაულება თქვენ მერე გენახათ.


— თქვენს ნაწარმოებებში ხშირად რთულია სიუჟეტური ხაზის დანახვა. წინა პლანზე თემა, მსჯელობა, ავტორია, მკითხველთან ურთიერთობა და ამით შორის იკითხება რაღაც ამბები, ისაბტა პორტრეტები. ძალიან ახლებური ტექსტებია. როგორ წერთ, რა ტიპის მწერალი ხართ, როგორ იწყებთ, როგორია მუშაობის პროცესი?

— ტრადიციულად, არსებობს „მარადიული“ ტრიადა: ავტორი-ტექსტი-მკითხველი. ასეთ დაყოფას არ ვცნობ და არც სიტყვა „მარადიული“ მჯერა. არსებობს მხოლოდ ტექსტი და იქ შედის ავტორიც, ტექსტიც და მკითხველიც, რომელთა გამიჯვნა პრინციპში გონების ტყუილია, პირობითია. კარგი ტექსტი არ უნდა გაძლევდეს ავტორზე ფიქრის საშუალებას (ის ხომ მოკვდა!), არც — საკუთარ თავზე, როგორც მკითხველზე. მხოლოდ ტექსტია, რომელშიც ყველაფერი ხდება და რომელიც ყველა მონაწილეობს. მორჩა და გათავდა. რაც შეეხება უფრო კონკრეტულად მკითხველთან ურთიერთობას, მიმანია, მკითხველს ტექსტის წაკითხვის დროს თან უნდა სდევდეს განცდა, რომ ის ახლა თავად წერს. ნებისმიერ ავტორს დროთა განმავლობაში გარკვეული დისტანციის განცდა, გაუცხოება ემართება თავის ტექსტებთან მიმართებაში. „ეს მე დავწერე?“ — სვამს შეკითხვას. ამ დროს რომელიმე სოფელში ცხელ „ფერთან“ მოკლალათებულ ბებო უზის იმავე ტექსტს, რომელზეც ავტორმა მინაგანად უარი თქვა, და ისეა შესული მასში, რომ ჰგონია, თითქოს ახლა რასაც კითხულობს, თვითონ დაწერა, მან გაიარა, ეს მისია. ახლა ვსვამ რიტორიკულ შეკითხვას: ამ ორიდან რომელია ტექსტის ავტორი? რა ტიპის მწერალი ვარ? ვცდილობ, ინტელექტუალური პროზის პაროდირების მეთოდის გამოყენებით შევქმნა ინტელექტუალური პროზა. რაც შეეხება მუშაობის პროცესს, ამას სიტყვებით ვერ გამოვცემ, ეს სრული სიგიჟეა! ერთ-ერთ სიმპტომს გეტყვით: მუსიკალური შეტევა ტვინზე. ხომ ამბობდა ერთი ანტიკური დროის ფილოსოფოსი, ნორმალური ადამიანი ლექსს ვერ დაწერსო. მე ვწერ, მაშასადამე...

მიუხედავად იმისა, რომ ამბზე თითქოს უკვე ისაუბრეთ, მაინც იმავე კითხვას გისვამთ, რაც თქვენ დასვით „მღვდელში“: ბოლოს და ბოლოს, ვინ არის მწერალი ტექსტთან მიმართებაში, რა ფუნქცია აქვს და რა პასუხისმგებლობა ეკისრება?

— ამ საკითხთან დაკავშირებით, პრინციპში, ვემბრობი მიგელ დე უნამუნოს კონცეფციას, რომლის მიხედვითაც ავტორი კი არ განსაზღვრავს და განაპირობებს ტექსტის მსვლელობას, ავტორი კი არ განაზობს პერსონაჟებს ცხოვრებას, არამედ ტექსტი და პერსონაჟები კარნახობენ ავტორს თავიანთ ბედს. ტექსტის საზღვრებს ვერავინ გადავა. ამბობენ, ღმერთს აქვს ამის ძალა — ამის მჯერა. რაც შეეხება ავტორის პასუხისმგებლობას, წერის პროცესში უპასუხისმგებლობის მომხრე ვარ. ლიტერატურაში არც პოლიტიკორექტულობა მომწონს.

„ლაზარე“ ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობა-სიმბოლოა, სადაც ავტორი საოცრად საინტერესო გზებით მიდის



მიზნამდე, ოსტატურად ახერხებს გადმოსცეს მთავარი — რომ ბარაბა ყოველთვის თავისუფალია, პილატე ისევ ხელს იბანს, ჯვარზე კი ისევ უდანაშაულოა გაკრული. და კიდევ ერთი მარადიული ხატი — ვირი, რომელზეც მსხვერპლი ზის. „კარიბჭეები დაიგმანება, ნიგნები დაიხურება, მაგრამ ვირი ყოველთვის იმოგზაურებს, რადგან მდუმარებას, ნაღველსა და მარტოობას არ ესაჭიროება ნიგნები და კარიბჭეები“.

— არსებობს ისტორიის გააზრების ორი ბიბლიური მოდელი: ერთი გვეუბნება, რომ ისტორიას საზრისი აქვს, ყველაფერი მიზანდასახულობის პრინციპს ემორჩილება, ყველაფერი ვითარდება და მიემართება რაღაც განსაზღვრული მიზნისკენ. ეს, ასე ვთქვათ, დიალექტიკური, ტელეოლოგიური მიდგომაა, რაც მოგვიანებით ჰეგელმა განავითარა. არსებობს მეორე მიდგომა. ეკლესიასტე ამბობს: „რაც იყო, იგივე იქნება, და რაც გაკეთებულა, იგივე გაკეთდება; ასე რომ, არაფერია ახალი მზის ქვეშ“ — ეს ალბათ ჰერაკლიტესეულ და ნიცშეანურ „მარადიული დაბრუნების“ იდეას ნააგავს. ამ ორ მიდგომას, დიალექტიკურსა და მეტაფიზიკურს, ხშირად ერთმანეთს უპირისპირებენ, რაც მე შეცდომა მგონია. ერთი მხრივ, მართალია ის, რომ ყველაფერი მეორდება, მაგრამ მეორე მხრივ, მგონია, რომ ამ განმეორების შედეგად ყველაფერი ვითარდება რაღაცანაირად სპირალურად და მიემართება რაღაც მიზნისკენ. ეს რაოდენობრივი ცვლილებების თვისობრივი გადასვლას ჰგავს. ამიტომ დაგეთანხმებით: ბარაბა ყოველთვის თავისუფალია, პილატე ისევ ხელს იბანს, ჯვარზე ისევ უდანაშაულოა გაკრული, „ჯვარი იგი ქრისტესი“ ცარიელი ვერასდროს იქნება და ასე შემდეგ. უკუნისამდე, მაგრამ ისტორია რაღაცნაირად მაინც ვითარდება, რაღაცა საზრისი აქვს, რაღაც მიზნისკენ მიემართება. აი, ვირი კი მართლაც რომ მარადიული ცხოველია. სანამ ვირი არსებობს, დედამიწაც იარსებებს და არა პირიქით. ეს ცხოველი სამყაროს უძველეს მითებსა და მისტერიებში ცხოვრობდა. იქიდან ბიბლიაშიც გადავიდა. შემდეგ აპოკალიფსიკური და დოსტოევსკით დამთავრებული — „იდიოტი“ აქვს საოცარი ადგილი ვირზე — უამრავი მწერალი წერდა მასზე. ვირს, მე-20 და 21-ე საუკუნეებშიც არ დაუკარგავს აქტუალობა მწერლებსა და რეჟისორებს. ასე საინტერესოდ მოგზაურობს ეპოქებში ეს ცხოველი. არც მე აღმოვჩინდი გამონაკლისი, ვირის საკითხს მთელი თავი მივუძღვენი „ლაზარეში“ და თუ მკითხველი დაინტერესდება, ძალიან გამიხარდება, რადგან ამ მოთხრობაში სწორედ ეს თავი მიყვარს ყველაზე მეტად! ჩემი „ვირი“, ასე ვთქვათ, ზოგჯერ ადამიანშიც გადადის და ამითაა საინტერესო.

— თქვენ გაქვთ სხვანაირად დაწერილი, სხვანაირი ენით შექმნილი ნაწარმოებებიც. მაგალითად, „ჰელენი“. უნაზესი, გამჭვირვალე, მსუბუქი ქსოვილის ტექსტი, სრულიად თავისუფალი რელიგიურობისგან.

— რაც შეეხება ნოველას „ჰელენი“, ის ჩემს მეუღლეს, ნინო კლდიაშვილს მივუძღვენი და სულ ახლახან შექმნილ ჩემს მესამე ბავშვს დავარქვი ჰელენი. ამით, მგონი, ყველაფერი ნათქვამია. ამ ნოველის რელიგია სიყვარულია, „სადაც, — როგორც ოთარ ჭილაძე ამბობდა, — დამარცხებული იმარჯვებს!“, სხვა არაფერი აკავშირებს ამ ნოველას რელიგიასთან.

— ძალიან მომწონს თქვენი თავისუფლება იმ თვალსაზრისითაც, რომ მხატვრულ ნაწარმოებში რეალური ისტორიული პერსონაჟების ცხოვრება შეიძლება შეცვალოთ. მაგალითად, ლაზარე, რომელიც ქრისტემ აღადგინა, მოგვიანებით კვიპროსის ეპისკოპოსი გახდა და მკვდრებით აღდგომის შემდეგ, მგონი, 30 წელი იცოცხლა, თქვენ ჯვარზე აიყვანეთ. ვფიქრობ, ეს ძალიან საინტერესოა — რეალური პირები მხატვრული ტექსტის პერსონაჟებად, სხვა ცხოვრებით, სხვანაირი ბიოგრაფიებით.

— თქვენ თავისუფლება ახსენეთ, ჰოდა, თავისუფლად მინდა დავსვა შეკითხვა: გახდა კი ლაზარე კვიპროსის ეპისკოპოსი? რა ვიცით მისი ცხოვრების შესახებ, მას შემდეგ, რაც ის ქრისტემ მკვდრებით აღადგინა? მაგალითად, ჟოზე სარამაგუ ცნობილ რომანში „იესოს სახარება“ ასეთ ეპიზოდს აღწერს: იესო განკურნავს ლაზარეს რაღაც მძიმე სენისგან, სავარაუდოდ ასთმისგან, რომელიც მას სულს უხუთავს და სიკვდილამდე მიჰყავს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ლაზარე განკურნებიდან მალევე კვდება. როდესაც ქრისტე მის მკვდრებით აღდგომას დააპირებს, ლაზარეს და, მარიამი, რომელიც, სხვათა შორის, სარამაგუს მიხედვით, მარიამ მაგდალინელია, იესოს ყურში ჩასწურწულებს, არ გინდა, არ გააცოცხლო, ნუ გაიმეტებ მას მეორედ სიკვდილისთვისო. გასაგებია, რომ ეს პაროდიაა, ცინიზმია, მწერლის ფანტაზიაა, მაგრამ გეთანხმებით, მწერალი აბსოლუტურად თავისუფალია ინტერპრეტაციებში! არის ერთი მართლმადიდებელი თეოლოგი, უფრო ფილოლოგი, ედიშერ ჭელიძე, რომელიც დღეს სერიოზულად ამტკიცებს, რომ „არეოპაგატიული კორპუსის“ ავტორი ფსევდო დიონისე არეოპაგელი, რომელზეც შალვა ნუცუბიძესა და ბელგიელ მეცნიერ ჰონიგმანს ეჭვი ჰქონდათ, რომ ქართველი პეტრე იბერი იყო — სწორედ ის პირველი საუკუნის დიონისე არეოპაგელია, რომელსაც პავლე მოციქულმა უქადაგა არეოპაგეში. განა ამ ფილოლოგის მიდგომა უარესი არ არის მწერლის თავისუფალ ინტერპრეტაციაზე? ტრადიციულ რელიგიებს ახასიათებს აბსურდული ამბებისა და მითების შექმნა. მათ მიერ გამოგონილ ისტორიებს დაახლოებით ისეთივე ლეგიტიმაცია აქვს, როგორც ჩემსას. საიდან

ვიცი, რომ რეალობასთან უფრო ახლოს ის ვერსიები არ არის, რომლებიც მხატვრულ ტექსტებში გვხვდება? მე, მაგალითად, ჩემი ვერსია უფრო მომწონს და რეალური მგონია, ვიდრე ის, რომ ლაზარე მკვდრებით აღდგომის შემდეგ 30 წელი კვიპროსის ეპისკოპოსი იყო. თქვენ მართალი ბრძანდებით, ვალმერებ თავისუფლებას!

— ერთ-ერთი მოთხრობაში ასეთ კითხვას სვამთ: „როგორ შევძლებ მომავალში მისგან დისტანცირებას ისე, რომ ერთხელ მაინც შევძლო მისი ნაკითხვა?“ რამდენად დისტანცირდით თქვენი სადებიუტო კრებულიდან, უბრუნდებით ხოლმე „კანფეტს“? როგორ იკითხება ის თქვენთვის?

— სხვათა შორის, შარშან „კანფეტი“ „საბას“ ფინალში იყო, როგორც წლის საუკეთესო ლიტერატურული დებიუტი. რაღა დაგიმალოთ, მეგონა, რომ პრემიას მიანიჭებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ სულ ორი ნიგნის ავტორი ვარ, მოთხრობა „კანფეტი“ და, ზოგადად, ნიგნი „კანფეტი“, მიმაჩნია, რომ ჩემი საუკეთესო ნამუშევარია. ვიცი, ამ თამამი განცხადების გამო, ბევრი გამაკრიტიკებს და ღიროსიც ვიქნები. გახდება თუ არა ეს ნიგნი ასეთივე მნიშვნელოვანი ქართული ლიტერატურისთვის, ამას მომავალი გვიჩვენებს. ამ ეტაპზე, რა გამოხმაურებაც მოჰყვა ასეთი ტიპის ინტელექტუალურ პროზას, მე პირადად კმაყოფილი ვარ, არც ველოდი ამდენს. აქედან პასუხი თქვენს შეკითხვაზე: „კანფეტისგან“ სათანადო მანძილზე დისტანცირება ჯერ ვერ შევძელი და მისი ნაკითხვა ობიექტურად ჯერ ვერ მოვახერხე. ვნახოთ მომავალში რა იქნება, შეიძლება შევძლო კიდევ.

— ხშირად გრამატიკა და ლიტერატურული ქართული და ტექსტის მხატვრულ-ესთეტიკური მხარე ერთმანეთს წინააღმდეგება, თქვენ ყოველთვის ებრძვით ირრეთს.

— გრამატიკა რომ არ არის ტექსტში მთავარი, ამაზე მგონი ყველა ვთანხმდებით, ერთი-ორი შეშლილი ფილოლოგის გარდა. ტექსტში მთავარია არა ის, რას ამბობ, არამედ ის — როგორ ამბობ. ამ მოსაზრების გამო სოციალისტური რეალიზმის ეპოქაში ფორმალისმისა და დეკადენტიზმში დამადანაშაულებდნენ და აუცილებლად დამხვრეტდნენ, მაგრამ რა ვქნა, უნდა ვალიარო, რომ ფორმალისტი ვარ. ფორმალს „ხელოვნება ხელოვნებისთვის“ ჩემთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს ვიდრე ფორმულას „ხელოვნება ხალხისთვის“. ჩემთვის სიურრეალისტიკური მწერლობა უფრო ღირებულია და ბევრად მაღლა დგას, ვიდრე რეალისტიკური. არის ნაწარმოებები, ბევრი ძალიან მაგარიც, სადაც აშკარად შეიძლება ფორმისა და შინაარსის გამიჯვნა, მე არ მომწონს ასეთი ტექსტები. ავიღოთ სემუელ ბეკეტის გენიალური რომანი „მოლო“ — იქ ვერასდროს გამიჯნავ ფორმასა და შინაარსს, რადგან თავად ფორმაც გულისხმობს, შეიცავს და ქმნის შინაარსს. ეს ნიგნი გელაპარაკება, ვთქვათ, „არაფერზე“. ავტორის ზეგენიალურობა ისაა, რომ ნიგნი შინაარსობრივად კი არ გელაპარაკება, არამედ თავად ნიგნი, როგორც ასეთი, როგორც მთლიანობა, გელაპარაკება, რომ ყველგან „არაფერია“. არაფრით არაფერზე გველაპარაკებინა და ეს ძალიან დამაჯერებელია, რადგან ფორმა ქმნის არაფერს და არაფრის მთლიანობას და რეალობის სიმულაციურობას. ეს დიდი პროზაა! გასაგებია, რომ მხოლოდ სურვილი არ კმარა, მაგრამ მეც ვცდილობ, რაღაც ამდაგვარი შევქმნა, გამოვივა თუ არა, სხვა ამბავია, მაგრამ „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის, ეს განწირული სულისკვეთება...“

— თქვენ მუშაობთ როგორც პროზაში, ისე პოეზიაში — ლიტერატურის ორ სრულებით განსხვავებულ სფეროში. რამდენად იოლია შემოქმედებითი ძალების გადანაწილება და რომელი უფრო ახლოა თქვენთან?

— ახლა „საბა“ რომ მომანიჭეს, რატომღაც ასე გამოცხადდეს: პოეტი, პროზაიკოსი, ესეისტი. მთელი ცხოვრება გავერბივარ „პოეტის“ სახელს და მაინცადამაინც პოეტი, თქვეს. ზოგჯერ ჩემი 5 წლის შვილი დამცინის: „პოეტო! პოეტო!“ არავითარი პოეტი, მე პროზას ვწერ! თუმცა, როგორც თითქმის ყველა ქართველს, მეც მაქვს დანერვილი ლექსები, სულ ესაა. თუმცა, ვგიჟდები პოეზიაზე. ისეთი ავტორები მიყვარს, იმათ ფონზე ჩემს თავს პოეტს როგორ ვუნოდებ. ისე, პოეტურ ხერხებს ზოგჯერ მივმართავ ხოლმე პროზაში და იქ ვახსნამ ხორცს ჩემს აუხებელ ოცნებას, გავმხდარიყავი პოეტი. ფოლკნერი ამბობდა — მასაც ჰქონდა კარგი ლექსების დაწერის ამოცანები — რომ შემძლებოდა ორ სტრიქონში გამოემეხატა ჩემი სათქმელი, ამოდენა ნიგნების წერას რატომ დავინწყებდი?! პოეზიაში დამარცხებული ხალხი, ძირითადად, გარბის პროზაში, მეც ამ ნაკადს ვეკუთვნი. გალაკტიონი რომ ვიყო, მოთხრობებს არასდროს გავეკარებოდი. სხვათა შორის, რამდენჯერმე სცადა მოთხრობის დაწერა და მგონი, იმაზე უარეს დღეში აღმოჩნდა, მე რომ აღმოვჩენილვარ ლექსის წერისას.

— ახლა თუ მუშაობთ რამეზე?
— დიახ, ახლა ვმუშაობ რომანზე, რომელსაც ჰქვია „ბეკეტი“. სხვათა შორის, ამ რომანის დასაწყისი ახლახან დაიბეჭდა ჟურნალ „არილის“ მე-8 ნომერში. წინასწარ ძნელია თქმა, მაგრამ, ჩემი გამოთვლით, თუ რამე არ შემიშალა ხელი, დაახლოებით, ერთ წელიწადში დავასრულებ. ამ რომანში იქნება იმ ყველაფრის განხორციელების ცდა, რაზეც ზემოთ თეორიულად უკვე მოგახსენეთ. ვნახოთ, საბოლოოდ რა გამოვა.

ალა დათუკიშვილი

ალუბლის კაბას გიქარგავდა წინანდლის მთვარე, ღვინოს კი არა, მირონს ვსვამდი ღამეს მთვარიანს, ამ სიმთვრალეში მონატრება ვეღარ დავმალე და გადამთვრალი მივაღექი შენს ძველ აივანს. ჩვენ დაგვაშორა წინაპართა სისხლის ციებამ, დროების გარდა არაფერი იყო ჩავლილი, მწკრივში ელაგა ალექსანდრეს მედალთა წყება, და ალაყაფთან შიშველი ხმლით იდგა შამილი. ყიოდა სისხლი და ყიოდა შავი მამალი, მტკიოდა გული, კავკასიის დაშლილი კუნთი, იმპერია კი, დიდებულთა შუამავალი, სისხლში ალბობდა ღირსეულთა გაუხდელ მუნდირს. ალუბლის გულ-მკერდს გიქარგავდა წინანდლის მთვარე, არავინ მითხრას შენი მინა დაკარგულია, კვიცი გვარზე ხტის, მართალია, ჰო და ჩათვალე, ღვინო კი არა, მე შენს გამო, სისხლი მწყურია.

შენს ნაოჭებში მე ვიკითხები, დე, მე ვარ დარდი, შენი ზღვისფერი თვალებია ჯვარცმის ამტანი, უნინ თუ მარტო, როგორც დედა, ისე მიყვარდი, ახლა შენ ჩემი ეკვტერი ხარ, ჩემი საყდარი. გეყრდნობი მხრებზე, არ ვენდობი მინას პირლიას, რადგანაც ხშირად ნამქცევია დედა-ბოძები, შენი თითები კელაპტრების ნაცვლად მიჭირავს, ვილოცებ, ვიდრე მესანთლებო დახლებს მოვძებნი. რა ბედენაა, დედაჩემო, გითხრა მაღლობა ან რას მიქვია გალექსილად გელაპარაკო, მაგრამ მარტოდენ ლექსში ვიცი გულის განდობა, ჩემო დარდისგან გაბზარულ ბროლის ლარნაკო. თავს მათენდება ცეცხლიფერი ცხელი აზია, ამომათენდა შენს ნატვრაში ფიქრის ღვედები, შენი სიბერე, დედაჩემო, რა ღამაზია, ეს რომ იცოდე, არასოდეს დამიბერდები.

ალავერდი

გუმბათებს უცქერს მშრალი ემბაზი, არ მოსჩანს წყალში ტაძრის მჭიდები, დღეს, როგორც რუმის, შამსე თაბრიზი, ისე მჭიდები. გარშემო, ღმერთო, არის სამოთხე, და არის მთები ნისლში უძირო, მოდი, უფალო, აქვე ჩამოვსხვდეთ და ჩვენს დანგრეულ ტაძარს ვუცქიროთ. არის მესანთლე, სანთელი, მნათე, მეც აქ ვარ ჩემი ცოდვებით სავსე, ნაშლილ ხატებთან კელაპტრებს ვანთებ, და ცოდვიანი ლექსებით გავსებ. და წვიმასავით მოდის კვირიკე, ეფარებიან ღრუბლის ტინკვიტი, ღმერთო, გვაშორე იოლ ბილიკებს, ღმერთო, ჯვარცმული რწმენით მჭირდები!



მინიატურების სამყარო

გოდერძი ჩოხელის გამორჩეული ოსტატობა თხრობისა, ორიგინალური შერწყმა რეალობისა და მაგიურისა ქმნის იმ განუმეორებელ ეფექტს, რომელიც საოცრად მოქმედებს მკითხველზე და არასოდეს ავინწყდება. მისი მოთხრობები და მინიატურები ერთგვარი მასტერკლასებია, როგორც დამწყებ, ასევე გამოცდილ მწერალთათვისაც. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მისი სახელობის კონკურსი ხელს უწყობს ახალი ნაწარმოებების შექმნას და მინიატურული ჟანრის პროპაგანდას.

წელს წარმოდგენილი საკონკურსო ნაწარმოებებიც გამოირჩეოდა თემატური მრავალფეროვნებით, ნაცნობი საგნებისა და მოვლენების სხვაგვარად, ახლებურად დანახვისა და გამოხატვის წყურვილით. ცნობილია, რა დიდ ძალისხმევასა და შემოქმედებით ენერჯიას მოითხოვს ნებისმიერი მცირე ფორმა, რათა ზუსტად შერჩეული სიტყვებით გამოხატო სამყაროსა თუ ადამიანური ცხოვრების სიღრმეები, იუველირის ოსტატობით ისე დახატო და გამოძერწო უმცირესი დეტალები, რომ მკითხველმა იგრძნოს ფერების, ხმებისა და სურნელის სიახლოვე. ამავე დროს, ამ დეტალებით წარმოაჩინო სიცოცხლის უზოგადესი კანონზომიერებანი. ყველაზე ძნელი, რა თქმა უნდა, საკუთარი სათქმელისა და ხმის პოვნაა, ამიტომაც იგრძნობოდა ქართული და მსოფლიო კლასიკოსების სტილური თუ თემატური გავლენები.

ვფიქრობ, ეს კონკურსი კვლავაც გაგრძელდება და ხელს შეუწყობს მინიატურის უძველესი ჟანრის განვითარებას. წარმოდგენილი ნაწარმოებები მონაწილენ, როგორც მკითხველს მინიატურის საზღვრები, ის ხშირად ემსგავსება მცირე მოთხრობას, ნოველას, იგავსა თუ ჩანახატს. ამ შემთხვევაშიც, მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს ამგვარი ჟანრული შერევის განცდა, თუმცა ნებისმიერი ჟანრის მახასიათებლები პირობი-

თია და არ ემორჩილება მკაცრ ჩარჩოებსა და კანონებს. ასევე დიდი ნათესაობა აკავშირებს მას ლექსთანაც — განწყობილებების, ლირიკული ნაკადების, მხატვრულ სახეთა სიუჟეტის თვალსაზრისით. მაგალითად, ბოდლერის „ლექსები პროზად“ კარგად გამოხატავს ამ ნათესაობას. მინიატურა განსაკუთრებით პოპულარული იყო მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში. ევროპაში მინიატურების დიდოსტატები იყვნენ შარლ ბოდლერი, სტეფან მალარმე, პიტერ ალტენბერგი, არტურ შნიცლერი და სხვები.

ქართულ ლიტერატურაში მინიატურის დიდი ტრადიციაა, ამ ჟანრში წერდნენ ვაჟა-ფშაველა, სანდრო ცირეკიძე, სერგო კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, შიო არაგვისპირელი, ჭოლა ლომთათიძე. მინიატურები უწერიათ ტიცციან ტაბიძეს, გრიგოლ რობაქიძეს, კონსტანტინე გამსახურდიას. რა თქმა უნდა — რეზო ინანიშვილს, გურამ რჩეულიშვილსა და უამრავ სხვას. ამიტომ დიდია პასუხისმგებლობა, როცა ქმნი მინიატურას, ერთგვარ აისბერგს, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილი ჩანს ზედაპირზე, უფრო მეტი კი წყლის ქვეშაა, ესე იგი, სიტყვებს მიღმა, ქვეტექსტებში ამოიცნობა დიდი საზოგადოებრივი სივრცეები და მხატვრული განზომილებები.

ყოურის (რომლის შემადგენლობაშიც ამირან არაბულთან და შარლოტა კვანტალიანთან ერთად მეც ვიყავი) მიერ შერჩეული ნაწარმოებები გამოირჩევა ამბების ორიგინალურობით, თხრობის ექსპრესიულობით, დასამახსოვრებელი პერსონაჟებითა და განწყობილებებით — სწორედ ეს იყო ის მთავარი კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შევარჩიეთ მხატვრული ტექსტები, თუმცა საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩა ბევრი საინტერესო და საგულისხმო მინიატურა.

მაია ჯალიაშვილი

I პრემია ნათია როსტიაშვილი კვამლის ღმერთი

„შილილნი... ში-ლა... შილილნი... ში-ლა...“ — უკბილო, მუდამ გასტერილებულ პირში, უცნაურ ნოტებს ალბობს ლოთიჟორა. ახალგამომცხვარ მელიოდის ღვინოში ჩანობილი პურის ლუქმასავით ლოლნის და, ზემოდანაც, ბოთლში მორჩენილ წყალ-წყალა არაყს ყლუპ-ყლუპ აყოლებს. საკუთარ თავთან ქედობს ლოთიჟორა, დროს ატარებს. მარტოკაცია, ერთი კოცონი უნთია, კინკილა სიმღერას ატრიალებს ჩახვეული „პლასტინკასავით.“ თვითონ მღერის, თვითონ უსმენს და შიგადაშიგ, ტაშსაც არ ამადლის ამ თავის კენტად მოქიფე თავს.

— შილილნი... ბავშო, — მამჩნევს, — მე ჩემ შვილიშვილსაც არ მაკარებენ და... შენ რა გინდა აქა?

— რავი... — ვამბობ და, რატომღაც, ვახშმისთვის ნაყიდი ორივე პური ლოთიჟორასთან მიმაქვს, გვერდით, ბრტყელ ქვაზე ვულავებ. თითქოს შესანიერი იყოს, ან — შესატანი.

— ჰე-ჰეი! გესმის, როგორ მღერის? — კოცონის ალს შესცივინებს, — კარქა მოუსმინე, ბავშო, ეგაა კვამლის სიმღერა. ეგაა მაგის თავისუფლების ხიმნი! ზოგი იტყვის, ვაიმე, საწყალი შუშა დაინვა... არა! შუშაზე არ იდარდო. მთავარი არი კვამლი! გაიგე? კვამ-ლი! შუშები არის ციხე. მე კიდევ ციხეს ვწვავ და კვამლს თავისუფლებაში ვუშვებ. მაგ კვამლის ღმერთი მე ვარ. აგე, ადის თავის ჭკუაზე ზემოთკენ თუ ვერა?! თავისუფლება ყველას უხარია, აბა, მამ როგორ?... ჩემგან იცოდე, რასაც შუშაზე დაგანერენ — ეგა ხარ, ბავშო. მაგას შუშაში ჩაწვალა დაანერეს. აი, ჩემს ირას ეგრე მალე წავლავ დაანერეს. იქით ვიშუშავთ, აქეთ... ორი ბიჭი გზაზე დაგაყენეთ და მორჩა. ირას ღმერთი მე არ ვიყავი, თორე არ გავუშვებდი. თუ რაღაცა, მაინდ-ამაინც... მე წავიდოდი, მაგას ეცოცხლა. მე წავიდოდი, ამის დედაც ვატრირე. სუ შიშ-ში მაინც არ ვიქნებოდი. ირაც იდარდებდა ჩემზე, განა არა... მარა ეგ ჩემსავით ალკაგოლზე არ შეჯდებოდა. ჩემსავით შიშშიც არ იქნებოდა — ჩვენი ბიჭები მაგას ხელს არ დაარტყამდნენ...

გაჩუმდა. ცეცხლის ალს თვალი ააყოლა, მიაყურა და უცებ წამოხტა. ადგ-ზნებულმა შესძახა: მიდი, მიდი! აეგრე! შენი ღმერთი მე ვარ! გიშვებ! შილილნი-ში-ლა!.. შილილნი-ში-ლა!..

წლები, ლოთიჟორას სახელდახელოდ განალაგებული კოცონებივით, უცებ ჩანაცრდნენ. სამსახურიდან გბრუნდებოდი, მეზობელმა ჭუტალამ (მუდამ მოჭუტული თვალების გამო შეარქვეს) ცრემლშეკავებული ხმით რომ მითხრა: „ჩვენს ბავშვობაში ლოთი ჟორა რომ იყო გახსოვს? „ლოთი-ჟორა.“ აი, შვილებმა რომ სახლიდან გააგდეს, გვარცხვენო... წელან მოასვენებს... თავისივე დანთებულ ცეცხლში ჩავარდნილა, სულ დანახშირებულა საწყალი.“ მთე-

ლი ღამე, ბავშვობაში ნანახი კადრი — ცოცხალი ჟორა ცეცხლისფრად განათებული პროფილი მედგა თვალწინ, ვერ დავიძინე. ვერც მისი თუ კვამლის სიმღერის ტექსტი გავიხსენე. განთიადისკენ, როცა, ძილ-ღვიძილის საზღვარს იქით, როგორც იქნა, ნაბიჯი გადამიცდა, ვიგრძენი, როგორ გაიჟღინთა ჰაერი კვამლის სუნით. როგორ გამოიშალნენ ლოთიჟორას ფანჯრებიდან ჰაერში მოტივტივე უცნაური სიტყვები, როგორ აფრასავით აუშვეს იაფფასიანი არყის ოხმივარი და გალალდნენ: „ში-ლილ-ნიი... ში-ლა...“ ჰე-ჰეი, გიცანი! შენი „ხიმნიც“ ვიცანი, „შეშებიდან“ კი არადა, შიშებიდან ამოკვამლებული კვამლის ღმერთო! ჰე-ჰეი, ლოთიჟორაააა!..

დილით დარდგაყურებული, გულ-მოცემული გამოვედი სახლიდან. ისევ ჭუტალა შემხვდა.



— სულ დანახშირებულა საწყალი... — ახლა უკვე ნამტირალევი ხმით მითხრა. — მაგაზე არ იდარდო, — გავუღიმე, — მთავარი არის კვამლი! კვამ-ლი. ვინ იფიქრებდა, თვალების ასე ფართოდ დაჭყყტა თუ შეეძლო ჭუტალას...

II პრემია დიანა ანფიმიადი პირველი გვერდი. ბოლო გვერდი

ძველ, აქერცილილშპალერიან ოთახში უამრავი წიგნი, ორი ტყავგადაკრული პუფი და ძველებური ტორშერი იდგა. თუ შპალერს კარგად დააკვირდებოდი, ბავშვის ნახატებს, გაკრული ხელით მინერილ ტელეფონის ნომრებს, ოკრობოკრო ასოებს დაინახავდი. სახლის დალაგებაზე ტელეფონით შეუთანხმდნენ, გასალევიც ტილოს ქვეშ დაახვედრეს, სასადილო და სასტუმრო ოთახების შემდეგ ბიბლიოთეკაშიც შევიდა. წიგნების სუნი მძიმე ჰაერს ერთვოდა, დიდი ხნით დაკეტილ სახლებში რომ იცის ხოლმე, ისეთს. სუნი ადამიანივით დარაჯობდა ოთახს და ყველა შემსვლელს დიდი ყურადღებით აკვირდებოდა.

გოგომ თაროდან პირველივე წიგნი გადმოიღო — „მერი პოპინსი“. ცხვირში შეუღლიტინა ვარსკვლავებიანი თაფლაკვერების მოტკბო სურნელმა. სატიტულო გვერდზე გადაშალა: „ჩემს შვილს, სანამ გაჩნდება. შენი დედიკო. თბილისი, 1981 წელი, ნანა.“ თითქოს რაღაც თავგადასავალი იწყებოდა. გადანწყვიტა, მორიგეობით ჩამოელო წიგნები, მტვერი გაეწმინდა, მათი ამბავი გაეგო. ასეც მოიქცა: „აღმო-სავლური პოეზია“ — „საყვარელო, ეს წიგნი ჩვენს სკამთან რომ ბუკინისტი კაცია, იმასთან ვიყიდე, ერთად წავიკითხოთ, მენატრება შენი ტუჩები, 1982 წელი, თბილისი, ნანა.“ ბარქაია ვ. „მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია“ — „ვიყიდე დისერტაციისთვის, თუმცა ზუსტად ვიცი, თუ არ გნახავ, გზარსაც ვერ დავწერ, შენი დიმიტრი, ქუთაისი, 1982 წელი.“ მარკ ტვენი, „ტომ სოიერის თავგადასავალი“ — „მამიკოს საყვარელი წიგნი შვილიკოს.

III პრემია ლელა ცუცქირიძე იველი

ელიჩკა შალვას გარეშე ნაბიჯს არ დგამს. შალვა ელიჩკას საყრდენი და იმედი. — შალვა, შალვა! — გარეთ გასვლას დააპირებს თუ არა, მაშინვე შალვას უწყებს ძებნას. — ტუსიკოო, ტუსოო! სადაა შალვა? — მეძახის მერე მე და თან ზუზუნებს, — რა იცის ეს დამალვა და დაკარგვა! — კარგი რა, ელიჩკა, კარგი რა, — ახლა მეც ვზუზუნებს, — მოასვენე ის კაცი ბოლოს და ბოლოს. — ჰმ, მოსვენებული ბრძანდება ვაუბატონი, — ამბობს მოუსვენრად და

დაბადების დღეს გილოცავ, დიდი ტომ სოიერი გაიზარდე, შენი მამიკო, თბილისი, 1985 წელი“. ლუის კეროლი, „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ — „გიოს დედიკოსა და მამიკოსგან. ყოველთვის გაბედე საოცრებათა ქვეყანაში მოგზაურობა, ეძებე საოცრებები. გვიყვარხარ. თბილისი 1987.“ ბარბარე ჯორჯაძე, „სრული სამზარეულო“ — „დაბადების დღეს გილოცავ, ჩემო პატარა, მსოფლიოში ყველაზე ცუდი ტაფამწვარის და ყველაზე კარგი კოცნის ავტორი. დიმიტრი, 1988.“ რეზო ინანიშვილი, „შორი, დიდი მწვერვალი“ — „ჩვენს გოგოს, სანამ გაჩნდება, ნანა 1990.“ ამერიკული პროზა, მოთხრობების კრებული — „დედა, მამა, ქორწინების წლისთავს გილოცავთ, იმის ნაცვლად, რომ ხშირად მოიკითხოთ, სად ვარ და რატომ მაგვიანდება, ჰემინგუეი და ოქტენი ნაიკითხეთ! მიყვარხარო 1995.“ ასტრიდ ლინდგრენი, „პეპი გრძელიწინა“ — „გიოსგან მარიამს, გაიზარდე დიდი გოგო. 1997.“ ხალხური პოეზია — „ჩემს ნანას ქმარუკასგან, მიყვარხარ, მიყვარდი, მეყვარები 1998.“ წიგნიდან ძველი გახუთიდან ამოჭრილი ფურცელი გადმოვარდა, „მკვლელი გზატკეცილები“ — ერქვა საგაზეთო სვეტს. „დედეს, 9 აგვისტოს, თბილისი-გორის გზატკეცილზე უბედურ შემთხვევას ემსხვერპლა კიდევ ერთი ოჯახი, გარდაცვლილია მამაკაცი, ორსული ქალი და მოზარდი. პატარა გოგონა მძიმე მდგომარეობაში.“ „საქართველოს რესპუბლიკა“ №10/2002.

ტანზე უკვე კოლოფივით მორგებულ, ამოჩემებულ სავარძელში წამოკოპსილი მძიმეგუქდიან თითებს სახელურზე აკაკუნებს, — არა, მაინც სადაა? მოდი, თმა დამვარცხნე და ლაქი წამისვი ფრჩხილებზე, ნი-თე-ლი! როზასთან მივედივარ. როზა ელიჩკას ბავშვობის მეგობარია, მგონი, ისიც ასი წლის. იმას შალვა არ ჰყავს და გარეთ ვედარ გამოდის, ეშინია. ელიჩკას კი რა ენაღვლება. ძალი გამოუხტება და, შალვა იქ არაა? ნაიფორხილებს და შალვა არ შეეშველება თუ რა? ვინმე რედიკულის წართმევას დაუპირებს და, აჰ, აჰ, ეგაა აკლია ელიჩკას! აბა, შალვა, შალვა უშველის! თექვსმეტი წლის იყო ბები-ჩემი ელიჩკა, ოცდაათი წლის ბაბუაჩემი შალვას ოჯახის დაუკითხავად რომ გაჰყვა ცოლად და მას მერე ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს უმისოდ. — ძალიან მიყვარდა და იმიტომ გავიპარე, მაგრამ შალვას უფრო ვუყვარდი, დიას! — მეუბნება ხოლმე ამაყად და საზამთროდ შენახული სოკოსავით მიმჭქნარ ხელს მსუბუქად არტყამს მაგიდაზე, — შალვაზე ნაკლებს არ გაჰყვე, იცოდე! კაცი უნდა იყოს შენი იმედიც და საყრდენიც, გაიგე?! ისე უნდა უყვარდე და გიყვარდეს, რომ ის უშენოდ ვერ ძლებდეს და შენ უმისოდ ვერ ძლებდე. ჰოდა, უყვარს შალვა დღემდე, ვერ ძლებს შალვას გარეშე და ისევ შალვასთან ერთად დადის. მივა, მიკუნკულდება როზასთან (სხვა არც ერთი მეგობარი აღარ ჰყავს

მისაკუნელებელი), მიუსხდებიან მრგვალ, გობელენგადაფარებულ მაგიდას, მაგიდის თავზე ჩამოკონიალებულ უზარმაზარ აბაჟურში შეასკუპებენ ბარტყელებით გაღინდლულ თავებს, მოუსმენენ ძველ ფირფიტებს, გაშლიან პასეანსებს, ბროლის სირჩებში ჩამოსხმულ ვოლოკორდინის წვეთებს გადაჰკრავენ ვარდის ლიქიორით, ერთ-ორ ღერ პაპიროსსაც მიაბოლებენ სიკვდილს ცხვირპირში და ვინ იცის, მერამდენად გადაჭორავენ გაღმა გასულ და გამოღმა დარჩენილ ნათესავ-მეგობრებს. შალვა, რა თქმა უნდა, იქვეა, გოგობთან, ოღონდ ხმას არ იღებს, მოთმინებით ელოდება ელიჩკას, ერთ ნაბიჯის გადამდგმელიც არაა ელიჩკას გარეშე. ბავშვობიდან რაც მახსოვს, ესაა: ხან შალვა გამოხტებოდა ოთახიდან კედლის საათის დასაზეთი გუგულივით და დაიჭრიალებდა: — ელიჩკა, ელიჩკა! სადაა ელიჩკა? ხან ელიჩკა გამოხტებოდა ოთახიდან კედლის საათის დასაზეთი გუგულივით და დაიჭრიალებდა: — შალვა, შალვა! სადაა შალვა? და როცა ჩვენს ძველისძველ ბევრანტრესოლიან და ბევროთახიან სახლში ერთმანეთს იპოვინდნენ, დაიკოსებდა ელიჩკა თავზე ფეტრის შავ, პატარა შლაპას, დაიჭრდა განუყრელ რედიკულს და გამოსდებდა შალვას ხელკავს. დაიკოსებდა შალვაც თავზე ფეტრის შლაპას, დაიჭრდა განუყრელ ხელჯოხის და გამოსდებდა ისიც ელიჩკას ხელკავს. ჰოდა, მიღოდავდნენ და მოლოდავდნენ ასე, ტრამვაის ძველი ვაგონებივით, გადაბმულები. ცალკე მოსიარულე არც ელიჩკა უნახავს ვინმეს და არც შალვა. ერთადერთხელ ნავიდა ბაბუაჩემი შალვა ელიჩკას გარეშე და ისიც მაშინ, როცა სხვა გზა არ ჰქონდა, რადგან მოკვდა. ელიჩკას არ უტირია, გახევებულ იჯდა კუბოსთან და დარწმუნებული ვარ, იმაზე ფიქრობდა, თუ როგორ ეცოცხლა შალვას გარეშე. მერე, ბაბუაჩემი რომ გაეხვეწებოდა, დიდი ხნით ჩაიკეტა ოთახში, და რომ გვეგონა, დარდისგან თავდაც მალე მიჰყვებოდა, ერთ დილას შავი შლაპითა და შავი რედიკულით გამოვიდა და გამოაცხადა:

— შალვას ვეძებ! სადაა შალვა? როზასთან მივდივარ!

— შალვა... შალვა მოკვდა, დედა, — ენა დაება დედაჩემს და შემფოთებულმა გადმოგვხედა. ელიჩკამ ოთახს მოავლო თვალი, მერე მძიმებუქდიანი თითი კედლის კუთხისკენ გაიშვირა და მე მომიბრუნდა: — ტუსიკო, აი, შალვა.

— რა? — ვკითხე გოცეხულმა. კუთხეში მხოლოდ ბაბუაჩემის განუყრელი, ნითელი ხის ხელჯოხი იყო აყუდებული.

— ბაბუაშენის ხელჯოხზე გეუბნები. დღეიდან ეგ იქნება ჩემთვის შალვა, — მითხრა ელიჩკამ.

მერე, სანამ მეც და ჩემებიც გონზე მოვიდოდით, ხელჯოხი აიღო, ფრთხილად აუსვ-დაუსვა მიმჭკნარი ხელი, იატაკზე დააკაკუნა და ოფიციალურად გამოგვიცხადა:

— როზასთან მივდივარ, არ იდარდოთ, შალვა თან მახლავს.

IV პრემია

ქეთევან გაბინაშვილი
მელნისფერი
ბურთი

სოფელში ვარ ბებოსთან. თხილის მოსაპარად ბაღში ავდივარ და ვხედავ, მელნისფერი ბურთი მოფრინავს. ჰაერში ფარფატებს, ხან მარცხნივ ნაილებს ქარი, ხან მისუსტებული ქროლვის გამო ძირს ეშვება. ძალიან ლამაზია. ნითელი ძაფი აბია და მიფარფატებს ასე. გავედევნე, ხელის მიწვდენაზე ვარ, მაგრამ მისხლტება და ისევე ზევით მიფრინავს, მივდევი, კიბეზე ავრბივარ და ახლა აივნიდან ვცდილობ დაჭერას. კიდევ ერთი წარუმატებლობა და აჰა, როგორც იქნა, ვიჭერ. ლამაზია, მელნისფერი და გაბერილი, მაგრამ შიგნით ქალაღია. ინტერესი ჭიასავით მიძვრება სხეულში და ვერ გადამიწყვეტია, შეველიო მელნისფერი ბურთის სილამაზე თუ არა. ბოლოს მაინც ვაჭერ ფრჩხილს პრიალა ზედაპირს და ბახ... სკდება. ქალაღია, რვეულიდან ნაჩქარევად ამოხ-

ელი და გაფანტული, უსწორ-მასწორი ასოებით გავსებული: „მამა, ალე ძიამ მითხრა, რომ ბურთი ცაში მოფრინავს, აი, ძალიან, ძალიან მაღლა, ღრუბლებზეც მაღლა. რახან ასე მაღლა შეიძლება გამოფრინდეს, ამიტომ წერილს მოგწერ, იქნებ იპოვნო: მომენატრე. ვიცი, რომ არ უნდა ვიდარდო, შენ ღმერთთან ხარ და ჩვენც მანდ მოვალთ, მაგრამ მაინც მენატრები. მე არ ვტირი, კაცები არ ტირიან. ბაბო კი მაინც ძალიან ტირის. ვუთხარი, რომ შენ სახლში დაბრუნდი, იქ, საიდანაც გამოგვყარეს. იცის, რომ ღმერთთან ხარ, მაინც ტირის. იმედი მაქვს, იესო არ გაუბრაზდება, ბებო უკვე მოხუცია და, მგონი, ტირილი ეპატიება. ვიცი, რომ მხედავ. იმ დილით, როცა ფანჯრიდან ცას ვუყურებდი, დაგინახე, ღრუბელზე რომ იჯექი, ხელი დაგიქნიე, დამინახავდი ალბათ. იცი, მამა, ერთხელ ძალიან შემეშინდა: წვიმდა. ცა იყო სულ შავი. ღრუბლები შგავდნენ გაბრაზებულ კაცს და ქარი ქროდა. შემეშინდა შენ გამო. მეგონა, რომ გციოდა და სველი იყავი. შემეშინდა, გაბრაზებულ ღრუბლებს შენი გადმოგდებდა არ მოენდომებინათ. მითხრეს, რომ შენ სადაც ხარ, ის ღრუბლებზე ბევრად მაღლაა. არ ვიცი, მართლა ასეა თუ მე მომატყუეს. დღეს 5 წლის გავხდი. დედას საქმე ჰქონდა და ვერ მოიცალა, რომ ტორტი ყვიდა. არ მწყენია, ალბათ მართლა არ ეცალა. ამ წერილს ალე ძიას ვანერინებ, მე ჯერ წერა არ ვიცი. მგონი, დაიღალა, ამ-



იტომ უნდა დაგემშვიდობო. მამა, ორი რამეს გთხოვ, არ დაგავიწყდეს: ბებომ აღარ იტიროს და გამაგებინე, ღრუბლებზე მაღლა ცხოვრობ თუ არა, მაინტერესებს, ხომ არ გცივა, როცა წვიმს. მინდა შენთან წამოსვლა, მაგრამ გზა არ ვიცი. ხომ იცი, ჯერ მაინც პატარა ვარ და შეიძლება დავიკარგო. ისევე ღმერთს დაველოდე, ვიცი, ერთ დღეს მოვა და წამომიყვანს. მიყვარხარ, შენი დათუნა.“ აღარც თხილი მინდა, აღარც სოფელი, არც ბებო... ვზივარ აივანზე ასასვლელ ჩანგრეული კიბის პირზე და ვფიქრობ. ვფიქრობ, რომ ვერასდროს ვაპატიებ თავს ამ მელნისფერი ბურთის დაჭერასა და ამ წერილის ნაკითხვის ამბავს და ცხოვრების ბოლომდე მემასსოვრება 5 წლის დათუნა, რომელსაც ტორტი არ მიუტანეს და მამა, რომელიც ღრუბლებზე ცხოვრობს...

V პრემია

თამარ წულუკიძე
ვისია ეს მინა?!

ავადაა დედა. გუშინ წვიმაში მოყვა და გაცივდა. ო, როგორ გაუჭირდება ახლა მისი დატოვება! არადა, აუცილებლად უნდა ნავიდეს, აუცილებლად. წამოდგა, ანაფორაში ჩამალული ძლიერი მხრები გაშალა და მის ოთახში მორიდებით შეიჭყიტა. მიძინარეს სახეზე წამიერი სიმშვიდე დაჰფენოდა. თითქოს სხვა სამყაროში გადასულა და ყველა დარდი დავიწყებიაო. წამით გაიფიქრა, რომ ველარასოდეს ნახავდა. შეკრთა. ჯვარი გადასახა მიძინარეს, მიახლოება ვერ გაუბედა, უხმოვ გამობრუნდა. დები სამზარეულოში ელოდებოდნენ. როგორღაც მოახერხეს და ყვე-

ლაფერი მოუმზადეს, რაც უყვარს. წამიერად შეუმსუბუქა დარდი მათმა მზრუნველობამ. ჩამოჯდა... გადანყვეტილი ჰქონდა, სიმართლე ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა. მიუხვდნენ, რომ ჩქარობდა, უსიტყვოდ გაუგეს. შემკრთალი, შიშნარევი მზერა აარიდეს, კანკალით გააცილეს კარამდე. ისედაც სიტყვაძვირი სულ დამუნჯდა. გულში ჩაიკრა სამივე და გაუბედავად წაილულულა: დედას მიხედეთ! მეც მალე დაებრუნდები... სოხუმის ქუჩები გავერანებული დახვდა. ხანდახან სროლის ხმა თუ დაარღვევდა მყუდროებას. დამფრთხალი ხალხი კანტი-კუნტად ხვდებოდა. წვიმდა და ყველაფერი ნაცრისფერი იყო ირგვლივ. დედა გაახსენდა და გული დაუძიმდა. არც ისე დიდი გზა ედო წინ კომანამდე, მაგრამ ძნელად გასავლელი. შეუმჩნევლად უნდა ევლო, მდინარის სანაპიროზე აფხაზები განლაგებულიყვნენ. ხელს არ უშვებდა სკენილსა და ლოცვას. მიდიოდა მდუმარედ, გულში კი განუწყვეტილად ლოცულობდა. სოფელში რომ შევიდა, ნაცრისფერი, სუსხიანი დილა იდგა. ყურადღებას არავინ აქცევდა. იონანე ოქროპირის ტაძარი შუა სოფელში, პატარა გორაკზე იდგა. შემინებული სხივები ძლიერ ალწვედნენ დაბებკილი ღრუბლებიდან. მორიდებით შეალო კარი, საკმევლის საამო სუნმა გააბრუნა დაღლილი. სიხარულით შემოეხვივნენ მლოცველები — ტიროდნენ, უფალს მად-

ლობას სწირავდნენ... უმატა ლოცვასა და ასკეტურ ცხოვრებას. ყოველ დღე უფრო ახლოდნენ და უფრო ხშირ-ხშირად გაისმოდა სროლის ხმა, თუმცა მის გულს შიში არ ეკარებოდა. იმედინად იყო, სხვებსაც აიძულებდა. წერილიც იმედინად გაგზავნა შინ, თავისი ადგილსამყოფელიც დაუშალა ოჯახს, რომ არ ეჯავრათ. ეზიარა და მრევლიც აზიარა. გაქცევაზე ფიქრიც არ გაუვილია გულში. რიფრაჟზე გაიყვანეს ტაძრიდან. უმანკო კრავივით გაჰყვა გალემილ, დუჟმორეულ ბარბაროსებს. „— შენაირებს არ ვერჩით, უნდა გაგათავისუფლოთ, მარტო ერთ კითხვაზე გვიპასუხე! — ნაუსისინეს, — გვითხარი, ვისია ეს მინა?“ მუხლებზე დაეცა და ლოცვა დაიწყო. მშვიდად ახედა ცას, მერე მათ გადახედა და უპასუხა: „— ღვთის!“ კისერში ესროლეს. ზურგი დაეცა მინაზე. თვალები ნახევრად მიეხუჭა, ღმილი მიეყინა პირზე — ოღნავ შესამჩნევი, ლამაზი ღმილი.

VI პრემია

მარიამ ნიკლაური
კვალნი

ვაზის ეს ძირი ორასი წლისააო, ისე იტყვიან ჩვენები, თითქოს მისი დარგვის დღეს ესწრებოდნენ დაბადებამდე. მთელი ეზო დაუფარავს ტალავებს. გვარვითაა ეს ძირი. სახლი კი რამდენი წლისაა, ზუსტად ვერავინ ვეტყვის, ქვისგან ნაგები, სქელი კედლებით. ხან — ასოციო, ხან — ასიო, ამბობენ. ძველია ძალიან. ჯერ შედგებული გლეხის, მერე — რაიკომის მდივნის, მერე — ინჟინრის, მერე — მწერლის... ერთი კაცის შთამომავალი ყოფილა

ყველა. არავის გაუყიდა. ამ ძველ შიფანერზე ნატყვიარის კვალიცაა, ბერიასგან. სტუმრად მობრძანებულს კარგადაც მოულებნია. მერე იარაღიც უსვრია, აქაოდა, კვალი დარჩეს ჩემიო. ეს წარწერა 70-იანებიდანაა: „ვიტა ბრევა არტ ლონგ“, მოცარტის სურათი, ბარათაშვილის, ბახის, გენონის ფოტოები. ჭერიდან ჩამოსული წვიმის კვალი და იონანე მარტოდმყოფლის ხატი გვერდიგვერდ ცხოვრობენ, უამრავი წინით, უამრავი ამბითაა სავსე სახლი. რამდენი კვალია. რომელს ენდო... სანთლების ნალექებზე ახლაც თვლემენ ნათელი ლამები. ამ ხნის სახლები სოფელში საკმაოადაა. ბევრი მიტოვებული, ჩამოლილი... ჩვენ სახლში კი, საბედნიეროდ, სიცოცხლე არასდროს შეწყვეტილა, ჩვენ ისევე ვცხოვრობთ აქ. ხან ცოტა ხნით ჩამოვაკითხავთ ქალაქიდან, ხანაც ხანგრძლივად ვიდებთ ბინას იალნოს ძირში. ამ გაზაფხულზე პაპამ კარგა ხნის წინ გადახდილი და კიბის ქვეშ ნადები კრამიტი გადმოანყო, მეზობელს ცემენტი და ქვიშა მოაზელინა და ეზოში ფილაქანი მოაგო. ფინადაც ივარგა კრამიტმა. ზაფხულის პაპანაქებაში ცხრაჯერ ვრწყავთ ამ მოცემენტებულ-მოკრამიტებულ ეზოს, აღარ ტალახდება ძველებურად. სახლსაც ხან აივანს ვუახლებთ, ხან ბოდს, ვახალგაზრდავებთ ხოლმე ჩვენ „ბებერს“, კედლებში ქართული რიყის ქვითა და კუთხეებში ანტიფიქსებივით ქართული აგურებით მორთულ-მოკაზმულს. კრამიტის ფილაქნებმა სხვანაირად დაამშვენეს იქაურობა. ვინ იცის, სახურავისთვის ცაში საცქერლად შექმნილებს, არასდროს უფიქრიათ მინაზე, თუმცა ეზოს მორწყვისას, ცოცხლებიან, ფერადებიან, თითქოს ძველ სხივს იბრუნებენო. ბრტყელი კრამიტია, ქართული. კრამიტის ისტორია ვინც იცის, ისიც იცის, რომ ზედ გამოსახულებებს უკეთებდნენ ოსტატები, აწერდნენ, ახატავდნენ. ერთ მშვენიერ დღეს ერთ-ერთ კრამიტზე უცნაური გამოსახულება აღმოვაჩინე: ასე, ორი წლის ბავშვის ხელია გამოსახული, უფრო სწორად კი, გაშლილი ხელის მტევანი, სველ თიხაზე დანადები და გამომწვარი. არასდროს არავის შეუმჩნევია ეს ხელი. თან გაიხიარდა, თან ათასი ფიქრი ამიშალა. არც არავისთვის მიჩვენებია. დე, ყველამ თავისად აღმოაჩინოს. ასე მგონი ამდენი მიტოვებული სახლის შემხედვარე გარშემო, ჩვენი სახლი ამიტომაც ცოცხლობს დღემდე, რომ ჩვენი საკუთარი ანგელოზის ხელი გვიფარავდა თურმე. სუფთა, მაღლიანი. ვინ იცის, მეკეცეს შვილი იყო. მეკეცეს ეძახდნენ საქართველოში იმას, ვინც თიხისაგან კრამიტს ან სხვა რაიმე ნივთს ამზადებდა. კეთილი კაცი იქნებოდა ის მეკეცე, ალბათ გვერდით პატარა, იქნება და, მერვე, ან სულაც მეთორმეტე შვილი, ან პირველი შვილიშვილი ედგა და არ ასვენებდა კითხვებით, ეს რაა და ეს როგორო. ჰოდა, გააშლევინა მარჯვენა და დაატყეპებინა კრამიტზე, აიო, აჩვენა, გაახარა. მერე გამომწვარი ანახა, უფრო გაახარა. მერე კიდევ რამდენიმე კრამიტზე დაადებინა, კიდევ და კიდევ, კისკისებდა პატარა სიხარულით, ეს მეკეცეც ათამაშებდა და თან თიხას აჩვენებდა, თან მუშაობდა ადამიანი, თან ღმერთს ავედრებდა შვილებს, თან თვალს აპარებდა ლამაზი ქალისკენ, ბოლოლა შვილს რომ ძუძუს აჭმევდა ვეება კაკლის ჩრდილში, სახელოსნოდან მოშორებით. რამდენი ბედნიერი სახლია ჩვენ მინაზე, იმდენი ალბათ ასეთი ანგელოზის ხელიანი კრამიტი, ერთი მაინც, მალულად, თვალსმიფარებული ადგას თავს და არა მხოლოდ წვიმისა და თოვლისაგან იფარავს სახლს. ველი. ვიცი, სხვაც შეამჩნევს კერის ანგელოზის კვალს.

VII პრემია

ბადრი სულაძე
დიასახლისი

დედა, დე... წყალი მინდა... ნათურასაც არ აანთებდა, თვალები არ ეტკინოსო... სიბნელეში ხელის ცეცებით ვაგნებდი ჭიქას, დედის სახესაც ვერ ვხედავდი, მხოლოდ მისი სუნთქვა მესმოდა გულთან ახლოს...



მინიატურების სამყარო

დასასრული

ირიფრაჟებდა თუ არა, ადექი, სკოლაში არ დაგავიანდესო... ცოტაც რა, დე, ცოტაც... ხუთი ნუთი... და ეს ხუთი ნუთი აღარ ილეოდა... სკოლაში ანკეტას რომ გვავსებინებდნენ, დიდი სიამაყით ვწერდი, დედა — დიასახლისი, ანკი რა უნდა დამეწერა, სხვა პროფესია არც არასდროს ჰქონია... თუმცა, რატომ არა, სოფლის ფერმაში მწველავად ვმუშაობდი, ასე ჰქონდა ნათქვამი, მაგრამ მწველავობაზე მეტად მე მაინც დიასახლისობა მომწონდა მისთვის... მასწავლებელი სკოლაში თუ დაიბარებდა, არ ვეუბნებოდი, ვერ წარმომედგინა დედა სახლისა და ეზოს გარეთ... თვითონაც არ მოსწონდა სკოლის კედლების სითეთრე, ჩემი სახლის ყვავილებიანი კედლები მირჩევნია... შპალერიც თავის ხელით ჰქონდა გაკრული... ის სახლის დედა იყო, ფუძის ანგელოზივით... სახლის დედაც იყო, პურის დედაც და, თუ ოჯახს დასჭირდებოდა, ძმრის დედობასაც არ ითაკილებდა... გარმონზე დაკვრაც იცოდა, სოფლის კლუბში, თავისით უსწავლია... როცა გარმონზე აღარ უკრავდა, ვგრძობდი, რომ რაღაც ტკიოდა გულ-მუცელში, როგორც თვითონ იტყოდა, ის სატიალე და სამინე... პატარა ქოხი გექონდაო, უბადრუკი, უსინათლო და უშაქრო სოროს ჰგავდაო, ფანჯარა რომ გამოეჭვრით და მინებიც ჩავსვით ისე მიხაროდა, სარკესავით ვაპრიალებდი... ერთი კი იყო, კარგა ხანს ვერ შევაგუე მზის სინათლეს კვამლისგან ამოღამებული თვალბოლო... ხის იატაკზე გავლაც რომ მეღირსა, დღეში, აღარც მახსოვს, რამდენჯერ ვგვიდიო... ყველაფერს თავის ხელს დაატყობდა... მინის იატაკზე გაიზარდა და ალბათ ამიტომ ჰქონდა მინის მომეტებული სიყვარული... მინას შეეზარდა თითქოს... კაცივით ჩადგებოდა ყანაში, თოხიც შეენოდა და ნამგალიც... ბებიჩემი იტყოდა ხოლმე, როცა დაიბადა, ბებიჩემი აქალმა მითხრა, მინას გაახარებსო და ახარებს კიდევო... მინა უყვარდა, მაგრამ რაც მზის სინათლეს, კვამლით ამოღამებული თვალბოლო შეეგუა, მზე მოსწონდა განსაკუთრებით... ბატის ბუმბულიან ბალიშებს და ლეიბებს რომ ამზეურებდა, მზის მადლი შემომამქვსო სახლში — ასე ამბობდა... კობტაობაც უყვარდა, მინდვრის ყვავილებით მოჩითულ ბაილონის კაბებსა და ფანელის ხალათებს ატარებდა... რომ ვუყურებდი, ასე მეგონა — ეს ამდენი ლილილო და ზამბახი, ფურისულა და კესანე მინდვრებიდან გამოედევნენ, მინდვრის ფხლის საკრეფად წასულს... ერთი ყვითელი კაბა მომწონდა განსაკუთრებით. თავადაც მზეს ჰგავდა იმ კაბაში... დიასახლისი იყო და სახლის კერაზე თითისტარვით ტრიალებდა. ცაცხვის ჩაის და მსხლის ფელამუშის სურნელი ასდიოდა მის თითებს... გარმონზე დაკვრა სოფლის კლუბში თავისით უსწავლია... საავადმყოფოს სითეთრეს ვერ შეეგუა, ჩემი სახლის ყვავილებიანი კედლები მირჩევნიაო, შპალერიც თავის ხელით ჰქონდა გაკრული... სიზმარში ვაზის ლერწები ნახა წინა ღამეს, უფრო სწორად, სერიოზა ნახა, გარდაცვლილი ბიძაშვილი, რომელიც ვაზის ლერწებს ყიდდა და მას არ დაუთმო, ზურგი შეაქცია... გამიხარდა, კარგია, მიცვალებული რომ უარს გეტყვის სიზმარში-მეთქი... არა, ცუდიაო, მე ის ლერწები ძალიან მიწოდოდა... ბებიჩემი იტყოდა ხოლმე, როცა დაიბადა, ბებიჩემი აქალმა მითხრა, მინას გაახარებსო და აი, გაახარა კიდევ, ასე ნაადრევად თავადაც რომ მინად იქცაო... ეს ბებიჩემმა თქვა ასე, თორემ მე მეგონა, რომ თვითონ მზე წასვენეს ჩვენი სახლიდან... მზისფერი, ყვითელი კაბით...

დასასრული

უცებ ვატატო ჩემს გარშემო წრეების სირბილით დარტყმას შეუდგა. მე ძირს ვეგდე და ვეღარაფრით ვხვდებოდი, წამოდგომა უკეთესი იქნებოდა, თუ წოლა... ვატატო კი არ ჩერდებოდა და წრეებს კიდევ უფრო სწრაფად მარტყამდა. საბოლოოდ, ჩემში პირველმა აზრმა იმარჯვა და ძლივსძლივობით ავიფხიკე იატაკიდან. ეს იყო, ვატატომაც დაამთავრა სირბილი და ჩემ წინ გაფითრებული სახით გაჩერდა.

— შენ შენი წარსული უნდა მოკლა და დამარხო!

— დიახ, ვატო... — ვთქვი მორჩილად, თუმცა ვგრძობდი, რომ მთელი ჩემი არსება „არასკენ“ უფრო იყო.

— შენ თუ გინდა, გაიგო ვინ ხარ და რა არის შენი გზა, ღმერთს უნდა გაყვე...

— დიახ, ვატო...

— და გახდე ისეთი, როგორც ისაა...

— და ის როგორია? — ძლივს ამოვღერდე და მიხვდი, რომ გული მიმდიოდა. ამიტომ ბარძაყზე რაღაც სასწაულით

თვალი რომ გავახილე, გამცრა მთელ ტანში. ვატატოს სახე ძალიან ახლოს მოეტანა და თვალები ფოსფორისფრად უელავდა. ვგრძობდი, როგორ გადადიოდა ჩემგან რაღაც აურაცხელი ოდენობის ძალა ვატატოში და როგორ ვიწუტებოდი. თითქოს ვიღაც თუ რაღაც დაუნდობლად მწრუპავდა სულს და სიცოცხლისგან მცლიდა. დაზაფრულმა თვალები დავხუჭე და გადავტრიალდი. ვატატო გაჩუმდა.

თვალი უცებ გავახილე და მკვეთრად გამოვტრიალდი უკან. ვატატო უკვე ოთახის შუაცენტრში იდგა.

— ეს ყველაფერი შენ მითხარი? — შევედრებასავით გამოვივიდა.

ვატატომ მოჭუტული მზერით შემომხედა და გაიჩინა.

ეს იყო წამის ჩქამი, როდესაც ჩვენი მზერები შეხვდნენ ერთმანეთს. და ამ ჩქამში იდო სავარაუდო მომავალი: მუქზე მუქი, თითქმის სიშავეში გადასული, მწვანე მყაყეჭაობი. მე დავიხარე და ამ ჭაობის თქველევად და სრუპავად ვიწყე. ცარიელმა სხეულმა ადგილი მისცა გადაყლაპულ სითხეს



ღმერთი გამოქახებით

მოვახერხე ჩქმეტა. ისეთი გამოვივიდა, რომ ღამის ხორცი ამოვიგლიჯე. ამან ყურადღება სულ სხვა, ხორციელ ტკივილზე გადამატანინა და თავი შევიშარე. ვატატო თვალბოლო ისევ სალათისფრად შემომბრუნდა და მზაკვრულად იღიმებოდა.

— მითხარი, ვინაა ის შენთვის?! — მიბრძანა უცებ ვატატომ ისეთი თაფლიანი ხმით, რომ ეგრევე შევბოვდნენ. ისევ ერთბაშად გადამიარა ყველა უღონობამ და დარდა.

— ის განცდა, რომ მარტო არ ვარ არასდროს და ყველაფერი რიგზეა, მხოლოდ მისი დამსახურებაა... — ამის თქმალა მოვახერხე, ხელი გავიწოდე და ვატატოს მოტანილი ვაშლი ჩავკბინე. მომეჩვენა, რომ ვაშლს ადამიანის ხორცის გემო ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის ხორცი არასდროს მიჭამია, საკუთარი თითების გვერდითა მკვდარ ნუნების კენეტას თუ არ ჩავთვლით, ამკვდარ ვიგრძენი, რომ ამ შეგრძნებაში არ ვცდებოდი. ვატატო კი ამ დროს ფართოდ გახეილი, სველი თვალბოლო შემომყურებდა და ყვრილმალბოლო ავლიმილიანი კმაყოფილება გადასდიოდა.

ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს კუზი მაქვს ზურგზე — მძიმე ბორცვივით. კუზი უკან მაქანებს. კედელს კუზით ვენარცხები. ვიდღებები. ძირს ვემეები. თვალს ვხუჭავ, ვატატო კი ამ დროს ტაქტი ჩურჩულებს:

— არასდროს მიატოვო ღმერთი, თორემ ის შურს იძიებს. არ შეგარჩენს. შენ უნდა დაივიწყო საკუთარი თავი, ჩამოიფხვინა გზაზე აკრული ქერცლი და ჩამოიბანო ჭუჭყი, და ის გასწავლის გზას... შენ უნდა დაანგრიო თავი და ააშენო ახალი! არ მიატოვო ის არასოდეს... არ მიატოვო... — ეს სიტყვები მესმოდა შორიდან.

დასავანებლად. მე გაუჩერებლად ვსვლედი და ვივსებოდი რაღაც აუტანელი ზიზლით ადამიანების მიმართ. ცოტა ხანში მზიზლდა ყველა ადამიანი, საკუთარი თავიდან დაწყებული, ვატატოს გარდა. მის მიმართ არანაირი ზიზლი არ მქონია — პირიქით, ეს უცნაური, შიშით ნაკვეთი, და მანაც ძლიერი, ქარაშოტივით შეგრძნება იყო.

„ალბათ ეს არის გზა.“ — პირველმა ფიქრმა გაჟონა გონებაში.

„გაიქეცი!“ — სიზმარს ხედავდა ჩემი რომელიღაც „მე“ ციხიდან გაქცევაზე.

„დარჩი, ვიდრემდე გაუძლებ!“ — ბუბუნებდა მწერლური ფინით ატაცებული კიდევ ერთი „მე“.

— მომიყევი რამე შენზე, ვატო! — ვთქვი მე და სავარძელში ჩავემევი.

— სულ ყველაფერი? — ვატატო მეორე სავარძელში ჩაემვა და ცბიერი ღიმილით შემომხედა.

— კაი იქნება! ვატატომ მზერა მომაპყრო და გაიღიმა.

პრემია „საგურამო“ — 2016

2003 წელს ილია ჭავჭავაძის საგურამოს მუზეუმში საინტერესო სიახლე დამკვიდრდა — დაარსდა ლიტერატურული პრემია „საგურამო“ და ილია ჭავჭავაძის მედალი „მარად და ყველგან“, რომელიც ქართული კულტურისა და სულიერების წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის ცნობილ მოღვაწეებს მიენიჭებოდა. 8 ნოემბერს ამ ჯილდოების გადაცემის მე-14 ცერემონია გაიმართა. მუზეუმის დირექტორმა და ილიას ფონდის თავმჯდომარემ ანდრო ბედუქაძემ დაასახელა წლებიდან დღემდე გამარჯვებულები.

მთავარი პრიზი, ილიას მედალი წილად ხვდა ცნობილ ქართველ მწერალს **გურამ გეგეშიძეს**.

პრემია „საგურამო“ სხვადასხვა ნომინაციების მიხედვით გაიცემა.

წლებიდან დღემდე ლაურეატები გახდნენ:

- პოეზია — **ჯარჯი ფხოველი**;
- პროზა — **არჩილ ქიქოძე**;
- კრიტიკა — **მაია ჯალიაშვილი**;
- თარგმანი — **ლერი ალიმონაკი**;
- საბავშვო მწერლობა — **თეა ლომიძე**;
- ხელოვნება — **მურაზ მურვანიძე**;

ჰუმანიტარული მეცნიერება — **ომარ გოგიაშვილი**.

— შენ ხომ ვერ არ იცი, ღმერთს რამდენი შეუძლია? შენ ვერაფერს ხვდები და ეს ის გზისგან გზადაგზაა. დიდ და უფრო დიდ საიდუმლოებებს განახებს... ის გასწავლის, როგორ გიყვარდეს სხვისი ტკივილი. ის დაგცლის ბოლომდე და ახლიდან აგავსებს. და შენ იქნები განახლებული და უკვე სულ სხვა ცოდნით საგსე. მე ტკივილმა ბევრი რამე წამართვა და მომცა. ახალი თვისებები გამიხსნა და გამწმინდა ძველი ჭუჭყისგან. ჯადოსნური რამეები მასწავლა და ბოლომდე გამაცნო საკუთარი თავი და შესაძლებლობები.

— მოიცა, ძია ანტონზე მინდოდა, მეკითხა...

— ძია ანტონი? ანტონმა, რასაც იმსახურებდა, ის მიიღო. მე ცდა არ დამიკლია. ყველაფერი ექვნი. ყველა სურვილს ვუსრულებდი...

— რა სურვილს?

— სულელების გამოხმობისას...

— მოიცა, რა სულელების გამოხმობა? ვის ჯერა ეგეთი სისულელეების?..

ვატატომ შემომხედა და თვალბოლო ბრაზისგან ნითლად აენთო.

— რაა სისულელე?! ჩემი არ გჯერა?

— მე სულელების გამოხმობის არ მჯერა...

— ჰაჰა! — ავად ჩაეცინა ვატატოს. — მოგიყვებ, როგორ ვაცოცხლებდი და ვუბრუნებდი სიცოცხლეს ანტონს? რა მსხვერპლზე წავედი...

— შენ ნახვედი მსხვერპლზე?

— დიახ!

— კი მაგრამ, მგონი, ანტონია მკვდარი, და არა შენ, ვატო...

ვატატო ისევ ერთბაშად აიძაგრა და ისევ ვიგრძენი, რომ რაღაც ცუდი უნდა მომხდარიყო. ასეც მოხდა: ვატატო არაბუნებრივი სისწრაფით წამოფრინდა სავარძლიდან, მე განძრევა ვერ მოვასწარი მის დასაჭერად. ის კიდევ ისეთი ზათქით მიენარცხა კედელს სახით, რომ ტკივილისგან თვალთ მე დამიბნელდა. კედელმა და შუბლმა ერთობლივი ხმა გამოსცეს, რომელიც ძალიან ჰგავდა უზარმაზარი გონგის შემოკვრას.

ვატატო დაღმეჭილი სახით მომიტრიალდა. შუბლი ალისფრად უღუოდა და თვალბოლო ნაცრისფერი ბინდი ჰქონდა ჩამდგარი.

— ეგ რრა... ქქქქქქ? — ძლივს ამოვიძვრე პირიდან ორი სიტყვა.

— ეს მე კი არა, შენ ქქქქ! — ძალიან უცხო და დეარდნილ ხმაზე თქვა ვატატომ. — სადაა დანა?

— რრა.. დდდდნა? — უკვე აშკარად ენას ვუკიდებდი.

— ანტონის დანა. მჭრელი. ხერხი-დანა.

— ვატატოს შუბლის ალი ბრონეულისფერში გადაუდიოდა და ნელ-ნელა სივდებოდა.

— ეს შენ მიქქქქ!!! — რაღაც საზარელ ხმაზე დაიზრილა ვატატომ და განჯინის უჯრებს ეცა. რიგრიგობით იწყო გამოღება და ბოლოს მიაგნო: ერთ-ერთიდან პურის საჭრელი დანა ამოიღო და უკვე სრულიად შემლილის მზერით მომიტრიალდა.

— არრრრ ქქქქნა, ვვატო!.. — ძლივს ამოვღერდე და დავიჩოქე...

ლიტერატურული გაზეთი
 საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
 საქართველოს მწერალთა სახლი

რედაქტორი **ირაკლი ჯავახაძე**
 რედაქტორის მოადგილე **უჩა შერაზადიშვილი**
 ჟურნალისტი **თამარ ყურული**

მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

ISSN 2346-7940
 9 1772346 794004